

მ. მ. გროლზინსკი და ვ. ვ. ჩაპუჩსკი

სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა საქანსაციო და საზედამხებელო ნაშრომები

თარგმანი ა. მდინარაძისა

საბარტველოს სსრ სახელმწიფო გამოცემა
თბილისი
1953

შ ე ს ა ვ ა ლ ი

საბჭოთა სოციალისტური მართლმსაჯულების წინაშე მდგომ იმ ამოცანათა სწორი განხორციელება, რაც აღნიშნულია სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მე-2 მუხლში, მოითხოვს, რომ სასამართლოს მიერ განხილულ თვითეულ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება ზუსტად შეესაბამებოდეს ამ საქმის ფაქტიურ გარემოებას და ემყარებოდეს კანონის სწორ საფუძველს. ამ მიზანს ემსახურება საბჭოთა კანონმდებლობით დადგენილი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვის მთელი წესი, რომლის მიხედვით „მოსამართლე დამოუკიდებელია და ემორჩილება მხოლოდ კანონს“ (სსრ კავშირის კონსტიტუციის 112 მუხ.) და აღქურვილი არის ფართო უფლებამოსილებით, რაც მას შესაძლებლობას აძლევს ყოველმხრივად და სრულად გამოიკვლიოს საქმე, ხოლო მხარეები კი უზრუნველყოფილი არიან მთელი რიგი საპროცესო უფლებებით თავისი კანონიერი ინტერესების დასაცავად.

ამავე მიზანს — უზრუნველყოს სასამართლოების მიერ განსახილავი საქმეების სწორი გადაწყვეტა — ისახავს საბჭოთა სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესში განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გადასინჯვა საკასაციო და სასამართლო ზედამხედველობის წესით. ზემდგომი სასამართლო, ამოწმებს რა ამ გადასინჯვის დროს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების კანონიერებასა და დასაბუთებას, ამით ახორციელებს კონტროლს ამ განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გამომტანი პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმიანობაზე; აუქმებს ან სცვლის რა განაჩენს ან გადაწყვეტილებას — როცა არსებობს ამისათვის საფუძვე-

ლი — ზემდგომი სასამართლო მიუთითებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მის მიერ დაშვებულ შეცდომებსა და კანონის დარღვევებზე და ამ გზით ხელს უწყობს სასამართლოს მუშაობის გაუმჯობესებას და კერძოდ კი, უზრუნველყოფს კანონის სწორად შეფარდებას. დაბოლოს, არასწორი განაჩენისა ან გადაწყვეტილების გაუქმების ან შეცვლის დროს, ზემდგომი სასამართლო ალადგენს ამ განაჩენით, ან გადაწყვეტილებით დარღვეულ უფლებებსა და კანონიერ ინტერესებს დაზარალებულისა და ბრალდებულისა სისხლის სამართლის საქმეში, ხოლო მოსარჩელისა და მოპასუხისა — სამოქალაქო საქმეში.

ამგვარად, განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გადასინჯვას, რაც საბჭოთა სოციალისტური მართლმსაჯულების სწორად განხორციელების ერთ-ერთ ძირითად გარანტიას წარმოადგენს, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საბჭოთა სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესში. უფრო მეტად გაიზარდა ეს მნიშვნელობა იმ ისტორიულ მომენტში, რომელსაც საბჭოთა ქვეყანა განიცდიდა — დიდ სამამულო ომის ხანაში. „ჩვენ დაუყოვნებლივ უნდა გარდავექმნათ მთელი ჩვენი მუშაობა საომარ ყაიდაზე, ყველაფერი უნდა დავემორჩილოთ ფრონტის ინტერესებს და მტრის განადგურების ორგანიზაციის ამოცანებს... ჩვენ უნდა მოვაწყოთ ულმობელი ბრძოლა ზურგის ყოველგვარ დეზორგანიზატორებთან, დეზერტირებთან, პანიკორებთან, ხმების გამავრცელებლებთან“ (ი. ბ. სტალინის გამოსვლა რადიოთი 1941 წლის 3 ივლისს).

ამხანაგ სტალინის ამ მითითებათა საფუძველზე გარდაქმნილ იქნა საბჭოთა სასამართლოს მუშაობაც, რომლის წინაშეც დაისახა საპასუხისმგებლო ამოცანა — ეწარმოებია გადაწყვეტი ბრძოლა ფრონტისა და ზურგის ყოველნაირად გამაგრებისათვის.¹ „კანონის სწორად და განუხრელად გატარება, შეუწინაღებელი ბრძოლა დამნაშავეთა წინააღმდეგ და

¹ წიგნი დაწერილია 1945 წ. რედ.

მშრომელთა აღზრდა მტკიცე დისციპლინის სულისკვეთებით სასამართლოს მთავარ ამოცანას შეადგენს და ომიანობის დროს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ღებულობს. საბჭოთა სასამართლოს ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშანს სასამართლო ზემოქმედების სისწორე და სისწრაფე წარმოადგენს. ეს თვისებები კიდევ უფრო უნდა გავზარდოთ. საქმის გაკვიანურება და ბიუროკრატიზმი სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვის დროს პირდაპირ დანაშაულს წარმოადგენს“ (სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის 1941 წლის 29 ივნისის ბრძანება № 106). ამით განისაზღვრება ზემდგომი სასამართლოების მოვალეობაც სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა განმხილველი სასამართლოების საქმიანობაზე კონტროლის ყოველნაირად გაღრმავებისა და გაძლიერების საქმეში, რათა ამ გზით უფრო ამაღლდეს სასამართლო მუშაობის ხარისხი.

საბჭოთა პროცესში განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გადასინჯვის დედაარსი ამომწურავი სისრულით და ზედმიწევნით ნათლად განსაზღვრულია სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონით (15 მუხ.) როგორც თვითეული მოცემული განაჩენისა და გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთების შემოწმება, ე. ი. როგორც კანონების შეფარდების სისწორისა და არსებითად განაჩენისა და გადაწყვეტილების სისწორის შემოწმება. ორივე ეს მომენტი მჭიდრო კავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება: მხოლოდ არსებითად სწორი განაჩენი და გადაწყვეტილება შეესაბამება კანონის მოთხოვნებს, მეორე მხრივ კი — სწორი განაჩენის და სწორი გადაწყვეტილების ვამოტანა სასამართლოს მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ ის ზუსტად დაიცავს კანონებს და მათ შორის იმ კანონებს, რომლებიც განსაზღვრავს სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა განხილვის წესს. ამგვარად, განაჩენების და გადაწყვეტილებების კანონიერებისა და დასაბუთების შემოწმება შეიცავს მოცემული განაჩენის ან გადაწყვეტილების გამომტანი სასა-

მართლოს მთელი საქმიანობის შემოწმებას, და მით ზემდგომ სასამართლოებს ფართო შესაძლებლობა ეძლევათ — გაასწორონ პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომები და წარმართონ ამ სასამართლოების საქმიანობა სოციალისტური კანონიერების მოთხოვნათა შესაბამისად.

განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გადასინჯვა საბჭოთა პროცესში წარმოებს როგორც საკასაციო, ისე სასამართლო ზედამხედველობის წესით. როგორც ერთს, ისე მეორე შემთხვევაში გადასინჯვა გამოიხატება განაჩენების და გადაწყვეტილებების კანონიერებისა და დასაბუთების შემოწმებაში, მაგრამ ამასთან ერთად გადასინჯვის ეს ორი სახე ერთმანეთისაგან არსებითად განსხვავდება. საბჭოთა პროცესში სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეები, როგორც საერთო წესი, განიხილება მხოლოდ ორ ინსტანციაში: პირველ ინსტანციაში — არსებითად და მეორეში — საკასაციო წესით. შესაბამისად ამისა საკასაციო წარმოება არის ჩვეულებრივი, ნორმალური ფორმა განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გადასინჯვისა. რაც შეეხება სასამართლო ზედამხედველობის წესით წარმოებას, ის წარმოადგენს გამონაკლისს განაჩენებისა და გადაწყვეტილებების გადასინჯვის საერთო წესიდან და ადგილი აქვს — სათანადო პირობების არსებობისას — მხოლოდ მაშინ, როცა საკასაციო ინსტანცია საქმეს არასწორად გადაწყვეტს და კერძოდ კი, არ გაასწორებს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვებულ შეცდომებს; გარდა ამისა, სასამართლო ზედამხედველობის წესით გადასინჯვა შეიძლება იმ შემთხვევაშიაც, როდესაც არასწორი განაჩენი ან გადაწყვეტილება რაიმე მიზეზით არ ყოფილა განხილული საკასაციო ინსტანციის მიერ და ის კანონიერ ძალაში შევიდა.

სასამართლო ზედამხედველობის წესით წარმოების ეს განსაკუთრებული ხასიათი ძირითადად განასხვავებს მას საკასაციო წარმოებისაგან, — ჩვეულებრივი, ნორმალური წარმოებისაგან — და თავის მხრივ განსაზღვრავს განაჩენების და გადაწყვეტილებების გადასინჯვის ამ ორი სახის სხვა

განმასხვავებელ ნიშნებს. ასე, საკასაციო წესით გადაისინჯება ისეთი განაჩენები და გადაწყვეტილებები, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შესული კანონიერ ძალაში, და თვით ამ გადასინჯვას მაშინ აქვს ადგილი, როდესაც რომელიმე მხარე კანონით დაწესებულ ვადაში განაჩენსა ან გადაწყვეტილებაზე შეიტანს საკასაციო პროტესტს ან საკასაციო საჩივარს; ამასთან მხარეებს უფლება აქვთ მონაწილეობა მიიღონ საქმის განხილვაში საკასაციო ინსტანციაში. სულ სხვაგვარია წარმოება სასამართლო ზედამხედველობის წესით: აქ გადაისინჯება უკვე კანონიერ ძალაში შესული პირველი ინსტანციის სასამართლოების განაჩენები, გადაწყვეტილებები და დადგენილებები და აგრეთვე საკასაციო და სასამართლო ზედამხედველობის ინსტანციათა სახით მოქმედი ზემდგომი სასამართლოების დადგენილებები. ამასთან სასამართლო ზედამხედველობის წესით გადასინჯვა არავითარი ვადით არ არის შეზღუდული, იგი წარმოებს მხარეთა მონაწილეობის გარეშე და დაიშვება მხოლოდ სსრ კავშირის გენერალური პროკურორის, მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორების, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარისა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოთა თავმჯდომარეების პროტესტებით. სასამართლო ზედამხედველობის წესით გადასინჯვის ორგანოებია მხოლოდ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიები და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო კოლეგიები და პლენუმი (სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 16, 51, 64, 74, 75 მუხლები).

ნ ა წ ი ლ ი I

სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო და საზედამხებდველო წარმოება

თავი პირველი

საკასაციო წარმოება

1. როგორი განაჩენების გადასინჯვა შეიძლება საკასაციო წესით

საკასაციო წესით, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული გადასინჯება ისეთი განაჩენები, რომლებიც ჭერ კიდევ არ არის შესული კანონიერ ძალაში. საბჭოთა კანონმდებლობით დადგენილი საერთო წესის მიხედვით, საკასაციო წესით შეიძლება გასაჩივრდეს ყველა განაჩენი, გარდა იმ განაჩენისა, რაც გამოტანილია პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით მოქმედ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოებსა და სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს მიერ (სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 15 მუხ.). გარდა ამისა, როგორც გამონაკლისი საერთო წესიდან, არ დაიშვება საკასაციო გასაჩივრება იმ განაჩენებისა, რაც გამოტანილია ტერორისტული ორგანიზაციებისა და ტერორისტული აქტებისა, კონტრრევოლუციური მავნებლობისა და დივერსიის საქმეებზე (სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1934 წ. 1-ლი დეკემ-

ბრის და 1937 წ. 14 სექტემბრის დადგენილებანი — რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 469 მუხ.¹ და 472 მუხ.² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები).

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა განმარტა, რომ „სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. 14 სექტემბრის დადგენილება არის სპეციალური კანონი და მისი გაფართოებითი განმარტება არ დაიშვება“. ამიტომ, უკეთეს „სასამართლომ გამოიტანა“ განაჩენი ერთობლივად სისხ. სამართ. კოდ. იმ მუხლების მიხედვით, რომლებიც ნაჩვენებია სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. 14 სექტემბრის დადგენილებაში და, გარდა ამისა, სისხ. სამართ. კოდ. სხვა მუხლების მიხედვითაც, რომლებზედაც ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება, განაჩენი სისხ. სამართ. კოდ. ამ უკანასკნელი მუხლებით გათვალისწინებული ბრალდების ნაწილში შეიძლება გასაჩივრდეს ან გაპროტესტდეს ზემდგომ სასამართლოში. ზემდგომმა სასამართლომ, საჩივრის და პროტესტის განხილვის დროს, რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 412 მუხ.³ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების შესაბამისად, უნდა განიხილოს მთელი საქმის წარმოება, და, თუ ეს საჭირო იქნება, გამოიტანოს თავის დადგენილებაში სათანადო გადაწყვეტილება აგრეთვე განაჩენის იმ ნაწილის შესახებაც, რაც, თანახმად სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბჭოს 1937 წ. 14 სექტემბრის დადგენილებისა, არ ექვემდებარება გასაჩივრებას (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1939 წ. 13 ივნისის დადგენილება).

ასეთივე სპეციალური კანონი, რომლის გაფართოებითი განმარტება არ დაიშვება, არის სსრ კავშირის ცენტრალური

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 465 მუხ.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 468 მუხ.

³ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 411 მუხ.

აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომსაბქოს 1934 წ. 1-ლი დეკემბრის დადგენილება; ამიტომ, უკეთეს სასამართლომ გამოიტანა განაჩენი ერთობლივად სისხ. სამართ. კოდ. იმ მუხლების მიხედვით, რომლებიც ნაჩვენებია ამ დადგენილებაში და სისხ. სამართ. კოდ. სხვა მუხლების მიხედვითაც, რომლებზედაც ამ დადგენილების მოქმედება არ ვრცელდება, განაჩენი ამ უკანასკნელ ნაწილში შეიძლება გასაჩივრდეს და გაპროტესტდეს საკასაციო წესით და ზემდგომი სასამართლო, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის ზემოთ მოყვანილი 1939 წ. 13 ივნისის დადგენილებისა, მოვალეა განიხილოს საქმე.

ომიანობის პირობებში რამდენადმე გადიდებულია იმ საქმეების რიცხვი, რომელზედაც განაჩენთა საკასაციო გასაჩივრება არ დაიშვება. ასე, არ დაიშვება საკასაციო გასაჩივრება იმ სამხედრო ტრიბუნალების მიერ გამოტანილი განაჩენებისა, რომლებიც მოქმედებენ იმ ადგილებში, სადაც სამხედრო წესებია გამოცხადებული და იმ რაიონებში, სადაც სამხედრო მოქმედება წარმოებს და აგრეთვე რკინიგზისა და წყალსავალი გზების სამხედრო ტრიბუნალების განაჩენებისა (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1941 წ. 22 ივნისის ბრძანებულება „სამხედრო წესების შესახებ“, და 1943 წ. 15 აპრილის და 1943 წ. 9 მაისის ბრძანებულებები). გარდა ამისა, არ შეიძლება საკასაციო გასაჩივრება სამხედრო ტრიბუნალების განაჩენებისა, ზოლო იქ, სადაც სამხედრო ტრიბუნალები არ არის — საერთო სასამართლოების იმ განაჩენებისა, რაც ისეთი დანაშაულის საქმეებზეა გამოტანილი, რაზედაც მთავრობის დადგენილებით, პასუხისმგებლობა სამხედრო დროის კანონით არის დაწესებული (სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრისა და სსრ კავშირის პროკურორის 1941 წ. 28 ნოემბრის ბრძანება № 25 (250)).

2. საკასაციო საჩივრისა და საკასაციო პროტესტის შეტანა

განაჩენი საკასაციო წესით გადაისინჯება მაშინ, როდესაც მასზე შეტანილია საკასაციო პროტესტი პროკურორის მიერ

ან საკასაციო საჩივარი საქმეში მონაწილე რომელიმე მხარის მიერ. საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში პროკურორი არა მარტო მხარეა საქმეში, არამედ კანონიერების ზედამხედველი ორგანოც და ამიტომ მას უფლება აქვს შეიტანოს პროტესტი იმისდა მიუხედავად, მონაწილეობას იღებდა იგი როგორც ბრალმდებელი საქმის განხილვის დროს პირველ ინსტანციაში თუ საქმე პროკურატურის წარმომადგენლის მონაწილეობის გარეშე იქნა განხილული. ამასთან, პროკურორს უფლება აქვს გააპროტესტოს განაჩენი არა მარტო მაშინ, როცა ამას ბრალდების ინტერესები მოითხოვს, არამედ მაშინაც, როცა დარღვეულია უფლებანი და კანონიერი ინტერესები საქმეში მონაწილე ამა თუ იმ მხარისა (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 349 მუხ. ¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები); კერძოდ, პროკურორს პროტესტი შეუძლია შეიტანოს გამამტყუნებელი განაჩენის დაუსაბუთებლობისა ან მსჯავრდადებულზე მეტად მკაცრი სასჯელის დადების გამოც.

განაჩენის საკასაციო წესით გაპროტესტების უფლება კანონით მინიჭებული აქვს მხოლოდ პროკურატურას; ამიტომ სხვადასხვა ინსპექციათა წარმომადგენლებს, რომლებიც მხარს უჭერდნენ ბრალდებას მათ გამგებლობაში მყოფ საქმეებზე, და აგრეთვე საზოგადო ბრალმდებლებს უფლება არა აქვთ შეიტანონ საკასაციო პროტესტი, მათ შეუძლიათ მხოლოდ სათანადო წარდგინება გაუკეთონ პროკურორს, რომელიც გადაწყვეტს მოცემული განაჩენის გაპროტესტების საკითხს.

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, გარდა პროკურორისა, მხარეებს წარმოადგენენ: ა) სამართალში მიცემული; ბ) დაზარალებული — კერძო ბრალდების საქმეებზე, რაც გათვალისწინებულია რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდექსის მე-10 მუხლში ² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ..

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 349 მუხ.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 10 მუხ.

სამართ. საპრ. კოდექსების სათანადო მუხლებში; გ) დაზარალებული, რომელიც მონაწილეობას იღებს საქმეში როგორც სამოქალაქო მოსარჩლე; დ) სამოქალაქო მოპასუხე, ე. ი. პირი ან დაწესებულება და საწარმო, რომლებსაც კანონით დაკისრებული აქვთ ქონებრივი პასუხისმგებლობა სამართალში მიცემულის მოქმედებით მიყენებული ზიანისათვის (რსფსრ სამოქ. სამართ. კოდ. 404, 405 მუხ. მუხ.¹, რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 14 მუხ.² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. კოდ. და სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები). თვითეულ მხარეს უფლება აქვს შეიტანოს საკასაციო საჩივარი განაჩენზე მისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევის გამო. ასე, სამართალში მიცემულს შეუძლია საკასაციო საჩივრის შეტანა განაჩენზე ყველა იმ შემთხვევაში, როცა მას არასწორად მიაჩნია ის. კერძოდ, სამართალში მიცემულს შეუძლია გაასაჩივროს გამამართლებელი განაჩენიც, მაგალითად მაშინ, როდესაც სამართალში მიცემული უარყოფს იმ ქმედობის ჩადენას, რასაც მას მიაწერენ, სასამართლომ კი ეს ქმედობა დამტკიცებულად ჩათვალა, მაგრამ სცნო, რომ მასში არ არის დანაშაულის შემადგენლობა, და ამის გამო სამართალში მიცემული გაამართლა. რადგან განაჩენის ასეთ ფორმულირებას შესაძლოა მნიშვნელობა ექნეს შემდეგში, როცა სამართალში მიცემულის ქონებრივი პასუხისმგებლობის საკითხი სამოქალაქო სამართლის წესით განიხილება, ამისათვის სამართალში მიცემულს უფლება აქვს შეიტანოს საკასაციო საჩივარი განაჩენზე იმის აღნიშვნით, რომ განაჩენი დაუსაბუთებელია და ითხოვოს მისი გაუქმება.

კერძო ბრალდების საქმეებზე (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 10 მუხ.³ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები) დაზარალებული ბრალმდებელს წარმოადგენს და ამისათვის მას

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. კოდ. 404 და 405 მუხ. მუხ.

² საქ. სსრ. სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 14 მუხ.

³ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 10 მუხ.

უფლება აქვს შეიტანოს საკასაციო საჩივარი არა მარტო გამამართლებელ განაჩენზე, არამედ აგრეთვე სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელის ლიბერებზეც. მაგრამ, უკეთუ დაზარალებულის საჩივრის გამო აღძრულ კერძო ბრალდების საქმეში ჩაერია პროკურორი, ბრალმდებლობის გაწევის უფლება უკვე მხოლოდ პროკურატურას ეკუთვნის, დაზარალებული კი წარმოადგენს მხოლოდ მოწმეს; ამისათვის, ამ შემთხვევაში განაჩენის გაპროტესტება შეუძლია მხოლოდ პროკურორს და დაზარალებულს კი განაჩენის გასაჩივრების უფლება არა აქვს.

ყველა დანარჩენ საქმეებში, გარდა კერძო ბრალდების საქმეებისა, და აგრეთვე კერძო ბრალდების იმ საქმეებშიაც, რომელშიც პროკურორი ჩაერია, დაზარალებული მხოლოდ იმ შემთხვევაში მონაწილეობს როგორც მხარე, უკეთუ მის მიერ სამოქალაქო სარჩელია განცხადებული და ეს სარჩელი მიიღო სასამართლომ სისხლის სამართლის საქმესთან განსახილველად. სამოქალაქო-მოსარჩელეს უფლება აქვს გაასაჩივროს განაჩენი მხოლოდ იმ ნაწილში, რაც სამოქალაქო სარჩელს შეეხება, ე. ი. უფლება აქვს შეიტანოს საკასაციო საჩივარი მაშინ, თუ მას, მისი აზრით, არასწორად ეთქვა უარი სარჩელში ან თუ მას არასწორად მიაჩნია მისჯილი თანხის რაოდენობა. უკეთუ საქმეზე გამამართლებელი განაჩენია გამოტანილი, სამოქალაქო მოსარჩელეს უფლება არა აქვს შეიტანოს საკასაციო საჩივარი ამ განაჩენის დაუსაბუთებლობისა, საქმის არასრულად გამოკვლევისა, დაშვებულ საპროცესო დარღვევების გამო. „როცა გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, სამოქალაქო მოსარჩელეს საჩივრის შეტანა შეუძლია მხოლოდ განაჩენის იმ ნაწილზე, რაც შეეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას სამოქალაქო სარჩელის ბედის შესახებ, ისე კი, რომ არ უნდა შეეხოს გამამართლებელი განაჩენის გაუქმების საკითხს. კერძოდ, ასეთი საჩივარი შეიძლება შეეხოს გამამართლებელი განაჩენის იმ მოტივებს, რომლებმაც გავლენა მოახდინა სარჩელის ბედზე და აგრეთვე სარჩელში უარის თქმას, როდესაც კანონით სასამართლო მოვალეა სარჩე-

ლი განუხილველად დატოვოს“ (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1941 წ. 22 მაისის დადგენილება).

ასევეა გადაჭრილი აგრეთვე სამოქალაქო მოპასუხის მიერ განაჩენის გასაჩივრების საკითხიც. სამოქალაქო მოპასუხეს უფლება აქვს შეიტანოს განაჩენზე საკასაციო საჩივარი მხოლოდ სამოქალაქო სარჩელის საკითხის შესახებ; კერძოდ, მას შეუძლია საკასაციო საჩივარში მიუთითოს სამოქალაქო სარჩელის არასწორად დაკმაყოფილებაზე ან იდავოს მისგან მისჯილი თანხის რაოდენობაზე.

საკასაციო საჩივრის შეტანა, თანახმად სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 15 მუხლისა, შეუძლიათ როგორც თვითონ მხარეებს, ისე მათ კანონიერ წარმომადგენლებს, ე. ი. სამართალში მიცემულის დამცველს, დაზარალებულის — კერძო ბრალდების საქმეებზე ბრალმდებლის — ინტერესების წარმომადგენელს, აგრეთვე სამოქალაქო მოსარჩლისა და სამოქალაქო მოპასუხის წარმომადგენლებს.

სამართალში მიცემულის დამცველს და აგრეთვე სხვა მხარეების ინტერესთა წარმომადგენლებს, უკეთუ მათ აქვთ სათანადო უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე, რწმუნებულობის ან იურიდიული კონსულტაციის მიერ გაცემული ორდერის სახით, უფლება აქვთ შეიტანონ საკასაციო საჩივარი იმისდა მიუხედავად, მონაწილეობას იღებდნენ ისინი საქმის განხილვაში პირველი ინსტანციის სასამართლოში თუ უფლებამოსილება საქმის წარმოებაზე მიიღეს საქმეზე განაჩენის გამოტანის შემდეგ.

საკასაციო პროტესტი და საკასაციო საჩივარი, როგორც წესი, შეიტანება განაჩენის გამოტან სასამართლოში, რის შემდეგ საქმე პროტესტთან და საჩივრებთან ერთად იგზავნება ზემდგომ სასამართლოში. ამასთან, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 22 აგვისტოს დადგენილებაში მოცემული მითითებისა, პირველი ინსტანციის სასამართლომ შემოსული საჩივრები და პროტესტი უნდა გადაუგზავნოს ზემდგომ სასამართლოს

არა უადრეს იმ ვადის გასვლისა, რაც კანონით დაწესებულია განაჩენის გასაჩივრებისა და გაპროტესტებისათვის; ვადამდე ადრე საქმის გადაგზავნა მხოლოდ მაშინ დაიშვება, როდესაც გასაჩივრებისათვის დაწესებული ვადის გასვლამდე უკვე შემოსულია როგორც პროკურორის პროტესტი, ისე საქმეზე უკლებლივ ყველა მსჯავრდადებულთა საკასაციო საჩივრები.

კანონი მოითხოვს რა, როგორც საერთო წესი, საკასაციო პროტესტისა და საკასაციო საჩივრების შეტანას განაჩენის გამომტან სასამართლოში, ამასთანავე უფლებას ანიჭებს მხარეებს შეიტანონ პროტესტი და საჩივრები უშუალოდ ზემდგომ სასამართლოში (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 344 მუხ. ¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები). ასეთ შემთხვევებში ზემდგომი სასამართლო, მიიღებს რა საკასაციო პროტესტს ან საკასაციო საჩივარს, მოვალეა გამოითხოვოს საქმე პირველი ინსტანციის სასამართლოდან და აცნობოს მას, რომ განაჩენი გაპროტესტებული ან გასაჩივრებულია და ამის გამო ის, როგორც კანონიერ ძალაში ჯერ არ შესული, არ შეიძლება მიქცეულ იქნას აღსასრულებლად საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვამდე.

საკასაციო პროტესტი და საკასაციო საჩივარი შეტანილ უნდა იქნას კანონით დაწესებულ ვადაში; მხარეს, რომელიც ამ ვადას გადააცილებს, შეუძლია მიმართოს განაჩენის გამომტან სასამართლოს თხოვნით ვადის აღდგენის შესახებ (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 345, 346, 400 მუხ. მუხ. ² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები).

შესაძლოა მოხდეს, რომ საკითხი განაჩენის გაპროტესტების ან გასაჩივრების ვადის აღდგენის შესახებ მაშინ წამოიჭრას, როცა საქმე უკვე ზემდგომ სასამართლოშია; კერძოდ, ეს მაშინ შეიძლება მოხდეს, როცა განაჩენი ერთერთმა მხარემ დაწესებულ ვადაში გაასაჩივრა ან გააპრო-

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 344 მუხ.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 345, 346, 400 მუხლები.

ტესტა, ხოლო მეორე მხარემ ვადა გადააცილა და მას საკასაციო პროტესტის ან საკასაციო საჩივრის შეტანის შესაძლებლობა მიეცა უკვე მას შემდეგ, რაც საქმე საკასაციო ინსტანციაში გადავიდა. ასეთ პირობებში ვადის აღდგენის შესახებ თხოვნის პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმართვა მეტწილად საქმის განხილვის გაჭიანურებას გამოიწვევდა, ამიტომ აღნიშნულ შემთხვევებში საკითხი ვადის აღდგენის შესახებ შეიძლება უშუალოდ ზემდგომმა სასამართლომ გადაწყვიტოს, რომელიც უკეთეს ვადის გადაცილების მიზეზს საპატიოდ მიიჩნევს, მოვალეა მიიღოს საკასაციო პროტესტი ან საკასაციო საჩივარი იმ პროტესტთან ან საჩივართან ერთად განსახილველად, რომლებიც დაწესებულ ვადაზე იყო შეტანილი. შესაბამისად ამისა სსრ კავშირის პროკურორის 1937 წლის 2 სექტემბრის № 68/1 ბრძანება ავალებს პროკურორებს აღძრან შუამდგომლობები ვადის აღდგენის შესახებ „ან განაჩენის გამომტანი პირველი ინსტანციის სასამართლოში (თუ საქმე იქ იმყოფება) ან საკასაციო ინსტანციაში (თუ საქმე საკასაციო ინსტანციაში გადავიდა)“.

მხარეს, რომელმაც კანონით დაწესებულ ვადაში (ან პატივსადები მიზეზით გაშვებული ვადის აღდგენის შემდეგ) შეიტანა საკასაციო პროტესტი ან საკასაციო საჩივარი, უფლება აქვს შეიტანოს დამატებითი საკასაციო პროტესტი ან დამატებითი საკასაციო საჩივარი. გარდა ამისა, მხარეს უფლება აქვს წარადგინოს წერილობითი ახსნა-განმარტება და მისაგებელი სხვა მხარის პროტესტსა და საჩივარზე (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 410 მუხ. შენიშვნა¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების შენიშვნა). ამ დამატებითი საკასაციო პროტესტისა და საჩივრის და აგრეთვე წერილობითი ახსნა-განმარტებისა და მისაგებელის წარდგენა შეიძლება როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ისე უშუალოდ ზემდგომ სასამართლოშიც.

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 409 მუხ. შენიშვნა.

3. საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის წესი

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესმა არ იცის აპელაცია, ე. ი. ზემდგომ ინსტანციაში საქმის ხელმეორედ არსებითად განხილვა; თანახმად ჩვენი კანონმდებლობისა, ზემდგომი ინსტანცია მხოლოდ ამოწმებს საქმეზე გამოტანილ განაჩენის სისწორეს, ამიტომ საკასაციო ინსტანციაში არ დაიშვება მოწმეთა დაკითხვა და ექსპერტიზის ჩატარება; არ დაიშვება აგრეთვე დაკითხვა სამართალში მიცემულისა, და თუ სამართალში მიცემული საქმის განხილვაში მონაწილეობას იღებს, ის მხოლოდ ახსნა-განმარტებას იძლევა როგორც მხარე.

მაგრამ საკასაციო წარმოების ყველა ამ თავისებურებათა მიუხედავად, საბჭოთა კანონი საკასაციო წარმოებას მაინც იმავე ძირითად პრინციპებზე აგებს, რომლებზედაც აგებულია საქმის წარმოება პირველი ინსტანციის სასამართლოში; კერძოდ, საერთო წესის მიხედვით წყდება საკითხი სასამართლოს შემადგენლობის, მოსამართლეთა ჩამოცილების, სასამართლოში საქმის გარჩევის საჯაროობის, პროცესის შეჯიბრებითობა, სათათბირო ოთახის საიდუმლოებისა, მოსამართლეთა თათბირისა და მათ მიერ საქმეზე დადგენილების გამოტანის წესის შესახებ.

სასამართლოს შემადგენლობა საკასაციო ინსტანციაში და მოსამართლეთა ჩამოცილების წესი განსაზღვრულია სსრ კავშირის და მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 35, 43, 50, 70 და 73 მუხლებით და რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 41 — 47 მუხლებით¹ (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებით).

მოსამართლის ჩამოცილების საფუძველს წარმოადგენს მისი ნათესაური კავშირი რომელიმე მხარესთან, პირადი დაინტერესება საქმით და აგრეთვე მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის დროს.

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 40-46 მუხლები.

სასამართლო პრაქტიკაში წამოიჭრა საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა მოსამართლეს უფლება ხელმეორედ მიიღოს მონაწილეობა იმავე საქმის განხილვის დროს ზემდგომ სასამართლოში. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა განმარტა ეს საკითხი და აღნიშნა, რომ „მეორე ინსტანციის სასამართლოში ან სასამართლო-საზედამხედველო ინსტანციაში საქმის ხელმეორედ განხილვის დროს მონაწილეობის მიღება იმ მოსამართლის, რომელიც მონაწილეობდა ამავე ინსტანციებში საქმის პირველი განხილვის დროს, მხოლოდ იმ შემთხვევაში არ შეუძლია (შესაბამისად რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 44 მუხ. ¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებისა), როდესაც პირველი დადგენილება, რომელიც მისი მონაწილეობით იყო გამოტანილი, ზედამხედველობის წესითაა გაუქმებული. ამისათვის, კერძოდ, მოსამართლეს, რომელმაც მონაწილეობა მიიღო განაჩენის გაუქმების შესახებ დადგენილების გამოტანაში, რამდენადაც ეს დადგენილება არ არის გაუქმებული ზედამხედველობის წესით, შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ამავე საქმეზე ხელმეორედ გამოტანილ განაჩენზე შემოსული საჩივრისა და პროტესტის განხილვაში“ (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წ. 22 აგვისტოს დადგენილება).

სსრ კავშირის კონსტიტუციის 111 მუხლის და სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მე-8 მუხლის თანახმად საქმის გარჩევა ყველა სასამართლოში ღიად წარმოებს, რამდენადაც გამონაკლისი კანონით არ არის გათვალისწინებული. ეს დებულება სავსებით შეეხება საკასაციო წარმოებასაც, რის გამო ზემდგომ სასამართლოს სხდომის დარბაზიდან საზოგადოების გაყვანა შეიძლება მარტოოდენ სასამართლოს დასაბუთებული დადგენილებით, თანაც ისეთ შემთხვევებში, რაც კანონით პირდაპირ არის გათვალისწინე-

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 43 მუხ.

ბული (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 19, 20 მუხ. ¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები), სახელდობრ, როდესაც საქიროება მოითხოვს სამხედრო, დიპლომატიური ან სახელმწიფოებრივი საიდუმლოების დაცვას, და აგრეთვე სქესობრივი დანაშაულის შესახებ საქმეების განხილვის დროს.

შეჯიბრებითობის პრინციპი საკასაციო წარმოებაში იმაში გამოიხატება, რომ მხარეს უფლება აქვს გაასაჩივროს განაჩენი და აგრეთვე მიიღოს მონაწილეობა ზემდგომ ინსტანციის მიერ საქმის განხილვაში. საკასაციო წარმოებაში, ისე როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, მხარეებს წარმოადგენენ: სამართალში მიცემული, დაზარალებული — ბრალმდებელი კერძო ბრალდების საქმეებზე, სამოქალაქო მოსარჩელე და სამოქალაქო მოპასუხე. რაც შეეხება პროკურორს, როგორც საერთო წესი, ის მონაწილეობას იღებს საკასაციო წარმოებაში არა როგორც მხარე, არამედ როგორც კანონიერების ზედამხედველი ორგანოს წარმომადგენელი, და ამიტომ ის ახსნა-განმარტებას კი არ არღვენს, მსგავსად მხარეებისა, არამედ დასკვნას იძლევა საქმეზე. ხოლო იმ შემთხვევაში კი, როცა პროკურატურის მიერ განაჩენზე პროტესტია შეტანილი, საკასაციო ინსტანციის სხდომაში პროკურორი მონაწილეობას იღებს ერთსა და იმავე დროს როგორც მხარე და როგორც კანონიერების ზედამხედველიც.

მეორე ინსტანციის სამსჯავრო სხდომაზე მხარეთა დაბარების საკითხი სხვადასხვაგვარად არის გადაჭრილი მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდექსებში. ასე, მაგალითად, რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდექსის (409 და 435 მუხ.) და ბელორუსიის სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდექსის (409 და 435 მუხ.) თანახმად, საოლქო (სამხარეო) სასამართლოს სხდომაზე მხარეები დაიბარებიან, ხოლო მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში, ნაცვლად

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 19, 20 მუხ.

მხარეთა დაბარებისა, განსახილველად დანიშნულ საქმეთა სიას გამოჰკიდებენ. კოდექსები: უკრაინის სსრ (342 მუხ.), აზერბაიჯანის სსრ (398 მუხ.), საქართველოს სსრ (408¹ და 434 მუხ.), სომხეთის სსრ (369 მუხ.) და თურქმენეთის სსრ (162 მუხ.) საერთოდ არ ითვალისწინებს მეორე ინსტანციის სასამართლოში მხარეთა დაბარებას და ნაცვლად ამისა მოითხოვს, რომ სათანადო სასამართლოს შენობაში გამოკრულ იქნეს განსახილველად დანიშნულ საქმეთა სია. უზბეკეთის სსრ კოდექსი (153 მუხ.) და ტაჯიკეთის სსრ კოდექსი (113 მუხ.) კი მოითხოვს, .. რომ ყველა შემთხვევაში ეცნობოს მხარეებს საკასაციო ინსტანციაში საქმის მოსმენის დრო და ადგილი.

სამსჯავრო სხდომაზე მხარის ან მისი წარმომადგენლის გამოუცხადებლობა საქმის მოსმენას ვერ დააბრკოლებს, მაგრამ უკეთუ მხარე (ან მისი წარმომადგენელი) სამსჯავრო სხდომაზე გამოცხადდა, მას ნება უნდა დართონ წარადგინოს ახსნა-განმარტება, იმისდა მიუხედავად, საქმის მოსმენა მას ეცნობა თუ მან ეს სასამართლოს შენობაში გამოკრულ სიებიდან გაიგო; კერძოდ, ეს შეეხება სამართალში მიცემულს და მის დამცველს, რამდენადაც საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვაში მათი მონაწილეობა უზრუნველყოფს სამართალში მიცემულის დაცვის უფლების განხორციელებას.

მხარეთა უფლება მისცენ ახსნა-განმარტება პირადად ან თავიანთი წარმომადგენლის მეშვეობით მეორე ინსტანციის სასამართლოში, წარმოადგენს მათი კანონიერი ინტერესების დაცვის ერთ-ერთ ძირითად გარანტიას. ამისათვის მხარისა ან მისი წარმომადგენლისათვის ახსნა-განმარტების უფლების წართმევა, რა ფორმებშიც არ უნდა მოხდეს ეს, წარმოადგენს კანონის არსებითა დარღვევას და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს საზედამხედველო პრაქტიკა განიხილავს ამას, როგორც საფუძველს ასეთ პირობებში გამოტა-

წილ დადგენილების გაუქმებისათვის. ასე, მაგალითად, რსფსრ სისხ. სამართ. კოდ. 74 მუხლით¹ მსჯავრდადებულ ტოკარევის საქმეზე სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ მიუთითა, რომ „დარღვეულია სსრ კავშირის კონსტიტუციის 111 მუხლი, რადგან საკასაციო საჩივრის შეტანისას ტოკარევის ადვოკატს გამოეცხადა, რომ საქმე თათრეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოში მოსმენილ იქნება 1940 წ. 4 ოქტომბერს, სინამდვილეში კი საქმე განხილულ იქნა 1940 წ. 28 სექტემბერს ადვოკატის მონაწილეობის გარეშე“; ამისათვის საკასაციო ინსტანციის დადგენილება გაუქმებულ იქნა და საქმე გადაეგზავნა იმავე ინსტანციას მოსამართლეთა სხვა შემადგენლობაში ხელახალი განხილვისათვის (სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1941 წ. 26 თებერვლის დადგენილება). იმავე საფუძველზე იქნა გაუქმებული საკასაციო ინსტანციის დადგენილება სოკოლოვას საქმეზე (სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1943 წ. 13 თებერვლის დადგენილება) და მთელ რიგ სხვა საქმეებზე.

მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვის წესი განსაზღვრულია რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 410 და 435 მუხ. მუხ.² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებით; გამოწინააღმდეგობის მხოლოდ აზერბაიჯანის სსრ და უზბეკეთის სსრ კოდექსები წარმოადგენენ, რომლებიც ამ საკითხის შესახებ არავითარ მითითებებს არ შეიცავენ. სწორი იქნება თუ ჩავთვლით, რომ ამ რესპუბლიკების კანონმდებლობაც, გამომდინარე საკასაციო წარმოების საერთო ხასიათიდან, გულისხმობს საქმის განხილვის ჩვეულებრივ წესს, სახელდობრ სასამართლოს წევრის მოხსენებას, მხარეთა ახსნა-განმარტებას.

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. კოდ. 75 მუხ.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. კოდ. 409 და 434 მუხ.

და პროკურორის დასკვნას და შემდეგ სასამართლოს მიერ დადგენილების გამოტანას.

მოხსენებას საქმეზე საკასაციო წარმოებაში არსებითი მნიშვნელობა ენიჭება. კანონი არ შეიცავს ამ მოხსენების შინაარსის განსაზღვრას, და პრაქტიკაში ხშირია შემთხვევები, როცა სასამართლოს წევრი — მომხსენებელი კმაყოფილდება იმით, რომ აღნიშნავს თავის მოხსენებაში სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლს, რომლითაც მსჯავრი დაედო სამართალში მიცემულს, სასჯელის ზომას, რაც მას დაენიშნა და საკასაციო საჩივრისა და პროტესტის ეგრეთწოდებულ სათხოვარ პუნქტს. ეს სრულიად არ არის საკმარისი: მოხსენება მიზნად ისახავს გააცნოს სასამართლოს შემადგენლობას განსახილველი საქმის შინაარსი და შესაბამისად ამისა მასში დაწერილებით უნდა იქნას გადმოცემული განაჩენი და საქმის ძირითადი მომენტები და აგრეთვე საკასაციო საჩივარსა და საკასაციო პროტესტში მოყვანილი მოსაზრებები.

თანახმად სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 15 მუხლისა, ზემდგომი სასამართლო ამოწმებს რამდენად კანონიერი და დასაბუთებულია განაჩენი „საქმეში არსებული და მხარეთა მიერ წარმოდგენილი მასალებით“. რადგან საკასაციო წარმოებაში მოწმეთა დაკითხვა და ექსპერტიზის ჩატარება არ არის დაშვებული, მხარეთა მიერ წარმოდგენილ ახალ მასალებს შეიძლება შეიცავდნენ მხოლოდ სხვადასხვა სახის დოკუმენტები, როგორც არის: სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულებათა და საწარმოთა მიერ გაცემული დახასიათებები; ცნობები და მოწმობები. ყველა ასეთი წერილობითი მასალა მხარეს შეუძლია წარმოადგინოს როგორც ძირითადად და დამატებით საკასაციო საჩივარსა და პროტესტთან ერთად, ისე საკასაციო ინსტანციის მიერ საქმის განხილვის დროს.

პრაქტიკაში ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც მხარე მოკლებულია შესაძლებლობას მიიღოს ესა თუ ის საჭირო დოკუმენტი სასამართლოს სათანადო მოთხოვნის გარეშე-

ასევე შესაძლებელია, რომ ზემდგომმა სასამართლომ თავისი თაოსნობით საჭიროდ სცნოს რაიმე დოკუმენტის გამოთხოვა. თუმცა კანონი მხოლოდ იმ ახალ მასალებზე ლაპარაკობს, რაც მხარეთა მიერ იქნება წარდგენილი, მაგრამ რამდენადაც შესაძლოა, რომ ესა თუ ის დოკუმენტი აუცილებელი შეიქნეს საქმის სწორად გადაწყვეტისათვის, უნდა დავასკვნათ, რომ ასეთ შემთხვევებში ზემდგომ სასამართლოს უფლება აქვს, როგორც თავისი თაოსნობით, ისე მხარეთა შუამდგომლობით, გამოითხოვოს ეს დოკუმენტი.

4. საკასაციო საბაბები

საკასაციო წარმოებაში საკითხს საკასაციო საბაბის შესახებ ძირითადი მნიშვნელობა აქვს. საკასაციო საბაბი ეწოდება იმ გარემოებას, რომელიც იწვევს განაჩენის გაუქმებას ან მის შეცვლას. ამისდა მიხედვით ზემდგომი სასამართლო ყოველ კერძო შემთხვევაში, მოვალეა გადაწყვიტოს, მოიპოვება თუ არა ასეთი საკასაციო საბაბი განსახილველ საქმეში.

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში საკასაციო საბაბებს წარმოადგენს:

- ა) სასამართლო წარმოების ფორმის დარღვევა,
- ბ) კანონის დარღვევა ან მისი არასწორად შეფარდება,
- გ) საქმის არასრული გამოკვლევა,
- დ) განაჩენის დაუსაბუთებლობა,
- ე) სასჯელის შეუსაბამობა დამნაშავეის საშიშროებისა და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის ხარისხთან (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 413 — 417 მუხ., უკრაინის სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 348 მუხ., ბელორუსიის სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 413 — 416 მუხ. საქართველოს სსრ სისხ. სამართ. კოდ. 412 — 416 მუხ., აზერბაიჯანის სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 402 — 406 მუხ., სომხეთის სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 373 — 377 მუხ., უზბეკეთის სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 154 მუხ., თურქმენეთის სსრ სისხ. სამართ. საპრ.

კოდ. 163 მუხ., ტაჯიკეთის სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 118 და 119 მუხ.).

ა) სასამართლო წარმოების ფორმის დარღვევა

სასამართლო წარმოების ფორმა, ე. ი. სისხლის სამართლის საქმეთა გამოკვლევისა და განხილვის კანონით დადგენილი წესი, მიზნად ისახავს სასამართლოს მიერ საქმეების სწორად გადაწყვეტის უზრუნველყოფას და ამასთან ერთად მხარეთა უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის გარანტირებას. ამისათვის გამოძკვლევი ორგანოები და სასამართლო მოვალენი არიან დაიცვან საპროცესო ნორმები, ე. ი. წესები, რომლებიც განსაზღვრავს სასამართლო წარმოების ფორმას. ამ წესების დაუცველობამ შეიძლება გამოიწვიოს მხარეთა უფლებისა და კანონიერი ინტერესების დარღვევა და სასამართლოს მიერ საქმის არასწორად გადაწყვეტა, სხვაგვარად რომ ითქვას, შეიძლება გავლენა მოახდინოს საქმის შედეგზე. ასეთი საპროცესო დარღვევები არსებით დარღვევებს წარმოადგენს და განაჩენის გაუქმებას იწვევს.

სასამართლო წარმოების ფორმის არსებით დარღვევებს, კერძოდ, წარმოადგენს: ა) რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 206 მუხლის¹ (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების) მოთხოვნათა დაუცველობა, რამდენადაც ამას შეეძლო ხელი შეეშალა ბრალდებულისათვის წარედგინა თავის დასაცავად დამამტკიცებელი საბუთები; ბ) საქმის განხილვა არსებითად, უკეთუ ეს საქმე წინასწარ განხილული არ ყოფილა მოსამზადებელ (გამწესრიგებელ) სხდომაზე (სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 27 მუხლის დარღვევა); გ) რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 235 მუხლის² (და სხვა მოკავშირე რეს-

¹ სისხ. სამ. საქმეთა გამო წინასწ. გამოკვ. წარმ. დრ. წესები 57 მუხ.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 235 მუხ.

პუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების) მოთხოვნათა დაუცველობა, რამდენადაც ამას შეეძლო ხელი შეეშალა სამართალში მიცემულისათვის მომზადებულიყო თავის დასაცავად; დ) საქმის განხილვა ექსპერტიზის ჩაუტარებლად მაშინ, როდესაც საქმის გარემოებათა მიხედვით ექსპერტიზის ჩატარება სავალდებულო იყო; ე) ექსპერტის სახით ისეთი პირის გამოწვევა, რომელიც ექვემდებარება აცილებას (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 48 და 63 მუხ. მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების დარღვევა); ვ) მსჯავრის დადება ისეთი ქმედობისათვის, რაზედაც სამართალში მიცემულს, წინასწარი გამოკვლევის სტადიაში, ბრალდება წაყენებული არ ჰქონია (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 311 და 313 მუხ. მუხ.² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების ს-სხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების დარღვევა) და სხვა.

ზემდგომი სასამართლო, კპოვებს რა საქმეში ამა თუ იმ საპროცესო დარღვევას, მოვალეა გადაწყვიტოს საკითხი — არსებითია ეს დარღვევა თუ არა და შეეძლო თუ არა მას გავლენა მოეხდინა საქმის შედეგზე, ე. ი. შეეძლო თუ არა მას ზელი შეეშალა მხარესათვის განეხორციელებია პროცესში თავისი უფლებები, ხოლო სასამართლოსათვის — სწორად გადაეწყვიტა საქმე. ამ საკითხზე დამადასტურებელი პასუხის შემთხვევაში განაჩენი უნდა გაუქმდეს; ხოლო იმ შემთხვევაში, როცა საპროცესო დარღვევას თუმცა ადგილი ჰქონდა, მაგრამ ის არ წარმოადგენს არსებით დარღვევას, ზემდგომი სასამართლო განაჩენს დასტოვებს ძალაში და მას შეუძლია ეს დარღვევა აღნიშნოს კერძო დადგენილებაში, რათა პირველი ინსტანციის სასამართლომ მომავალში აღარ დაუშვას სასამართლო წარმოების ფორმის მსგავსი დარღვევა.

ამგვარად, ზემდგომი სასამართლო საკითხს იმის შესახებ,

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 47, 63 მუხ.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 311, 313 მუხ.

არსებითია თუ არა ესა თუ ის დარღვევა, წყვეტს თვითეული მოცემული საქმის გარემოებათა მიხედვით. მაგრამ ამასთან ერთად სასამართლო წარმოების ფორმის ზოგიერთ დარღვევას კანონი იმდენად არსებითი ხასიათის დარღვევად სთელის, რომ როცა კი მას აღგილი აქვს, ყოველთვის მოითხოვს განაჩენის გაუქმებას. ამისათვის, როდესაც ზემდგომი სასამართლო საქმეში ასეთ დარღვევას აღმოაჩენს, მას ალარ შეუძლია შევიდეს იმის განხილვაში, მოახდინა თუ არა ამ დარღვევამ გავლენა საქმის შედეგზე, და მოვალეა ყოველთვის და ყოველ შემთხვევაში გააუქმოს განაჩენი.

იმ საპროცესო დარღვევებს, რომლებიც ყოველთვის განაჩენის გაუქმებას იწვევს, ა უ ც ი ლ ე ბ ე ლ ი საკასაციო საბაბები ეწოდება. ამათ რიცხვს მიეკუთვნება:

ს ა ს ა მ ა რ თ ლ ო ს ა რ ა ს ა თ ა ნ ა დ ო შ ე მ ა დ გ ე ნ -
ლო ბ ა . არასათანადო შემადგენლობის სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს კანონიერი ძალა არა აქვს და ის ყოველთვის გაუქმებულ უნდა იქნას. სასამართლოს შემადგენლობა არასათანადოა, უკეთეს მასში მონაწილეობდა ისეთი პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით არჩეული არ ყოფილა მოსამართლედ ან სახალხო მსაჯულად, ანდა, რომელიც არის სხვა სასამართლოს მოსამართლე ან სახალხო მსაჯული. ასე, სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ სასამართლო ზედამხედველობის წესით მეღკუმოვის საქმის გადასინჯვისას გამოარკვია, რომ ამ საქმეზე სასამართლოს შემადგენლობაში სახალხო მსაჯულებად შედიოდნენ იურიდიული სკოლის მსმენელი-პრაქტიკანტები, რომლებიც სახალხო მსაჯულების რიცხვს არ ეკუთვნოდნენ და ამის გამო განაჩენი გააუქმა (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1940 წლის 16 მარტის დადგენილება). ასევე გაუქმებულ იქნა სახალხო სასამართლოს განაჩენი აშუალოვის საქმეზე იმის გამო, რომ სასამართლოს შემადგენლობაში შედიოდა გრიდინი, რომელიც იყო არა სახალხო სასამართლოს სახალხო მსაჯული, არამედ — სახალხო სასამართლოს:

(სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 3 ივლისის დაგენილება).

შემდეგ, სასამართლოს შემადგენლობა არასათანადოა, უკეთეს საქმის განხილვაში მონაწილეობა მიიღო, როგორც მოსამართლემ ან როგორც სახალხო მსაჯულმა, ისეთმა პირმა, რომელიც რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 43, 44 და 45 მუხ. მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების ძალით აცილებას ექვემდებარებოდა.

დაბოლოს, განაჩენის გამოტანაში მონაწილეობის მიღება არ შეუძლიათ იმ პირთ, რომლებსაც საქმის განხილვაში მონაწილეობა არ მიუძღიათ. ასე, სსრ კავშირის უმაღლესმა სასამართლომ ალექსანდროვის საქმის ზედამხედველობის წესით გადასინჯვისას კპოვა, რომ სამსჯავრო სხდომის ოქმში სახალხო მსაჯულებად აღნიშნული არიან ბერდიჩევსკი და მოყაროვსკი, ხოლო განაჩენში — ბერდიჩევსკი და ხაზანჯი, რის გამო განაჩენი, როგორც არასათანადო შემადგენლობის სასამართლოს მიერ გამოტანილი, გააუქმა (სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1941 წლის 24 იანვრის დადგენილება).

სასამართლოს მიერ საქმის მოუსპობლობა ისეთი პირობების არსებობისას, როდესაც საქმის მოსპობა სავალდებულოა. გარემოებანი, რომლებიც რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 4 მუხ.² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო მუხლებშია აღნიშნული, იწვევს საქმის აუცილებლად მოსპობას, პროცესის რა სტადიაშიც უნდა იყოს საქმე. ეს გარემოებანია:

ა) ბრალდებულის გარდაცვალება;

ბ) ბრალდებულის შერიგება დაზარალებულთან იმ საქმის გამო, რაც შეიძლება აღძრულ იქნას მხოლოდ დაზარა-

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 42, 43, 44 მუხ.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 4 მუხ.

ლებულის საჩივრით (გარდა, რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 10 და 11 მუხ. მუხ. ¹ აღნიშნულ შემთხვევებისა);

გ) ხანდაზმულობის ვადის გასვლა;

დ) ბრალდებულის მოქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის უქონლობა;

ე) ამნისტიის აქტის არსებობა.

უკეთეს საქმის განხილვის დროს დადგენილ იქნა რომელიმე ზემოთ აღნიშნული გარემოება, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმე უნდა მოსპოს განაჩენის გამოუტანლად. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა განაჩენი გამოტანილია, ზემდგომი სასამართლო მოვალეა განაჩენი გააუქმოს და შესაბამისად რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 418 მუხლისა ² (ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებისა) საქმე წარმოებით მოსპოს.

საქმის განხილვა სამართალში მიცემულის დაუსწრებლად, მაშინ როდესაც ეს კანონით არ დაიშვება. სამართალში მიცემულის მონაწილეობას საქმის არსებითად განხილვის დროს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც სასამართლოს მიერ საქმის სრული და ყოველმხრივი გამოკვლევის ერთ-ერთ პირობას; ამასთან ერთად ამით უზრუნველყოფილია სამართალში მიცემულის შესაძლებლობა განახორციელოს თავისი უფლება დაცვაზე ჩვენებისა და ახსნა-განმარტების მიცემით და მოწმეთა და ექსპერტთა დაკითხვასა და სხვა დამამტკიცებელი საბუთების განხილვაში მონაწილეობის მიღებით. ამიტომ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი, როგორც საერთო წესი, მოითხოვს პირველი ინსტანციის სასამართლოს სამსჯავრო სხდომაზე სამართალში მიცემულის დასწრებას და საქმის არსებითად განხილვა სამართალში მიცემულის დაუსწრებლად, დასაშვებად მიაჩნია მხოლოდ ზოგიერთ შემთხვევებში, რაც კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 265 მუხ. ³ და

¹ საქ. სსრ. სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 10, 11 მუხ.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 417 მუხ.

³ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 265 მუხ.

სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სა-
თანადო მუხლები). ყველა სხვა შემთხვევებში კი საქმის არსე-
ბითად განხილვა სამართალში მიცემულის დაუსწრებლად
წარმოადგენს საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის
ძირითად დებულებების უხეშ დარღვევას და უსათუოდ
იწვევს განაჩენის გაუქმებას.

აღნიშნული დებულებანი შეეხებიან ყველა სისხლის სა-
მართლის საქმეებს, მათ შორის საქმეებსაც 1940 წლის 26
ივნისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ დანაშაულთა
შესახებ¹. გამომდინარე აქედან, სსრ კავშირის უმაღლეს სასა-
მართლოს პლენუმმა თავის 1942 წლის 22 ოქტომბრის დად-
გენილებაში „სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის
1940 წლის 26 ივნისის ბრძანებულებით გათვალისწინებულ
დანაშაულთა საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის ნაკლოვანე-
ბათა შესახებ“ მიუთითა, რომ „ამ კატეგორიის საქმეთა
დაუსწრებელი განხილვისათვის არავითარი გამონაკლისი
არ არის დაშვებული საქმეთა დაუსწრებელი განხილვის
წესებიდან (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 265 მუხ.² და
სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ.
სათანადო მუხლები) და რომ ამიტომ, კერძოდ, დაუსწრებე-
ლი განხილვა საქმეებისა თვითნებურად წასვლის შესახებ,
როგორც ისეთი საქმეებისა, რომელთაც შეეფარდებათ სას-
ჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით, შეიძლება დაშვებულ-
იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთეს სამართალში მიცემუ-
ლი ამის თანხმობას პირდაპირ განაცხადებს ან უკეთეს და-
მტკიცდება, რომ ბრალდებული თავს არიდებს სასამართ-
ლოს“. რაც შეეხება საქმეებს სამუშაოს გაცდენის შესა-
ხებ, ამაზე სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისრის
1940 წლის 6 მაისის ბრძანებაში მითითებულია, რომ არ

¹ იხ. სსრკ უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმის 1951 წ. 14 ივლისის
ბრძანებულება.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 265 მუხ.

იქნას დაშვებული ამ საქმეების დაუსწრებელი განხილვა, იმისდა მიუხედავად, რომ ბრალდებულს არ მოელის სასჯელი თავისუფლების აღკვეთის სახით; აგრეთვე მიითითებულია — აღინიშნოს უწყებებში, რომ სამართალში მიცემულის სასამართლოში გამოცხადება სავალდებულოა და რომ თავის-არიდების შემთხვევაში იგი იძულებით იქნება მოყვანილი.

საქმის უდამცველად განხილვას, როდესაც დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა. კანონი (სსრ კავშირის კონსტიტუციის 111 მუხლი), უზრუნველყოფს რა ბრალდებულს დაცვის უფლებით, შესაძლებლობას აძლევს მას წარადგინოს თავის დასაცავად დამამტკიცებელი საბუთები და ახსნა-განმარტება როგორც პირადად, ისე დამცველის საშუალებით, რომელიც ბრალდებულს იურიდიულ დახმარებას უწევს სასამართლოში. ამასთან, საბჭოთა კანონმდებლობა არ კმაყოფილდება მით, რომ ანიჭებს სამართალში მიცემულს უფლებას მოიწვიოს დამცველი, არამედ მთელ რიგ შემთხვევებში სავალდებულოდ სთვლის დამცველის მონაწილეობას და მიუთითებს სასამართლოს — დაუნიშნოს დამცველი სამართალში მიცემულს ამ უკანასკნელის თხოვნის გარეშეც.

ყურადღება უნდა მიექცეს იმას, რომ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსები: რსფსრ (55 მუხ.), ბელორუსიის სსრ (55 მუხ.), საქართველოს სსრ (54 მუხ.), სომხეთის სსრ (54 მუხ.) და ტაჯიკეთის სსრ (76 მუხ.), ჩამოთვლიან რა შემთხვევებს, როცა დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა, არ იხსენიებენ იმ საქმეებს, რომლებშიაც სამართალში მიცემულნი არასრულწლოვანი პირები არიან. მაგრამ სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარმა, მიიღო რა მხედველობაში, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს სამართალში მიცემულ არასრულწლოვანთათვის იურიდიული დახმარების გაწევას, თავის, 1940 წლის 11 ივნისის ბრძანებით მიუთითა — „არ იქნას დაშვებული არასრულწლოვანთა საქმეების განხილვა სასამართლოში დამცველის მონაწილეობის გარეშე“. სხვა მოკავშირე რესპუ-

ბლიკებში კანონი პირდაპირ ითვალისწინებს არასრულწლოვანთა საქმეებზე დამცველის მონაწილეობის სავალდებულობას (სისხ. სამართ. საპრ. კოდ.: უკრაინის სსრ 54 მუხ., აზერბაიჯანის სსრ 52 მუხ., უზბეკეთის სსრ 88 მუხ., თურქმენეთის სსრ 11 მუხ.).

ყველა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევაში საქმის განხილვა დამცველის მონაწილეობის გარეშე წარმოადგენს ბრალდებულის კონსტიტუციით გარანტირებული დაცვის უფლების დარღვევას და ითვლება აუცილებელ საკასაციო საბაზად, რომელსაც ყოველთვის მოსდევს განაჩენის გაუქმება.

ბრალდებულის დაცვის უფლების ასეთსავე დარღვევას წარმოადგენს, როცა სასამართლო არ დაუშვებს საქმეში მონაწილეობის მისაღებად სამართალში მიცემულის მიერ შეთანხმებით მოწვეულ დამცველს, ისეთ შემთხვევებში, როცა დამცველის დანიშვნა კანონით არ არის სავალდებულო. ასევე დაცვის უფლებას მოკლებულად აღმოჩნდებიან სამართალში მიცემულნი მაშინაც, როდესაც, მიუხედავად იმისა, რომ მათ ინტერესთა შორის წინააღმდეგობა არსებობს, მათ ერთი დამცველი ჰყავთ (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 251 მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების დარღვევა). დაბოლოს, ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევას ადგილი აქვს იმ შემთხვევაშიაც, როცა სამართალში მიცემულის მიერ არჩეული დამცველის გამოუცხადებლობისას ეს უკანასკნელი შეცვლილია სხვა დამცველით სამართალში მიცემულის თანხმობის გარეშე (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 268 მუხ.² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების დარღვევა). ამიტომ ყველა აღნიშნულ შემთხვევებში განაჩენის გაუქმება ისევე სავალდებულოა, როგორც რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 55 მუხ.³ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების დარღვევის დროს.

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 238 მუხ.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 268 მუხ.

³ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 54 მუხ.

უნდა აღინიშნოს, რომ ზემოთ ჩამოთვლილი საპროცესო დარღვევები აუცილებელ საკასაციო საბაბთა სახით გათვალისწინებულია მხოლოდ შემდეგ სისხ. სამართ. საპრ. კოდექსებში: რსფსრ (415 მუხ.), ბელორუსიის სსრ (415 მუხ.), აზერბაიჯანის სსრ (375 მუხ.) და ტაჯიკეთის სსრ (119 მუხ.)¹; რაც შეეხება უკრაინის სსრ, თურქმენეთის სსრ და უზბეკეთის სსრ კოდექსებს, ისინი არ შეიცავენ აუცილებელ საკასაციო საბაბების ჩამოთვლას. მაგრამ, გამომდინარე საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ძირითად პრინციპებიდან, უნდა ვცნოთ, რომ ამ რესპუბლიკებშიც აღნიშნულ საპროცესო დარღვევებს უნდა ყოველთვის მოჰყვეს განაჩენის გაუქმება.

გარდა იმ საპროცესო დარღვევებისა, რაც გათვალისწინებულია რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 415 მუხლის 1 — 4 პუნქტებით² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებით, აუცილებელ საკასაციო საბაბთა რიცხვს, რომელთაც ყოველთვის განაჩენის გაუქმება მოსდევს, უნდა მიეკუთვნოს აგრეთვე საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ძირითადი დებულებებიდან გადახრის სხვა შემთხვევებიც, როგორც არის: დარღვევა სტალინური კონსტიტუციის 110 მუხლისა, დარღვევა სათათბირო ოთახის საიდუმლოებისა, და აგრეთვე განაჩენზე რომელიმე მოსამართლის მიერ ხელის მოუწერლობა და სამსჯავრო სხდომის ოქმზე თავმჯდომარის ან მდივნის მიერ ხელის მოუწერლობა, რამდენადაც ასეთ პირობებში არც განაჩენს და არც სამსჯავრო სხდომის ოქმს არ ექნებათ სასამართლო დოკუმენტის ძალა. დიდ შეცდომას წარმოადგენს ზოგიერთი სამხარეო (საოლქო) და რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოების პრაქტიკა, როცა კანონიერად გაფორმებული სამსჯავრო სხდომის ოქმის არარსებობის შემთხვევაში განაჩენს სტოვებენ ძალაში, ხოლო სასა-

¹ იხ. საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 414 მუხ.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 414 მუხ.

მართლოს კი წინადადებას აძლევენ ხელი მოაწეროს ოქმს უკვე მას შემდეგ, რაც საქმე უმაღლეს ინსტანციაში იქნა განხილული.

ბ) კანონის დარღვევა ან მისი არასწორად შეფარდება

კანონის დარღვევას ან მის არასწორად შეფარდებას, სიტყვის ფართე გაგებით, ადგილი აქვს იმ შემთხვევაშიც, როცა საქმეზე დარღვეულია საპროცესო ნორმები, ე. ი. კანონით დადგენილი სასამართლო წარმოების ფორმები. მაგრამ რადგან საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში, საპროცესო დარღვევები გამოყოფილია ცალკე საკასაციო საბაბებად, ამისათვის რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 416 მუხლით¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო მუხლებით გათვალისწინებული კანონის დარღვევა ან მისი არასწორად შეფარდება გაგებულ უნდა იქნას, როგორც არასწორად შეფარდება ყველა სხვა კანონებისა, გარდა საპროცესო კანონებისა, და კერძოდ კი, არასწორად შეფარდება სისხლის სამართლის კანონებისა. ამას მიეკუთვნება: მსჯავრდადებულის მიერ ჩადენილი დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია, ისეთი სასჯელის დადება, რაც კანონით გათვალისწინებული არ არის, დანაშაულებრივ ქმედობად ისეთი ქმედობის აღიარება, რომელიც არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას ანდა პირიქით — ჩათვლა არადანაშაულებრივ ქმედობად ისეთი ქმედობისა, რომელიც შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას.

გ) საქმის არასრული გამოკვლევა

თვითეული სასამართლოს მიერ განსახილველი საქმის სწორად გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ შეიძლება, უკეთუ საქმე წინასწარ გამოძიების სტადიასა და სამსჯავრო სხდო-

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 412 მუხ.

მაზე სრულად და ყოველმხრივად არის გამოკვლეული. ამისათვის უნდა იქნას შეკრებილი და განხილული ყველა ის დამამტკიცებელი საბუთები, რაც საჭიროა იმისათვის, რომ სწორი პასუხი გაეცეს შემდეგ ძირითად კითხვებს: ა) ჩადენილია თუ არა დანაშაული, ბ) როგორია ამ დანაშაულის ეს ძირითადი ნიშნები, რომლებიც განსაზღვრავს მის კვალიფიკაციას სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლით, გ) ვის მიერ არის ჩადენილი დანაშაული, ვ) როგორია დანაშაულისა და დამნაშავეის საშიშროების ხარისხი. უკეთეს საქმის რომელიმე ამ მომენტთან სათანადო სისრულით გამორკვეული არ იქნა, სასამართლოს მიერ განაჩენში გაკეთებული დასკვნები დაუსაბუთებელი აღმოჩნდება და ასეთ პირობებში გამოტანილი განაჩენი გაუქმებული უნდა იქნას.

დ) განაჩენის დაუსაბუთებლობა

განაჩენი დასაბუთებულად მაშინ ჩაითვლება, როცა სასამართლოს დასკვნები გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილი ყველა დამამტკიცებელი საბუთიდან და ისინი არსებითად სწორია. ამისათვის საქმის არასრული გამოკვლევა, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული, განაჩენს დაუსაბუთებლად ხდის. მაგრამ, გარდა ამისა, განაჩენის დაუსაბუთებლობას ადგილი აქვს მაშინაც, როდესაც თუმცა საქმე გამოკვლეულია სრულად და მასზე ყველა დამამტკიცებელი საბუთია შეკრებილი, მაგრამ დასკვნები, რომლებიც სასამართლომ განაჩენში გააკეთა, არ გამომდინარეობს ამ დამამტკიცებელ საბუთებიდან, ვერ პოულობს მასში თავის დამტკიცებას და რჩება დაუსაბუთებელი. დაბოლოს, გამამტკიცებელი განაჩენი დაუსაბუთებლად უნდა იქნას მიჩნეული იმ შემთხვევაშიც, როდესაც საქმეზე შეკრებილი დამამტკიცებელი საბუთები საკმარისი არ არის იმისათვის, რომ სამართალში მიცემული ცნობილ იქნას დამნაშავედ იმ დანაშაულში, რაც მას ბრალად ედება.

განაჩენის დაუსაბუთებლობა — ანუ, რაც იგივეა, განაჩენის არსებითად უსწორობა — საკასაციო საბაბად გათვალისწინებულია მხოლოდ ზოგიერთი მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით, სახელდობრ სისხ. სამართ. საპრ. კოდექსებით: უკრაინის სსრ (348 მუხ. პ. 4), უზბეკეთის სსრ (154 მუხ.), ტაჯიკეთის სსრ (118 მუხ.) და თურქმენეთის სსრ (163 მუხ.); სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსები კი არ შეიცავენ პირდაპირ მითითებას ამ საკასაციო საბაბზე. მაგრამ, თანახმად სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 15 მუხლისა, ზემდგომი სასამართლოს ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ შეამოწმოს განაჩენის კანონიერება და დასაბუთება, ამიტომ, განაჩენის დაუსაბუთებლობამ მისი გაუქმება უნდა გამოიწვიოს თანახმად საერთო საკავშირო კანონისა, იმისდა მიუხედავად, გათვალისწინებულია თუ არა ეს საკასაციო საბაბი ამა თუ იმ მოკავშირე რესპუბლიკის კანონმდებლობით.

ე) გადაწყვეტილი სასჯელის შეუსაბამობა დამნაშავეისა და მის მიერ ჩადენილ დანაშაულის საშიშროების ხარისხთან

უკეთეს სასამართლომ გადაწყვიტა ისეთი სასჯელი, რაც კანონით გათვალისწინებული არ არის, — საქმე გვაქვს კანონის არასწორად შეფარდებასთან, ე. ი. საკასაციო საბაბთან, რომელიც გათვალისწინებულია რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 416 მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებში. მაგრამ შესაძლოა ისეთი შემთხვევები, როდესაც სასამართლო თუმცა არ სცილდება კანონიერ ფარგლებს, მაგრამ უნიშნავს ისეთ სასჯელს, რაც არ შეესაბამება დამნაშავეის და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხს, სხვაგვარად რომ ითქვას, სასჯელი მეტად მძიმე ან მეტად მსუბუქია. სასჯე-

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 412 მუხ.

ლის ასეთი არასწორი გადაწყვეტა წარმოადგენს საკასაციო საბაბს, რაც გამოიწვევს განაჩენის შეცვლას მეტად მძიმე სასჯელის შემსუბუქების გზით, ან განაჩენის გაუქმებას საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაცემით, მეტად მსუბუქი სასჯელის გამო პროკურორის მიერ შეტანილი საკასაციო პროტესტის საფუძველზე.

5. საქმის სარევიზიო გადათვალთვალება

განაჩენის საკასაციო გადასინჯვის ამოცანები, რაც იმაში მდგომარეობს, რომ ხელმძღვანელობა გაეწიოს პირველი ინსტანციის სასამართლოებს, უზრუნველყოფილ იქნას კანონის სწორად შეფარდება და მხარეთა უფლებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება სათანადოდ იქნას განხორციელებული, თუ ზემდგომ სასამართლოს შესაძლებლობა ექნება შეამოწმოს განაჩენის გამომტანი სასამართლოს მთელი საქმიანობა. ამიტომ საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში ზემდგომი სასამართლო არ არის შეზღუდული საკასაციო პროტესტისა და საკასაციო საჩივრის ფარგლებით და ის მოვალეა, ყოველ კერძო შემთხვევაში, გადაათვალიეროს საქმის წარმოება სარევიზიო წესით (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 412 მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები). ეს იმას ნიშნავს, რომ ზემდგომი სასამართლო მოვალეა არა მარტო საკასაციო პროტესტი და საკასაციო საჩივარი განიხილოს იმისათვის, რომ დაადგინოს, არსებობს თუ არა ის საკასაციო საბაბები, რომლებიც აღნიშნულია მათში, არამედ, გარდა ამისა, მან თავისი თაოსნობით, ყოველ კერძო შემთხვევაში, მთელი საქმე უნდა გადაათვალიეროს, რათა გამოარკვიოს — ხომ არ არის საშიში ისეთი საკასაციო საბაბები, რომლებიც პროტესტსა და საჩივარში არ არის აღნიშნული. და უკეთეს ზემდგომი სასამართლო სარევიზიო წესით ასეთს საკასაციო საბაბებს ჰპოვებს, კი-

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 411 მუხ.

ღევაც რომ უსაფუძვლოდ იქნას მიჩნეული ის მოსაზრებანი, რაც საკასაციო პროტესტსა და საჩივარშია მოყვანილი, განაჩენი მაინც უნდა შეიცვალოს ან გაუქმდეს საქმის ხელახალი განხილვისათვის.

საკითხი საქმის სარევიზიო გადათვალიერების ფარგლების შესახებ სხვადასხვაგვარად არის გადაჭრილი სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობით. ასე, სისხ. სამართ. საპრ. კოდექსები: უკრაინის სსრ (345 მუხ.), უზბეკეთის სსრ (158 მუხ.), ტაჯიკეთის სსრ (115 მუხ.) და თურქმენეთის სსრ (163 მუხ.) უშვებენ სარევიზიო წესით განაჩენის გაუქმებას და შეცვლას ყველა საკასაციო საბაბებით და ყველა სამართალში მიცემულთა მიმართ; ეს ეხება აგრეთვე იმათაც, რომელთა მიმართ განაჩენი არ გასაჩივრებულა ან არ გაპროტესტებულა. პირიქით, თანახმად სისხ. სამართ. საპრ. კოდექსებისა: რსფსრ (411, 412, 422 მუხ. მუხ.), ბელორუსიის სსრ (411, 412, 432 მუხ. მუხ.), აზერბაიჯანის სსრ (400, 401 411 მუხ. მუხ.), საქართველოს სსრ (410, 411, 421 მუხ. მუხ.) და სომხეთის სსრ (371, 372, 383 მუხ. მუხ.), განაჩენის შეცვლა ან გაუქმება ყველა იმ საკასაციო საბაბთა მიხედვით, რაც ზემდგომი სასამართლოს მიერ სარევიზიო წესით იქნა დადგენილი, შეიძლება მხოლოდ იმ სამართალში მიცემულთა მიმართ, რომელთა მიმართ განაჩენი გასაჩივრდა ან გაპროტესტდა, ხოლო სხვა სამართალში მიცემულთა მიმართ კი, განაჩენის სარევიზიო წესით შეცვლა ან გაუქმება შეიძლება მხოლოდ ზოგიერთ დარღვევათა გამო, რაც ჩამოთვლილია კანონში და როგორც არის: სასამართლოს არასათანადო შემადგენლობა, სათათბირო ოთახის საიდუმლოების დარღვევა და იმ გარემოებათა არსებობა, რომლებიც საქმის წარმოების მოსპობას იწვევს.

საქმის სარევიზიო გადათვალიერება საკასაციო წარმოების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს და, ისევე როგორც მთელი ეს წარმოება, თავის ამოცანად ისახავს საქმის გამოკვლევისა და განხილვის დროს დაშვებულ უსწორობათა

და შეცდომათა გასწორებას და აღმოფხვრას. ამიტომ თუ სარევიზიო წესით: აღმოჩენილ იქნა, მაგალითად, საქმის არასრული გამოკვლევა, არსებითი ხასიათის საპროცესო დარღვევა (საქმის განხილვა ბრალდებულის დაცვის უფლების დარღვევით და სხვ.), დანაშაულის არასწორი კვალიფიკაცია და არასწორი სასჯელის დადება, ასეთი განაჩენის დატოვება ძალაში ამა თუ იმ სამართალში მიცემულის მიმართ მხოლოდ იმისათვის, რომ ამ სამართალში მიცემულს არ შეუტანია საკასაციო საჩივარი ანდა მის მიმართ პროკურორისაგან არ შემოსულა საკასაციო პროტესტი, ეს იმას ნიშნავს, რომ გვერდი ავუაროთ სოციალისტური კანონიერების აშკარა დარღვევას. აქედან გამოდის, რომ თუმცა რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 411, 412 და 422 მუხლები და ბელორუსიის სსრ, აზერბაიჯანის სსრ, საქართველოს სსრ და სომხეთის სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები, მათი პირდაპირი აზრით, ზღუდავენ საქმის სარევიზიო გადათვალისწინების ფარგლებს, მაგრამ ეს გადათვალისწინება, შესაბამისად მისი არსისა და ამოცანებისა, მთლიანად ვრცელდება ამ საქმის მიხედვით ყველა სამართალში მიცემულზე, იმისდა მიუხედავად, იყო თუ არა მათ მიმართ განაჩენი გასაჩივრებული ან გაპროტესტებული.

და მართლაც, რსფსრ უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა ჯერ კიდევ 1924 წელში განმარტა, რომ საკასაციო ინსტანციას „საქმის სარევიზიო წესით განხილვისას შეუძლია გააუქმოს განაჩენი ყველა ბრალდებულის მიმართ, როგორც იმათ მიმართ, რომლებმაც საკასაციო საჩივარი შეიტანეს, ასევე იმათ მიმართაც, რომლებსაც საკასაციო საჩივარი არ შეუტანიათ, არა მარტოდენ 412 მუხლში ნაჩვენები საფუძვლებით“ (1924 წლის 7 ივნისის დადგენილება).

საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში მხოლოდ ერთი შეზღუდვაა დაწესებული საქმის სარევიზიო გადათვალისწინებისათვის. სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების 1924 წლის სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ძირითად საფუძველთა 26 მუხლის თანახმად, საქმის ხელახა-

ლი განხილვის დროს უფრო მძიმე სასჯელის გადაწყვეტა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ პირვანდელი განაჩენი გაუქმებული იყო პროკურორის პროტესტით. აქედან გამომდინარე, რამ საკასაციო ინსტანციას განაჩენის გაუქმება მსუბუქი სასჯელის გამო და საქმის არსებითად ხელახალი განხილვისათვის გადაცემა მხოლოდ მაშინ შეუძლია, თუ არსებობს პროკურატურის სათანადო პროტესტი. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, საკასაციო ინსტანციას სარევიზიო წესით განაჩენის გაუქმება მსუბუქი სასჯელის გამო, პროკურატურის პროტესტის გარეშე, არ შეუძლია.

აქედან გამომდინარე, სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა თავის 1940 წლის 10 თებერვლის დადგენილებაში მიუთითა, რომ უკეთუ „ზემდგომი სასამართლო სცნობს მსუბუქად იმ სასჯელს, რაც გამოტანილია ისეთი განაჩენით, რომელიც პროკურორის მიერ ამ საფუძველით არ ყოფილა გაპროტესტებული, მას არ შეუძლია გააუქმოს განაჩენი იმ მოტივით, რომ სასჯელი მსუბუქია. უკეთუ განაჩენის გაუქმებისათვის სხვა საფუძველი არ არსებობს, ზემდგომ სასამართლოს, დასტოვებს რა ძალაში განაჩენს, შეუძლია მხოლოდ კერძო დადგენილებაში მიუთითოს ქვემდგომ სასამართლოს განაჩენის ლმობიერებასა და სასამართლოს მიერ აღნიშნული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების შეუფასებლობაზე. ამასთან ერთად სასამართლოს შეუძლია ამ განაჩენით გადაწყვეტილი მსუბუქი სასჯელის შესახებ აცნობოს ცალკე წარდგინებით მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს ან სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს, რომლებზეც არის დამოკიდებული განაჩენის ზედამხედველობის წესით გაპროტესტების საკითხის გადაწყვეტა (სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 16 მუხ.)“.

იმასთან დაკავშირებით, რომ ზემდგომი სასამართლო მოვალეა სარევიზიო წესით გადაათვალიეროს საქმე ყველა სამართალში მიცემულთა შიშართ, ისმის საკითხი, — როგორ უნდა მოიქცეს ზემდგომი სასამართლო იმ შემთხვევაში,

როდესაც ის საკასაციო საჩივარს ერთი ან რამდენიმე სამართალში მიცემულისაგან მიიღებს მას შემდეგ, რაც მან საქმე უკვე განიხილა სხვა სამართალში მიცემულთა საკასაციო საჩივრებისა ან საკასაციო პროტესტების გამო. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა თავის 1940 წლის 22 აგვისტოს დადგენილებით განმარტა, რომ უკეთეს შემდგომი სასამართლოს მიერ საქმის საკასაციო პროტესტით ან ზოგიერთი სამართალში მიცემულის საკასაციო საჩივრით განხილვის შემდეგ სხვა სამართალში მიცემულთაგან შემოვა საკასაციო საჩივრები, შეტანილი ვადაზე ანდა საკასაციო საჩივრის შეტანისათვის დაწესებული ვადის აღდგენის შემდეგ, შემდგომი სასამართლო მოვალეა მიიღოს ასეთი საჩივრები და საქმე, ამ საჩივრების შემტან სამართალში მიცემულთა მიმართ, განიხილოს საერთო საკასაციო წარმოების წესით.

მაგრამ, რადგან საქმე ამ სამართალში მიცემულთა მიმართ სარევიზიო წესით უკვე განხილული იყო, შესაძლოა შემთხვევები, რომ ახლად შემოსულ საკასაციო საჩივრებზე პოყვანილ მოსაზრებათა გამო საჭირო შეიქნეს ამ საქმეზე წინათ გამოტანილი დადგენილების შეცვლა ან გაუქმება. ასევე შესაძლოა, რომ აღნიშნულ საჩივრებთან დაკავშირებით საჭიროდ იქნას ცნობილი სხვა სამართალში მიცემულთა მიმართ გამოტანილ დადგენილების გაუქმება ან შეცვლა, იმათ მიმართ, რომელთა საჩივრები წინათ უკვე განხილული იყო. ასეთ შემთხვევებში, თანახმად სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის იმავე 1940 წლის 20 აგვისტოს დადგენილებისა, „შემდგომი სასამართლო, გამოაქვს რა დადგენილება მხოლოდ საჩივრის შემტან პირის მიმართ და არ ეხება რა წინათ გამოტანილ დადგენილებას, საქმეს თავისი ცალკე წარდგინებით უგზავნის მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს ან სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს კუთვნილებსამებრ, რომლებიც გადაწყვეტენ საკითხს ერთი ან ორივე დადგენილების ზედამხედველობის წესით გაპროტესტების შესახებ“.

მ. საქმის საკასაციო განხილვის შედეგები

ზემდგომი სასამართლო საქმის განხილვის შედეგად წყვეტს საკითხს იმის შესახებ — არსებობს თუ არა საქმეში საკასაციო საბაბები, და ამისდა მიხედვით, განაჩენის ბედის საკითხსაც.

საქმის საკასაციო ინსტანციაში განხილვის შედეგები შეიძლება სხვადასხვაგვარი იყოს.

ა) უკეთუ საკასაციო საჩივარსა და საკასაციო პროტესტში აღნიშნული მითითებანი ამა თუ იმ დარღვევებზე უსაფუძვლოა და ამასთან სარევიზიო წესითაც ვერ იქნა დადგენილი საკასაციო საბაბები, ზემდგომი სასამართლო განაჩენს დასტოვებს ძალაში, ხოლო საკასაციო საჩივარს ან საკასაციო პროტესტს — უშედეგოდ.

ბ) უკეთუ საქმეზე დაშვებულია კანონის არასწორი შეფარდება და ამის შედეგად მსჯავრდადებულის მიერ ჩადენილი დანაშაული არასწორად არის დაკვალიფიცირებული, ზემდგომი სასამართლო შესცვლის განაჩენს და ჩადენილ დანაშაულს სათანადოდ კვალიფიკაციას გაუკეთებს, თუ ეს კვალიფიკაცია უფრო მსუბუქი აღმოჩნდება, ვიდრე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეფარდებული. იმ შემთხვევაში კი, როდესაც მსჯავრდადებულის მოქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ისეთი კანონით, რომელიც უფრო მკაცრ სასჯელს ითვალისწინებს, მეორე ინსტანციის სასამართლო მოვალეა განაჩენი გააუქმოს და საქმე გადასცეს ხელახალი განხილვისათვის წინასწარი გამოჩიების სტადიიდან.

გ) უკეთუ განაჩენით დანაშაული სწორად არის კვალიფიცირებული, მაგრამ გადაწყვეტილია მეტად მკაცრი სასჯელი, ზემდგომი სასამართლო შეცვლის განაჩენს და სათანადოდ შეამსუბუქებს სასჯელს. ხოლო უკეთუ ზემდგომი სასამართლო განაჩენით გადაწყვეტილ სასჯელს მეტად მსუბუქად სცნობს, მას უფლება არა აქვს გაადიდოს სასჯელი და მოვალეა განაჩენი გააუქმოს და საქმე გადასცეს ხელახალი განხილვისათვის. ამასთან, როგორც ეს ზემოთ

იყო აღნიშნული, საკასაციო ინსტანციას მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გააუქმოს განაჩენი მსუბუქი სასჯელის გამო, როცა სასჯელის სიმსუბუქის შესახებ მითითებული პროკურორის საკასაციო პროტესტში (სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სასამართლო წარმოების ძირითადი საფუძვლების 26 მუხ.).

დ) უკეთუ საქმეში არის სასამართლო წარმოების ფორმათა უთუო ან სხვა არსებითი დარღვევები, ან საქმე გამოკვლეულია არასრულად, ან განაჩენი დაუსაბუთებელია, განაჩენი გაუქმებულ უნდა იქნას.

განაჩენის გაუქმებით საკასაციო ინსტანცია სპობს საქმის წარმოებას, როდესაც არსებობს ის გარემოებანი, რაც აღნიშნულია რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. მე-4 მუხლში¹ და სისხ. სამართ. კოდ. მე-6 მუხლის შენიშვნასა და მე-8 მუხლში². (და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. და სისხ. სამართ. კოდ. სათანადო მუხლებში), და აგრეთვე როდესაც საქმე არასრულად არის გამოკვლეული და როდესაც განაჩენი დაუსაბუთებელია, ხოლო საქმის ხელახალ გამოკვლევას და განხილვას არ შეუძლია ახალ გარემოებათა დადგენა და, მაშასადამე, მასალის მოცემა ახალი დასაბუთებული განაჩენის გამოტანისათვის.

დანარჩენ შემთხვევებში ზემდგომი სასამართლო აუქმებს განაჩენს საქმის ხელახალი განხილვისათვის. უკეთუ საქმის არსებით გარემოებათა გამოსარკვევად საჭიროა დამატებითი გამოკვლევის წარმოება, და აგრეთვე უკეთუ საქმის პირვანდელი გამოკვლევის დროს დაშვებულია არსებითი საპროცესო დარღვევები, საკასაციო ინსტანცია აუქმებს განაჩენს ხელახალი წარმოებისათვის წინასწარი გამოკვლევის სტადიიდან. როდესაც დარღვევები დაშვებულია სამართალში მიცემის სტადიაში (მაგალითად, საქმე სრულიად არ განხილულა მოსამზადებელ სხდომაზე ან განხილულ იქნა

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 4 მუხ.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. კოდ. 14 მუხ.

არასათანადო შემადგენლობის სასამართლოს მიერ), განაჩენი უნდა გაუქმდეს საქმის ხელახალი განხილვისათვის სამართალში მიცემის სტადიიდან. დაბოლოს, უკეთუ საქმის სრული და ყოველმხრივი გამორკვევისათვის სჯირო არ არის ახალი წინასწარი გამოკვლევის წარმოება, ან უკეთუ ის საპროცესო დარღვევები, რამაც გამოიწვია განაჩენის გაუქმება, დაშვებულია პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის არსებითად განხილვის დროს, საკასაციო ინსტანცია განაჩენს გააუქმებს და საქმეს გადასცემს ხელახალი განხილვისათვის სამსჯავრო სხდომის სტადიიდან.

საკასაციო ინსტანციას უფლება აქვს, როდესაც განაჩენს გააუქმებს საქმის ხელახალი გამოკვლევისათვის ან ხელახალი განხილვისათვის, გადასინჯოს საკითხი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული აღმკვეთი ღონისძიების შესახებ.

განაჩენის გაუქმების შემდეგ საკასაციო ინსტანციას შეუძლია საქმე ხელახალი განხილვისათვის გადასცეს ან განაჩენის გამომტან სასამართლოს, მხოლოდ მოსამართლეთა სხვა შემადგენლობაში, ან სხვა 'სასამართლოს (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 420 მუხ. ¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები).

განაჩენის გაუქმების შემთხვევაში და საქმის ხელახალი წარმოების დროს წინასწარი გამოკვლევა და საქმის არსებითად განხილვა საერთო წესით წარმოებს. საერთო წესით შეიძლება აგრეთვე ხელახლა იქნას შეტანილი საკასაციო პროტესტი და საკასაციო საჩივარი ახლად გამოტანილ განაჩენზე.

სასამართლოს, რომელიც ხელახლა განიხილავს საქმეს არსებითად, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია გადაუწყვიტოს იმაზე მძიმე სასჯელი, ვიდრე პირველი იყო, თუ პირვანდელი განაჩენი გაუქმებულია პროკურატურის პროტესტით სასჯელის სიმსუბუქის გამო. მაგრამ უკეთუ პირვანდე-

¹ საქართველოს სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 419 მუხ.

ლი განაჩენი გაუქმებულ იქნა ხელახალი წარმოებისათვის წინასწარი გამოკვლევის სტადიიდან და ამ გამოკვლევის შედეგად დადგენილ იქნა ახალი გარემოებანი, რომლებიც იწვევს დანაშაულის უფრო მძიმე კვალიფიკაციას (მაგალითად, სამართალში მიცემულის ქმედობა უნდა დაკვალიფიცირდეს 1932 წლის 7 აგვისტოს კანონით, ნაცვლად რსფსრ სისხლის სამართლის კოდექსის 116 მუხლისა¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლებისა), საქმის ხელახალი განხილვის დროს შეიძლება უფრო მძიმე სასჯელი იქნას დანიშნული, თუნდაც პირვანდელი განაჩენი სამართალში მიცემულის საკასაციო საჩივრით იყოს გაუქმებული.

7. საკასაციო ინსტანციის დადგენილება

ზემდგომი სასამართლო, განიხილავს რა საქმეს, გამოიტანს დადგენილებას იმავე წესით, რა წესითაც გამოაქვს განაჩენი პირველი ინსტანციის სასამართლოს. შესაბამისად ამისა, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა თავის 1935 წლის 17 აგვისტოს სადირექტივო წერილში „საკასაციო და საზედამხედველო ინსტანციათა მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების შესახებ“ მიუთითა, რომ დაუშვებელია ისეთი მდგომარეობა, როცა „სათათბირო ოთახში მოსამართლეთა თათბირს და საკასაციო დადგენილების შედგენას ესწრებიან ისეთი პირები, რომლებიც არ შედიან სასამართლოს შემადგენლობაში ამ საქმეზე, ხოლო პროკურორი, რომელმაც ამ საქმეზე დასკვნა მისცა, ხშირად მონაწილეობას იღებს საქმის განხილვასა და დადგენილების შედგენაში და, ამგვარად, არსებითად, სასამართლოს მეოთხე წევრად იქცევა ხოლმე“. იმავე სადირექტივო წერილში სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი აღნიშნავს, როგორც კანონის უხეშ დარღვევას, იმ გარემოებას, რომ

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. კოდ. 122 მუხ.

„ხშირად დადგენილებები საქმეებზე გამოაქვთ არა სათანადო საქმის განხილვისთანავე, არამედ „დასტობით“ მთელი რიგი საქმეების განხილვის შემდეგ სხდომის დასასრულს ან მეორე დღეს“.

საკასაციო ინსტანციის დადგენილებაში უნდა აღინიშნოს:

ა) საქმის განხილვის დრო;

ბ) სასამართლოსა და მხარეთა შემადგენლობა;

გ) განსახილველი საქმის დედაარსი: სამართალში მიცემულთა ვინაობა, გამართლებული არიან ისინი განაჩენით თუ მსჯავრდადებულნი, და ამ უკანასკნელ შემთხვევაში — სისხლის სამართლის კოდექსის ის მუხლები, რომლითაც მათ მსჯავრი დაედოთ და აგრეთვე ის სასჯელის ზომა, რაც მათ დაენიშნათ;

დ) საქმეზე დადგენილი საკასაციო საბაბები ან მათი არარსებობა;

ე) ის მოტივები, რომელთა გამო საკასაციო ინსტანცია ამ გადაწყვეტილებამდე მივიდა;

ვ) გადაწყვეტილების დედაარსი: განაჩენის ძალაში დატოვება, მისი შეცვლა ან გაუქმება, და ამ უკანასკნელ შემთხვევაში ის სტადია (წინასწარი გამოკვლევის, სამართალში მიცემის, სამსჯავრო სხდომის), რომლიდანაც უნდა დაიწყოს საქმის ახალი წარმოება.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს საკასაციო ინსტანციის დადგენილების მოტივირებას. ეს მოტივირება უნდა შეიცავდეს იმ მოსაზრებებს, რომელთა მიხედვით საკასაციო ინსტანცია სთვლის საკასაციო საჩივარში ან პროტესტში მოყვანილ დასაბუთებებს საფუძვლიანად ან უსაფუძვლოდ, ამა თუ იმ საკასაციო საბაბს დადგენილად ან დაუდგენლად და საქმეზე დაშვებულ ამა თუ იმ საპროცესო დარღვევას — არსებით ან არა არსებით დარღვევად.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმი, ითვალისწინებს რა ზემდგომი სასამართლოების დადგენილებათა მოტივირების მთელ მნიშვნელობას, თავის 1943 წლის 7 ივნისის დადგენილებაში მიუთითებს, რომ „ვინაიდან საკასაციო

და სახედამხედველო ინსტანციათა დადგენილებებს სასამართლო პრაქტიკისათვის ინსტრუქციის მნიშვნელობა აქვს და ამ ინსტანციათა მოსამართლეებს პერსონალური პასუხისმგებლობა აკისრიათ მათ მიერ გამოტანილი დადგენილებებისათვის, აბსოლუტურად დაუშვებელია ამ ინსტანციათა უმოტივო დადგენილებანი“.

ამასთან დამატებით, სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმი 1935 წლის 17 აგვისტოს სადირექტივო წერილში განმარტავს, რომ „განაჩენების ძალაში დატოვებისას მოტივთა არარსებობა ან არასაკმაო და არასრული მოტივირება ამცირებს პასუხისმგებლობას გამოტანილი დადგენილებებისათვის და ხელს უწყობს საქმის განხილვისადმი ფორმალურ დამოკიდებულებას. გარდა ამისა, ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება საბჭოთა სასამართლოს პრინციპებს, რამდენადაც საკასაციო საჩივრის შემტანმა უნდა იცოდეს, და უფლება აქვს იცოდეს, ის მოტივები, რომლებიც საფუძვლად დაედო საკასაციო საჩივარში მოყვანილ დასაბუთებათა უარყოფას. განაჩენების გაუქმების შესახებ გამოტანილი დადგენილებათა უმოტივობა ან ამ დადგენილებათა არასრული მოტივირება აფერხებს პირველი ინსტანციის სასამართლოების მუშაობას, რომლებსაც საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეგზავნათ, რამდენადაც ისინი ხშირად მოკლებული არიან საშუალებას გაიგონ რაშია განაჩენების ნაკლოვანებათა დედაარსი და კონკრეტულად რა უნდა გააკეთონ მათ ამ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად“.

იმ შემთხვევაში, როცა საკასაციო ინსტანცია განაჩენს გააუქმებს და საქმეს გადასცემს ხელახალი გამოკვლევისა ან განხილვისათვის, მან თავის დადგენილებაში უნდა მისცეს ისეთი მითითებანი, რომლებიც უზრუნველყოფს საქმის ყოველ მხრივსა და სრულ გამორკვევას და მის არსებითად სწორ გადაწყვეტას. თანახმად რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 423 მუხ.¹ დასხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ.

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 422 მუხ.

სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებისა, ეს მითითებანი სავალდებულოა საქმის ხელახლა არსებითად განმხილველი სასამართლოსათვის; ხოლო უკეთუ განაჩენი გაუქმებულია საქმის ხელახალი წარმოებისათვის წინასწარი გამოკვლევის სტადიიდან, ეს მითითებანი ასევე სავალდებულოა იმ ორგანოებისათვის, რომლებიც აწარმოებენ საქმის ხელახალ გამოკვლევას.

კანონი არ აწესებს იმ ფარგლებს, რომელშიც სავალდებულოა საკასაციო ინსტანციის მითითებანი იმ სასამართლოსა და გამომკვლევ ორგანოებისათვის, რომელთა წარმოებაშიც იმყოფება საქმე პირვანდელ განაჩენის გაუქმების შემდეგ. სასამართლო პრაქტიკაში კი ეს საკითხი ზოგჯერ ეჭვს იწვევს და ყოველთვის სწორ გადაწყვეტას ვერ პოულობს. ამიტომ საჭიროა გარკვეულ იქნას, საქმის რა მომენტებს შეიძლება შეეხოს საკასაციო ინსტანციის მითითებანი. იმ შემთხვევაში, როცა ზემდგომი სასამართლო განაჩენს გააუქმებს საქმის არასრული გამოკვლევისა ან სასამართლო წარმოების ფორმათა დარღვევის გამო და აუცილებლად სცნობს: ექსპერტიზის ჩატარებას, ამა თუ იმ მოწმის დაკითხვას, საქმის მოსმენას დამცველის მონაწილეობით და სხვ. და სხვ. — ასეთი მითითებანი უსათუოდ სავალდებულოა პირველი ინსტანციის სასამართლოსა და გამომკვლევ ორგანოთათვის; ამ მითითებათა შეუსრულებლობა წარმოადგენს საკასაციო საბაბს, რაც საქმეზე ხელმეორედ გამოტანილი განაჩენის გაუქმებას გამოიწვევს. ასევე, თუ ზემდგომი სასამართლო საჭიროდ სცნობს სამართალში მიცემულის მიერ ჩადენილი დანაშაულის კვალიფიკაციის შეცვლას, ეს მითითებაც სავალდებულოა გამომკვლევი ორგანოებისა და სასამართლოსათვის, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა საქმის ხელახალი გამოკვლევისა და განხილვის დროს დადგენილი იქნება ისეთი ახალი გარემოებები, რომლებიც ამ დანაშაულის კვალიფიკაციის კვლავ შეცვლას გამოიწვევს.

მაგრამ სულ სხვა მდგომარეობა იქმნება მაშინ, როცა საქმე შეეხება დამამტკიცებელი საბუთების შეფასებას და

იმას, დამტკიცებულია თუ არა ის დანაშაული რაშიც ბრალდდება სამართალში მიცემულს. ამ საკითხებს მოსამართლენი გადაწყვეტენ თავისი შინაგანი რწმენით, რაც მათ შეეკმნებათ საქმეზე ყველა დამამტკიცებელი საბუთების ერთობლივად და ურთიერთ კავშირში განხილვის შედეგად. თვითეულ განსახილველ საქმეზე თავისი შინაგანი რწმენის გამომუშავების დროს მოსამართლენი დამოუკიდებელი არიან და მხოლოდ კანონს ემორჩილებიან. ამიტომ, უკეთეს საკასაციო ინსტანციამ გააუქმა განაჩენი მისი დაუსაბუთებლობის გამო, კერძოდ, გააუქმა გამამართლებელი განაჩენი, ზემდგომ სასამართლოს დადგენილებაში მოყვანილი მოსაზრებანი წარმოადგენენ მხოლოდ ამ სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივებს და ისინი ოდნავადაც ვერ შეზღუდავენ იმ მოსამართლეთა რწმენას, რომლებიც საქმეს ხელახლა განიხილავენ არსებითად და, მაშასადამე, წინასწარ ვერ განსაზღვრავენ პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას საკითხზე სამართალში მიცემულის დამნაშავეობის თუ უდანაშაულობის შესახებ.

ძირითად დადგენილებასთან ერთად, რომელშიც გადაწყდება საკითხი იმის შესახებ, არსებობს თუ არა საკასაციო საბაბები, რა შედეგი მოჰყვა საქმის განხილვას და რა ბედი ეწია გასაჩივრებულ განაჩენს, ზემდგომ სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს კერძო დადგენილება. საკასაციო ინსტანცია ასეთ კერძო დადგენილებაში პირველი ინსტანციის სასამართლოს ყურადღებას მიაქცევს მის მიერ დაშვებულ შეცდომებზე, რომლებიც თავისთავად საკასაციო საბაბებს არ წარმოადგენენ და განაჩენის გაუქმებას ან მის შეცვლას ვერ გამოიწვევენ, მაგრამ ამისდა მიუხედავად სასამართლომ მომავალში აღარ უნდა დაუშვას, როგორც არის, მაგალითად, სასამართლო წარმოების ფორმათა ცალკეული დარღვევები: მოსამზადებელი სხდომის გადაწყვეტილების ოქმში შეტანა და არა მისი ცალკე დადგენილების სახით გადმოცემა, თავმჯდომარის მიერ დაზარალებულისათვის იმის განუმარტებლობა, რომ მას უფლება აქვს აღძრას სამოქალაქო

სარჩელი, სამსჯავრო სხდომის ოქმში შესწორების შეტანა შენიშვნის გაუკეთებლად, განაჩენში ცალკეული არა არსებობითი ხასიათის შეცდომების დაშვება და სხვ.. შესაძლებელია ასევე კერძო დადგენილებაში მიეთითოს პირველი ინსტანციის სასამართლოს ამა თუ იმ დანაშაულის საშიშროების შეუფასებლობაზე და სხვ.

8. კერძო საჩივრები და კერძო პროტესტი

გარდა განაჩენებისა, შეიძლება გასაჩივრებულ იქნას აგრეთვე პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილებანი და სახალხო მოსამართლის ერთპიროვნული დადგენილებები, მაგალითად: სასამართლოს დადგენილება საქმის დამატებითი გამოძიებისათვის გაგზავნის შესახებ; რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 461 და 462 მუხლებისა¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების წესისამებრ სასამართლოს მიერ გამოტანილი დადგენილება; რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 233 და 247 მუხლებისა და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების წესისამებრ სახალხო მოსამართლის მიერ ერთპიროვნულად გამოტანილი დადგენილება და სხვ.. ყველა ამ დადგენილებებზე პროკურატურას შეუძლია შეიტანოს კერძო პროტესტი, ხოლო სხვა მხარეებს — კერძო საჩივრები.

არ შეიძლება გასაჩივრება პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით მოქმედ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოების დადგენილებებისა (სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 15 მუხ.) და აგრეთვე ყველა სხვა პირველი ინსტანციის სასამართლოების დადგენილებებისა იმ შემთხვევებში, რაც რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 237, 347 და 348 მუხ.²

¹ საქ. სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 457, 458 მუხ.

² საქ. სისხ. სამართ. საპრ. კოდ. დანართი 1 და 347, 348 მუხ.

და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებშია მითითებული (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1940 წლის 3 ივლისის დადგენილება).

თანახმად დასახელებული მუხლებისა, არ შეიძლება გასაჩივრდეს მოსამზადებელი სხდომის დადგენილებანი (სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 237 მუხ. ¹; მაგრამ ეს დადგენილებანი შეიძლება გაპროტესტებულ იქნას პროკურორის და გამომძიებლის მიერ შემდგომ სასამართლოში), დადგენილებანი სამსჯავრო სხდომაზე თავმჯდომარის განკარგულების დაუმორჩილებლობისათვის დაჯარიმებისა და აღმკვეთი ღონისძიების მიღების შესახებ (სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 437 მუხ. ²), მოწმის, ექსპერტის და თარჯიმნის სასამართლოში გამოუცხადებლობისათვის დადებულ ჯარიმისგან განთავისუფლებაზე უარის თქმის შესახებ (სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 348 მუხ. ³).

კერძო პროტესტები და კერძო საჩივრები შეიტანება იმავე წესით და იმავე ვადებში, როგორც საკასაციო პროტესტები და საკასაციო საჩივრები, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საოლქო (სამხარეო) სასამართლოსა, ავტონომიური ოლქის სასამართლოსა და ავტონომიური რესპუბლიკის სასამართლოს დადგენილებებზე კერძო საჩივრების შეტანის ვადა გამოიანგარიშება მოცემული დადგენილების გამოტანის მომენტიდან. კერძო პროტესტისა და კერძო საჩივრების შეტანის ვადის აღდგენის საკითხი გადაწყდება იმავე წესით, როგორითაც საკასაციო პროტესტისა და საკასაციო საჩივრების შეტანის ვადის აღდგენის საკითხი.

კერძო პროტესტებს და კერძო საჩივრებს სახალხო მოსამართლისა და სახალხო სასამართლოების დადგენილებებზე განიხილავს შემდგომი სასამართლო; ხოლო რაც შეეხება

1 საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. დანართი 1.

2 საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 347 მუხ.

3 საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 348 მუხ.

კერძო პროტესტებსა და კერძო საჩივრებს საოლქო, სამხარეო და საოკრუგო სასამართლოებისა და აგრეთვე ავტონომიური ოლქების სასამართლოებისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების დადგენილებებზე, ისინი, თანახმად რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 405 მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებისა, უნდა განხილულ იქნას იმავე სასამართლოების სასამართლო კოლეგიების მიერ. მაგრამ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა განმარტა, რომ მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის ეს დადგენილებები ეწინააღმდეგება სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 15 მუხლს, რომლის მიხედვით პირველი ინსტანციის სასამართლოების დადგენილებები შეიძლება გასაჩივრებულა და გაპროტესტებულ იქნას მხოლოდ ზემდგომ სასამართლოში. შესაბამისად ამისა უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიუთითა, რომ საოლქო, საოკრუგო და სამხარეო სასამართლოებისა, ავტონომიური ოლქების სასამართლოებისა და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების დადგენილებები შეიძლება გასაჩივრებულ და გაპროტესტებულ იქნას მხოლოდ სათანადო რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში (სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1939 წლის 13 ივნისის დადგენილება).

კერძო პროტესტსა და კერძო საჩივარს ზემდგომი სასამართლო განიხილავს იმავე წესით, რაც დადგენილია საკასაციო პროტესტისა და საკასაციო საჩივრის განხილვისათვის (რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 431 და 432 მუხ. მუხ. და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები):

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 405 მუხ.

**განაჩენებისა და სასამართლო დადგენილებების გადასინჯვა
ზედამხედველობის წესით**

1. წესი განაჩენებისა და დადგენილებების ზედამხედველობის წესით გაპროტესტებისა

სასამართლო ზედამხედველობის წესით, როგორც ეს ზემოთ იყო აღნიშნული (იხ. შესავალი), გადასინჯება პირველი ინსტანციის სასამართლოების კანონიერ ძალაში შესული განაჩენები და დადგენილებები და აგრეთვე საკასაცია და საზედამხედველო ინსტანციათა სახით მოქმედი ზემდგომი სასამართლოების დადგენილებები.

ყველა ეს განაჩენები და დადგენილებები, თანახმად სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 16 მუხლისა, შეიძლება გაპროტესტებულ იქნას სასამართლო ზედამხედველობის წესით მხოლოდ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარისა, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეებისა, სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორების მიერ.

„მაგრამ კანონი სასამართლო წყობილების შესახებ არ ანთავისუფლებს რაიონების, ოკრუგების, ოლქების და მხარეების პროკურორებს და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორებს, სასამართლო დაწესებულებათა მიერ კანონის სწორად და ერთგვარად შეფარდების მეთვალყურეობისაგან. რაიონების, ოკრუგების, ოლქებისა და მხარეების პროკურორები და ავტონომიური რესპუბლიკების პროკურორები და აგრეთვე საოკრუგო, საოლქო, სამხარეო სასამართლოების და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები, ჰპოვებენ რა მათთან შესებუ-
ლი მონაცემებიდან და მათთან შესული ცნობებიდან, რომ კა-

ნონიერ ძალაში შესული განაჩენი, გადაწყვეტილება და დადგენილება უკანონო და დაუსაბუთებელია — მოვალენი არიან გამოითხოვონ საქმე და შეამოწმონ ეს მონაცემები...“; უკეთეს გამოთხოვილი საქმის გაცნობის შედეგად დადგენილ იქნება კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენის, გადაწყვეტილებისა და დადგენილების უკანონობა და დაუსაბუთებლობა, ზემოთ მოხსენებული პირები მოვალენი არიან „მიმართონ წარდგინებით ზემდგომ პროკურორს ან სასამართლოს თავმჯდომარეს, განაჩენზე, გადაწყვეტილებაზე ან დადგენილებაზე პროტესტის შეტანის შესახებ“ (სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისიისა და სსრ კავშირის პროკურორის 1938 წლის 19 სექტემბრის ბრძანება № 77 (1251).

ამასთან დამატებით სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარმა, თავისი 1938 წლის 13 დეკემბრის № 1 — А — 21 და 1941 წლის 5 აპრილის № 37 ბრძანებებით, განმარტა, რომ საოლქო, სამხარეო, საოკრუგო სასამართლოების და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები თავიანთ წარდგინებებს განაჩენისა, გადაწყვეტილებისა და დადგენილების გაპროტესტების შესახებ უგზავნიან მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს ისე, რომ თვით საქმე ამ წარდგინებას თან არ ერთვის.

ამავე წესით უგზავნიან მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების თავმჯდომარეები თავიანთ წარდგინებებს განაჩენის, გადაწყვეტილებისა და დადგენილების გაპროტესტების შესახებ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს.

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს, მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოების თავმჯდომარეებს, სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს და მოკავშირე რესპუბლიკების პროკურორებს საქმის ზედამხედველობის წესით გამოთხოვა შეუძლიათ სათანადო პროკუ-

რორებისა და სასამართლოთა თავმჯდომარეების წარდგინებით, მსჯავრდადებულთა და სხვა პირთა საჩივრებით და აგრეთვე თავისი საკუთარი თაოსნობით. ამასთან, მათ უფლება აქვთ გამოთხოვილ საქმეზე შეაჩერონ განაჩენის და დადგენილების აღსრულება; „... კანონიერ ძალაში შესულ განაჩენისა, გადაწყვეტილებისა და დადგენილების აღსრულების შეჩერება წარმოებს იმ სასამართლოს მეშვეობით, რომელმაც განაჩენი, გადაწყვეტილება და დადგენილება გამოიტანა“ (სსრ კავშირის იუსტიციის სახალხო კომისარისა და სსრ კავშირის პროკურორის 1938 წლის 19 სექტემბრის ბრძანება № 77 (1251).

უკეთუ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის გენერალური პროკურორი ან მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი, ვერ ჰპოვენ გამოთხოვილ საქმეში საფუძველს კანონიერ ძალაში შესული განაჩენის ან დადგენილების შეცვლისა ან გაუქმებისათვის, საქმეს დაუბრუნებენ კუთვნილებისამებრ იმავე სასამართლოს, რომლიდანაც ის იყო გამოთხოვილი, და ამით დამთავრდება ამ საქმის ზედამხედველობის წესით წარმოება.

ხოლო უკეთუ საქმეში აღმოჩნდება საფუძველი კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და დადგენილების გაუქმებისა ან შეცვლისათვის, მოკავშირე რესპუბლიკის პროკურორი და მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე პროტესტს შეიტანენ მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიაში, ხოლო სსრ კავშირის გენერალური პროკურორი და სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე — სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სათანადო კოლეგიაში ანდა პლენუმში.

2. საზედამხედველო ინსტანციათა ამოცანები, მოვალეობანი და უფლებები

საზედამხედველო ინსტანციათა ამოცანას შეადგენს კანონიერ ძალაში შესული განაჩენისა და დადგენილებების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმება. კანონიერ ძალაში შესული განაჩენის გაუქმების ან შეცვლის საფუძველს იგივე საკასაციო საბაბები წარმოადგენს, რომლებიც იწვევს განაჩენის გაუქმებას ან შეცვლას საკასაციო წარმოების წესით. შესაბამისად ამისა საზედამხედველო ინსტანციამ თვითეულ განსახილველ საქმეზე უნდა შეამოწმოს: დაცულია თუ არა კანონით დადგენილი სასამართლო წარმოების ფორმები, სწორად არის თუ არა შეფარდებული სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლები და სხვა კანონები, სრულად და წესიერად არის თუ არა გამოკვლეული საქმე წინასწარი გამოძიების სტადიაში, დასაბუთებულია თუ არა განაჩენი და შეესაბამება თუ არა სასამართლოს მიერ დანიშნული სასჯელი მსჯავრდადებულის და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის საშიშროების ხარისხს.

ამასთან ერთად საზედამხედველო ინსტანციამ აგრეთვე უნდა გამოარკვიოს, იყო თუ არა სათანადოდ შემოწმებული ზემდგომი სასამართლოს მიერ, კერძოდ საკასაციო ინსტანციის მიერ, განაჩენის კანონიერება და დასაბუთებულობა და იყო თუ არა გამოსწორებული არსებული რაიმე დარღვევები. ამგვარად, საზედამხედველო ინსტანციის მოვალეობას, განაჩენის კანონიერებისა და დასაბუთების შემოწმებასთან ერთად, შეადგენს აგრეთვე ყველა იმ დადგენილების სისწორის შემოწმება, რაც გამოტანილია ამ საქმეზე ზემდგომი სასამართლობის მიერ საკასაციო ან საზედამხედველო წარმოების წესით.

საქმის განხილვის შემდეგ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლო ან — შესაბამისად — საზედამხედველო ინსტანციის სახით მოქმედი მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო, გადაწყვეტს განაჩენისა და ზემდგომი სასამარ-

თლოების მიერ ამ საქმეზე გამოტანილი შემდგომი დადგენილებების ბედის საკითხს:

ა) უკეთუ საზედამხედველო ინსტანცია სცნობს, რომ საქმეში არ არის საფუძველი განაჩენის გაუქმებისა ან შეცვლისათვის და რომ ეს განაჩენი სწორად არის დატოვებული ძალაში ზემდგომ სასამართლოს მიერ, უარს ეტყვის პროტესტს და ძალაში დატოვებს განაჩენსა და შემდგომ დადგენილებებს საქმეზე.

ბ) უკეთუ არსებობს საფუძველი ზემდგომი სასამართლოს დადგენილებით ძალაში დატოვებული განაჩენის შეცვლისათვის, საზედამხედველო ინსტანცია გააუქმებს ამ დადგენილებას და სათანადოდ შესცვლის განაჩენის იმ ნაწილს, რაც დანაშაულის კვალიფიკაციას ან სასჯელის დანიშვნას შეეხება. ამასთან საზედამხედველო ინსტანციას განაჩენით დანიშნული სასჯელის მხოლოდ შემსუბუქების უფლება აქვს; იმ შემთხვევაში კი, როცა საზედამხედველო ინსტანცია სცნობს, რომ სასჯელის ზომა მეტად მსუბუქია, მას, როგორც ეს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა თავისი 1931 წლის 10 მაისის დადგენილებით განმარტა, არა აქვს უფლება თვითონ გაადიდოს სასჯელის ზომა და ის მოვალეა გააუქმოს განაჩენი და ზემდგომი სასამართლოს მიერ ამ საქმეზე გამოტანილი შემდგომი ყველა დადგენილებები და საქმე გადასცეს პირველ ინსტანციის სათანადო სასამართლოს არსებითად ხელახალი განხილვისათვის.

გ) უკეთუ საზედამხედველო ინსტანცია საქმეში ჰპოვებს სასამართლო წარმოების ფორმის არსებით დარღვევას, საქმის არასაკმარისად გამოკვლევას ან განაჩენის დაუსაბუთებლობას, გააუქმებს განაჩენს და სასამართლოების ყველა შემდგომ დადგენილებებს და საქმეს გადასცემს ხელახალი განხილვისათვის საერთო წესით წინასწარი გამოკვლევის სტადიიდან, ან სამართალში მიცემის სტადიიდან, ან სამსჯავრო სხდომის სტადიიდან. ამასთან საზედამხედველო ინსტანციას შეუძლია გადაწყვიტოს აღმკვეთი ღონისძიების საკითხი. ის სასამართლო, რომელიც საქმეს არსებითად ხელმეორედ განი-

ხილავს, შეზღუდული არ არის წინათ დანიშნული სასჯელის ზომით და უფლება აქვს გაადიდოს ის იმისდა მიუხედავად, თუ რა მოტივებით იყო გაუქმებული პირვანდელი განაჩენი (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 1928 წლის 8 მაისის და 1929 წლის 3 ივნისის დადგენილებანი).

დ) უკეთუ საქმეში არსებობს ის გარემოებანი, რაც აღნიშნულია რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 4 მუხლში,¹ სისხ. სამართ. კოდ. 6 მუხლის შენიშვნაში და 8 მუხლში² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხ. სამართ. საპრ. კოდ. და სისხ. სამართ. კოდ. სათანადო მუხლებში და აგრეთვე უკეთუ განაჩენი დაუსაბუთებელია, ხოლო საქმის ხელახალი გამოკვლევა და განხილვა ვერ შესძლებს ახალ გარემოებათა დადგენას და, მაშასადამე, ვერ მოგვცემს მასალას დასაბუთებული ახალი განაჩენის გამოტანისათვის, საზედამხედველო ინსტანცია გააუქმებს განაჩენს და ზემდგომი სასამართლოების ყველა შემდგომ დადგენილებებს და საქმის წარმოებას მოსპობს.

ე) უკეთუ საზედამხედველო ინსტანცია სცნობს, რომ საქმეში არ მოიპოვება საფუძველი განაჩენის გაუქმებისა ან შეცვლისათვის და რომ ზემდგომი სასამართლოს დადგენილება განაჩენის გაუქმების ან შეცვლის შესახებ სწორი არ არის, ის ამ დადგენილებას გააუქმებს. ამასთან, უკეთუ საკასაციო ინსტანციის დადგენილება განაჩენის გაუქმებისა და საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაცემის შესახებ და აგრეთვე საქმის წარმოებით მოსპობისა ან განაჩენით გადაწყვეტილი სასჯელის შემსუბუქების შესახებ ცნობილი იქნება უსწოროდ, საზედამხედველო ინსტანცია გააუქმებს ამ დადგენილებას, მხოლოდ უფლება არა აქვს დასტოვოს ძალაში საქმეზე გამოტანილი განაჩენი, არამედ მან საქმე უნდა გადასცეს ხელახალი განხილვისათვის იმავე საკასაციო ინსტანციას მოსამართლეთა სხვა შემადგენლობით (სსრ კავ-

¹ საქ. სსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 4 მუხ.

² საქ. სსრ სისხ. სამართ. კოდ. 14 მუხ.

შირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმის 1928 წლის 11 მაისის დადგენილება).

3. საზედამხედველო ინსტანციათა დადგენილებანი

სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმს და სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოსი და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოების კოლეგიებს საქმის განხილვის შემდეგ გამოაქვთ დადგენილებები. ეს დადგენილებები თავისი ფორმითა და შინაარსით შეესაბამება საკასაციო ინსტანციათა დადგენილებებს და, კერძოდ, ისინი მოტივირებული უნდა იქნან (სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1934 წლის 7 ივნისის და 1935 წლის 17 აგვისტოს დადგენილებანი).

გარდა ძირითადი დადგენილებისა, რომელიც წყვეტს განაჩენის და საქმეზე გამოტანილი შემდგომი დადგენილებების ბედს, საზედამხედველო ინსტანციას უფლება აქვს გამოიტანოს კერძო დადგენილებები ისეთივე ხასიათისა და შინაარსის, როგორც საკასაციო ინსტანციათა კერძო დადგენილებებია.

როდესაც საზედამხედველო ინსტანცია გააუქმებს განაჩენს ან შემდგომი სასამართლოს დადგენილებას და საქმეს გადასცემს ხელახალი განხილვისათვის, მან თავის დადგენილებაში უნდა მისცეს მითითებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მომავალში საქმის სწორსა და სრულ გამორკვევას და მის არსებითად სწორად გადაწყვეტას. საზედამხედველო ინსტანციის ეს მითითებანი, ისევე როგორც საკასაციო ინსტანციათა მიერ რსფსრ სისხ. სამართ. საპრ. კოდ. 423 მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების წესისამებრ მიცემული მითითებები, სავალდებულოა ყველა გამომკვლევ მიჯანობისა და სასამართლოებისათვის, რომელთა წარმოებაშიც იქნება საქმე მისი ხელახალი გამოკვლევისა და განხილვისა.

¹ საქ. სისხ. სამართ. საპრ. კოდ.

ნ ა წ ი ლ ი II

სამოქალაქო საქმეთა საქასაციო და საზღადმხედველო წარმოება

თავი პირველი

საქასაციო წარმოება

საქასაციო გასაჩივრების ინსტიტუტი უზრუნველყოფს დაწესებულებათა, საწარმოთა, ორგანიზაციათა და სსრ კავშირის მოქალაქეთათვის შესაძლებლობას შეასწორონ ზემდგომი სასამართლოს მეშვეობით სასამართლოს უსწორო გადაწყვეტილებები და დადგენილებები. გასაჩივრების უფლება წარმოადგენს ერთ-ერთ ძირითად საპროცესო გარანტიას, რომელიც კანონით მინიჭებული აქვთ მხარეებს მათი სამოქალაქო უფლებების სასამართლო წესით დაცვის დარგში (სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 15 მუხ.).

გასაჩივრების ინსტიტუტი, წარმოადგენს რა ზემდგომი სასამართლოების მიერ ქვემდგომ სასამართლოებზე ზედამხედველობის განხორციელების საპროცესო ფორმას, ამავე დროს მიზნად ისახავს სასამართლო მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას და სასამართლო საქმიანობაში კანონიერების განმტკიცებას. ამიტომ, საქასაციო პროცესის სწორად დაყენებას, გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემოწმებას და მხარეთა მიერ გასაჩივრების უფლების სწორად განხორციელებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მხარეთა სამოქალაქო უფლებებ-

ბის დაცვის თვალსაზრისით, ისე სოციალისტური მართლ-
შსაჯულების ინტერესებისთვისაც.

1. ვის შეუძლია შეიტანოს საკასაციო საჩივარი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე?

სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებისა და დადგენილების საკასაციო გასაჩივრების უფლება, თანახმად სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 15 მუხლისა, მინიჭებული აქვს მოსარჩლეს, მოპასუხეს და მათი ინტერესების წარმომადგენელთ. სასამართლო წყობილებიდან შესახებ კანონის იმავე მუხლის თანახმად, პროკურორს მინიჭებული აქვს უფლება გააპროტესტოს საკასაციო წესით შემდგომ სასამართლოში ყველა სასამართლოს გადაწყვეტილება და დადგენილება, გარდა სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსა და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებისა და დადგენილებისა. მაგრამ სასამართლო წყობილების შესახებ კანონში მოყვანილი სია იმ პირთა, რომლებსაც გადაწყვეტილებისა და დადგენილების გასაჩივრება შეუძლიათ, ამომწურავი არ არის; გასაჩივრების უფლება აქვთ არა მარტო მხარეებს, ამ სიტყვის ვიწრო მნიშვნელობით, ე. ი. მოსარჩლეს და მოპასუხეს, არამედ სხვა პირთაც, რომლებიც თუმცა საქმეში მხარე არ არიან, მაგრამ მაინც მონაწილეობას იღებენ პროცესში თავისი მატერიალური უფლებების დასაცავად. პროცესის ასეთ მონაწილეთა რიცხვს მიეკუთვნებიან ეგრეთწოდებული მესამე პირნი, რომლებიც საქმეში მონაწილეობას იღებენ ან საკუთარი ინიციატივით ან იმის გამო, რომ ისინი ჩაბმული არიან რომელიმე მოდავე მხარის მიერ.

რადგან მესამე პირის ჩარევა და მესამე პირად ჩაბმა დაშვებულია მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოების დროს სანამ გადაწყვეტილება იქნება საქმეზე გამოტანილი, ამისათვის გადაწყვეტილების გასაჩივ-

რების უფლება მხოლოდ იმ მესამე პირებს აქვთ, რომლებიც სინამდვილეში მონაწილეობას იღებდნენ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის წარმოებისას ან რომელთა მიმართ შედგა სასამართლოს დადგენილება საქმეში მათი ჩარევისა ან ჩაბმის შესახებ. ამის გამო საჩივრის შეტანის უფლება არა აქვთ იმ პირებს, რომლებიც თუმცა შესაძლოა საქმეში ჩაბმული ყოფილიყვნენ მესამე პირად ან თვით ჩარეულიყვნენ საკუთარი ინიციატივით, მხარეებთან მათი იურიდიული დამოკიდებულების გამო, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოში არც თვითონ მათ, არც მხარეებს არ აღუძრავთ შუამდგომლობა საქმეში ჩარევისა ან ჩაბმის შესახებ¹.

გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანა, გარდა საქმეში მონაწილე პირისა, შეუძლია იმ პირსაც, რომელმაც, თანახმად მატერიალური სამოქალაქო სამართლის წესებისა უფლებისმონაცვლეობის შესახებ, უფლება იმ ქონებაზე, რაც უფლების გადმომცემსა და სხვა პირთა შორის დავის საგანს წარმოადგენდა, მოიპოვა გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ.

პროკურორს უფლება აქვს გააპროტესტოს საკასაციო წესით სასამართლოს გადაწყვეტილება და დადგენილება იმისდა მიუხედავად, იღებდა თუ არა ის საქმეში მონაწილეობას.

2. სასამართლოს როგორ დადგენილებებზე შეიძლება საჩივრის შეტანა

საჩივრის შეტანა შეიძლება როგორც სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, ე. ი. ისეთ დადგენილებაზე, რომელშიც სასამართლოს მიერ არსებითად არის გაცემული პასუხი

¹ სხვაგვარად არის გადაწყვეტილი საკითხი მესამე პირის მიერ სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებისა, უკრაინის სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდექსით, რომლითაც საქმეში მესამე პირის ჩარევა დაშვებულია საკასაციო ინსტანციის მიერ დადგენილების გამოტანამდე და, მაშასადამე, საქმეში მესამე პირას ჩარევა შეიძლება მოხდეს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საჩივრის შეტანით.

მოსარჩლის სასარჩელო მოთხოვნებზე, ისე საქმის გარჩევის დროს პროცესის ცალკეული საკითხების გამო სასამართლოს მიერ გამოტანილ დადგენილებებზე, ეგრეთწოდებულ კერძო დადგენილებებზე. სასამართლოს გადაწყვეტილებაზე შეტანილ საჩივარს ეწოდება საკასაციო საჩივარი, ხოლო კერძო დადგენილებაზე შეტანილს — კერძო საჩივარი. პროკურორის პროტესტს ეწოდება შესაბამისად საკასაციო ან კერძო პროტესტი.

სასამართლოს გადაწყვეტილება მხოლოდ იმ პირობით შეიძლება იყოს საგანი საკასაციო გასაჩივრებისა, თუ ის არ არის კანონიერ ძალაში შესული. თუ ეს პირობა არსებობს, შეიძლება გასაჩივრდეს ყოველი სასამართლოს და ყოველ საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება. ამ წესიდან გამონაკლისს წარმოადგენს პირველი ინსტანციის სასამართლოს სახით მოქმედ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს და მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები და სახალხო სასამართლოს ის გადაწყვეტილება, რაც გამოტანილია დეპუტატების საბჭოში ამომრჩეველთა სიაში დაშვებულ შეცდომათა შესახებ საჩივრის გამო.

კანონი, აღნიშნავს რა ზოგადი ფორმით, რომ საჩივრის შეტანა შეიძლება „სასამართლოს გადაწყვეტილებაზე“ (რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 285 მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები), არ იძლევა მითითებას იმის შესახებ, თუ სასამართლოს გადაწყვეტილების სახელდობრ რომელი ნაწილი შეიძლება იყოს გასაჩივრების უშუალო საგანი. ამგვარად, სამოქ. სამართ. საპრ. კოდექსიდან არ ჩანს, გასაჩივრდება გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი, რომელშიც მოყვანილია სასამართლოს საბოლოო დასკვნა მხარეთა უფლებებისა და მოვალეობათა შესახებ, თუ მხარეს შეუძლია არ შეედავოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 266 მუხ.

ნაწილს, რომელიც ხელსაყრელია მისი ინტერესებისათვის და გაასაჩივროს მხოლოდ სასამართლოს გადაწყვეტილების მოტივები, რომელშიც ის ხედავს თავისი პირადი ან ქონებრივი უფლებების დარღვევას. სასამართლო პრაქტიკაში ეს საკითხა არ არის სათანადოდ გაშუქებული.

იმ მითითებებიდან გამომდინარე, რომლებიც მოცემულია სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმის 1941 წლის 22 მაისის დადგენილებაში იმ საკითხის შესახებ, რომ სამოქალაქო მოსარჩლეს არა აქვს უფლება შეიტანოს საჩივარი გამამართლებელ განაჩენზე, უნდა ვცნოთ, რომ დამოუკიდებელი საჩივრის საგანი შესაძლოა იყოს გადაწყვეტილების მოტივებიც. აღნიშნულ დადგენილებაში პლენუმმა მიუთითა, რომ „როცა გამოტანილია გამამართლებელი განაჩენი, სამოქალაქო მოსარჩლეს. საჩივრის შეტანა შეუძლია მხოლოდ განაჩენის იმ ნაწილზე, რომელიც ეხება სასამართლოს გადაწყვეტილებას სამოქალაქო სარჩელის ბედის შესახებ, ისე კი, რომ არ შეეხოს გამამართლებელი განაჩენის გაუქმების საკითხს, კერძოდ, ასეთი საჩივარი შეიძლება შეეხოს გამამართლებელი განაჩენის იმ მოტივებს, რომლებმაც გავლენა იქონიეს სარჩელის ბედზე“.

მ. გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა

სასამართლოს გადაწყვეტილებაზე საკასაციო საჩივრის შეტანა შეიძლება ათი დღის განმავლობაში დღიდან საბოლოოდ გაფორმებული სახით გადაწყვეტილების გამოტანისა¹. უკეთეს საქმის მოსმენის შემდეგ გამოცხადებულ იქნა გადაწყვეტილების მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი, ხოლო მოტივირებული გადაწყვეტილების შედგენა კი გადაიდო (ვადით არა უმეტეს სამი დღისა); საკასაციო ვადა გამოიან-

¹ საქართველოს სსრ-ში და უზბეკეთის სსრ-ში საკასაციო საჩივრის შეტანის ვადა დაწესებულია თხუთმეტი დღე (საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 271 მუხ., უზბეკეთის სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 251 მუხ.). თურქმენეთის სსრ-ში საკასაციო საჩივრის ვადა დაწესებულია თოთხმეტი დღე.

გარიშება მოტივირებული გადაწყვეტილების გამოცხადების დღიდან. საბოლოოდ გაფორმებული სახით გადაწყვეტილების გამოტანის დღიდან დაიწყება საკასაციო ვადის დენა როგორც იმ მხარეებისათვის, რომლებიც დაესწრნენ გადაწყვეტილების გამოცხადებას სასამართლოში, ასევე პროცესის სხვა მონაწილეთათვისაც, რომლებიც სასამართლოში არ იმყოფებოდნენ. ამიტომ სამოქ. სამართ. საპრ. კოდექსით გათვალისწინებული წესი, რომელიც ავალებს სასამართლოს აცნობოს მხარეებს გადაწყვეტილების ასლი (მაგალითად, რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 178-ა მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები), არ შეიძლება განხილულ იქნას როგორც საკასაციო ვადის განგრძობა. მხარეს, რომელიც ასეთ შემთხვევებში სასამართლოს გადაწყვეტილების ასლს საკასაციო ვადის გასვლის შემდეგ მიიღებს, გადაწყვეტილების გასაჩივრება მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია, როცა სასამართლო გასაჩივრების გადაცილებულ ვადას აღუდგენს რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 62 — 64 მუხ.² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების წესისამებრ.

საპროცესო ვადების გამოანგარიშების საერთო წესის მიხედვით (რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 53 — 64 მუხ. მუხ.³ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები), საკასაციო ვადის დენა დაიწყება იმ დღის მომდევნო დღიდან, რა დღესაც გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი, და გათავდება გასაჩივრების ვადის უკანასკნელი დღის დამის 12 საათზე. უკეთეს ვადის უკანასკნელი დღე არასამუშაო დღეა, ვადა გათავებულად ჩაითვლება პირველ ამის მომდევნო სამუშაო დღეს.

დაწესებული ვადის გადაცილება გამოიწვევს გასაჩივრების უფლების დაკარგვას და სასამართლოს გადაწყვეტი-

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 181 მუხ.

² საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 64-66 მუხ მუხ.

³ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 55-66 მუხ მუხ.

ლება შედის კანონიერ ძალაში. მაგრამ მხარეს, რომელმაც ვადა გადააცილა, შეუძლია სთხოვოს გადაწყვეტილების გამომტან სასამართლოს გასაჩივრების ვადის აღდგენა და ამასთან დასახელოს ის პატივსადები მიზეზი, რამაც მას ხელი შეუშალა საჩივრის თავის დროზე შეტანაში. ვადის აღდგენის შესახებ თხოვნის შემტანი მხარე მოვალეა თხოვნასთან ერთად წარუდგინოს სასამართლოს საკასაციო საჩივარიც, რომელიც მას შეაქვს გადაწყვეტილებაზე. თხოვნა გადაცილებული ვადის აღდგენის შესახებ განიხილება ღია სამსჯავრო სხდომაზე მხარეთა დაბარებით და გადაწყდება სასამართლოს დადგენილებით; ეს დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარის მიერ ზემდგომ სასამართლოში რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 249 მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების წესისამებრ.

4. საკასაციო საჩივრის შინაარსი

საკასაციო საჩივრის შედგენისას მხარე არ არის შეზღუდული ამ საჩივრის რაიმე გარკვეული, კანონით გათვალისწინებული ფორმით. რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 236 მუხ.² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებში ნათქვამია, რომ საკასაციო საჩივარში აღნიშნულ უნდა იქნას: ა) გადაწყვეტილება, რომელსაც მომჩივანი უსწოროდ სთვლის; ბ) რაში გამოიხატება, მისი აზრით, გადაწყვეტილების უსწორობა და გ) თხოვნა მომჩივნისა, რომ გადაწყვეტილება მთლად ან ნაწილობრივ გაუქმებულ იქნას. გამომდინარე კანონის ამ საერთო მითითებებიდან, უნდა ვცნოთ, რომ საკასაციო საჩივარში საჭიროა მოხსენებულ იქნას: ა) რომელმა სასამართლომ გამოიტანა გასაჩივრებული გადაწყვეტილება; ბ) როდის

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 284 მუხ.

² საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 269 მუხ.

არის გამოტანილი გადაწყვეტილება; გ) რომელ საქმეზეა გამოტანილი გადაწყვეტილება; დ) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის მოკლე შინაარსი; ე) გადაწყვეტილების უსწორობის დასამტკიცებლად მოყვანილი მოსაზრებანი, გამაგრებულნი მითითებებით როგორც საქმის იმ გარემოებაზე, რასაც გადაწყვეტილება ეწინააღმდეგება, აგრეთვე იმ კანონზე, რაც გადაწყვეტილების გამოტანისას დარღვეული იყო ან რაც არ იყო შეფარდებული; ვ) მომჩივნის ზუსტად ჩამოყალიბებული თხოვნა გადაწყვეტილების გაუქმების, შეცვლის ან ზემდგომი სასამართლოს მიერ საქმეზე ახალი გადაწყვეტილების გამოტანის შესახებ.

თუმცა რომელიმე მხარის მიერ რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 236 მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების ზემოთმოყვანილ მოთხოვნათა შეუსრულებლობა საკასაციო საჩივარს ვერ წაართმევს საპროცესო მნიშვნელობას და ვერ გამოიწვევს საჩივრის უკან დაბრუნებას ან მის უმოძრაოდ დატოვებას, მაგრამ საჩივარში ამ ცნობების აღუნიშვნელობა ართულებს სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შემოწმების საქმეს, ამძიმებს მეორე მხარის მდგომარეობას მით, რომ შესაძლებლობას ართმევს თავის დროზე წარადგინოს საჩივრის საწინააღმდეგო ახსნა-განმარტება და ზოგ შემთხვევაში კი შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს თვით მომჩივანის ინტერესებზეც, რომელმაც არ აღნიშნა მოსაზრებანი გადაწყვეტილების გაუქმებისა ან შეცვლისათვის. ამისათვის პირველი ინსტანციის სასამართლო, განუმარტავს რა მხარეთ გადაწყვეტილების გამოცხადებისას გადაწყვეტილების გასაჩივრების წესს; მოვალეა მიაქციოს მათი ყურადღება იმ გარემოებაზე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმის სწორად გადაწყვეტისათვის რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 236 მუხლის²

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 269 მუხ.

² საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 269 მუხ.

(ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების) მოთხოვნათა დაცვას.

საკასაციო საჩივარს უნდა დაერთოს იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეცაა მოწინააღმდეგე მხარეზე. ამ შემთხვევაში მონაწილედ იგულისხმება როგორც ის პირი, რომელიც საქმეზე მომჩივნის მიმართ მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს (მაგალითად, მოსარჩლე, უკეთუ საჩივარი შეტანილია მოპასუხის მიერ), ასევე მესამე პირიც, რომელიც მონაწილეობას იღებს საქმეში მომჩივნის მოწინააღმდეგის მხარეზე.

პროკურორის მიერ შეტანილ საკასაციო პროტესტს უნდა დაერთოს იმდენი ასლი, რამდენი მონაწილეცაა მოწინააღმდეგე მხარეზე, როგორც იმ საქმეებზე, რომლებშიც პროკურორი რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 2 მუხლისა¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო მუხლების წესისამებრ მონაწილეობას იღებდა როგორც მხარე, აგრეთვე იმ საქმეებზეც, რომლებშიც პროკურორი პირველად საკასაციო პროტესტის შეტანით ჩაერია.

სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონი (15 მუხ.) მხარეთ ანიჭებს უფლებას წარადგინონ გადაწყვეტილების საწინააღმდეგო ახალი მასალა, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს განხილვის საგნად არ ყოფილა. მიუხედავად იმისა, თუ სად ხდება ახალი მასალის წარდგენა — საკასაციო საჩივართან ერთად თუ უშუალოდ მეორე ინსტანციის სასამართლოში საკასაციო საჩივრის განხილვამდე — მომჩივანი მოვალეა დაამზადოს ამ მასალის ასლებიც მოწინააღმდეგე მხარის ყველა მონაწილესათვის.

5. საკასაციო საჩივრის შეტანის წესი

საკასაციო საჩივარი იწერება ზემდგომი სასამართლოს სახელზე, მაგრამ ის შეიტანება იმ სასამართლოში, რომელ-

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 2 მუხ.

მაც გასაჩივრებული გადაწყვეტილება გამოიტანა. საჩივრის შეტანა მომჩივანს შეუძლია მის მიერ არჩეული წესით; შეუძლია საჩივარი პირადად გადასცეს მოსამართლეს, შეუძლია მისი შეტანა მიანდოს თავის წარმომადგენელს ანდა შეუძლია საჩივარი გადაუგზავნოს სასამართლოს ფოსტით. როგორც წესი, საკასაციო საჩივარი პირადად მოსამართლემ უნდა მიიღოს. როცა მოსამართლე არ იმყოფება, საჩივრის მიღება შეუძლია სასამართლოს მდივანს, რომელიც მოვალეა გადასცეს ის მოსამართლეს მისი მოსვლისთანავე¹.

საჩივრის მიღებისას მოსამართლე მოვალეა შეამოწმოს, დაცულია თუ არა მომჩივნის მიერ საჩივრის შეტანის ვადა. განსაზღვროს საჩივრის მიხედვით კუთვნილი ბაჟის რაოდენობა და შეამოწმოს, წარმოდგენილია თუ არა საჭირო რაოდენობა საჩივრის ასლისა მოწინააღმდეგე მხარის მონაწილეთათვის. უკეთუ საჩივარი შეტანილია ვადაზე, წარმოდგენილია ყველა საჭირო დანართი და გადახდილია ბაჟი, მოსამართლე დანიშნავს მეორე ინსტანციის სასამართლოში საჩივრის განხილვის დღეს მეორე ინსტანციის სასამართლოში სამსჯავრო სხდომების იმ ცხრილის მიხედვით, რაც მას ზემდგომი სასამართლოს მიერ გადმოეგზავნა². საქმის განხილვის დღეს მოსამართლე გამოუცხადებს მომჩივანს, რაზედაც მას ხელს მოაწერინებს საჩივარზე, ხოლო უკეთუ საჩივარი მიღებულია ფოსტით, საჩივრის განხილვის დღე მომჩივანს უწყებით ეცნობება. მოწინააღმდეგე მხარეს საჩივრის განხილვის დღე ეცნობება უწყებით, რაც მას საკასაციო საჩივრის ასლთან ერთად გაეგზავნება. გასაჩივრებული გადაწყვეტილების გა-

¹ სსრ კავშირის იუსტისკომის მიერ დამტკიცებული 1943 წლის 30 ივლისის № 59 ინსტრუქცია სახალხო სასამართლოში საქმის წარმოების შესახებ.

² უკეთუ საჩივარი შეიტანება პირველი ინსტანციის სახით მოქმედი სამხარეო, საოლქო და მათი შესაბამისი სასამართლოს მიერ გამოტანილ გადაწყვეტილებაზე, საკასაციო საჩივრის გამო საქმის მოსმენის დღეს ზემდგომი სასამართლო დანიშნავს და სამსჯავრო სხდომის დღე მხარეთ ეცნობებათ ან უწყებით ან განსახილველად დანიშნულ საქმეთა სიის გამოკერით თვით სასამართლოს შენობაში ხუთი დღით ადრე სამსჯავრო სხდომამდე.

მომტანი სასამართლო მიღებულ საჩივარს მთელ საქმესთან ერთად, არა უგვიანეს სამი დღისა საჩივრის მიღებიდან, გადაგზავნის საკასაციო ინსტანციაში.

უკეთუ საკასაციო საჩივარი შეტანილია გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ის უნდა დაუბრუნდეს მომჩივანს და ეცნობოს მას მიზეზი, რომლის გამოც საჩივარი არ იქნა მიღებული. უკეთუ საჩივარი შეტანილია ბაჟის გადაუხდე-ლად ან უკეთუ საჩივარს თან არ ერთვის მისი ასლი მოწი-ნააღმდეგე მხარისათვის, მოსამართლე, რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 81 მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუ-ბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების წესისამებრ, წინადადებას მისცემს მომჩივანს გამოასწოროს განსაზღვრულ ვადაში ეს ნაკლი და, თუ ეს არ იქნება შე-სრულებული, საჩივარს დაუბრუნებს შემტანს. საჩივრის მი-ღებისას მოსამართლეს არა აქვს უფლება შევიდეს მის არსე-ბითად განხილვაში, და ამისათვის საჩივრის შინაარსის შეუ-საბამობა რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 236 მუხ.² (ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების) მოთხოვნებთან, მაგალითად, საჩივარში მოტივების არარსებობა, საჩივრის დაუსაბუთებ-ლობა და სხვ. და სხვ., ვერ დააბრკოლებს საჩივრის მიღებას და მის წარმართვას მეორე ინსტანციის სასამართლოში.

საკასაციო საჩივრის შეტანით გასაჩივრებული გადა-წყვეტილება კანონიერ ძალაში არ შედის, მაგრამ ეს სრუ-ლიადაც არ ნიშნავს გასაჩივრების ვადის დენის შეწყვეტას პროცესის სხვა მონაწილეთათვის. უკეთუ გავიდა საკასაციო ვადა, მხარე, რომელმაც თავის დროზე არ გაასაჩივრა მის მი-მართ არასწორი გადაწყვეტილება იმ იმედით, რომ მას არც მე-ორე მხარე გაასაჩივრებს, ვეღარ შესძლებს უკვე ამ შეცდომის გამოსწორებას და მოწინააღმდეგის მიერ საჩივრის შეტანის შემდეგ ვეღარ შეიტანს თავის მხრივ საჩივარს გადაწყვეტი-ლებაზე. ასეთ შემთხვევებში მხარეს, რომელსაც გადაწყვეი-

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 85 მუხ.

² საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 269 მუხ.

ტილება არ გაუსაჩივრებია, შეუძლია შეიტანოს მხოლოდ ახსნა-განმარტება თავისი მოწინააღმდეგის საჩივრის გამო და ამტკიცოს საჩივრის დაუსაბუთებლობა ან მასში აღნიშნულ მოთხოვნათა უსაფუძვლობა, მაგრამ ასეთი ახსნა-განმარტება, რომელიც მხოლოდ წერილობით პასუხს წარმოადგენს მეორე მხარის საჩივარზე, არ უნდა შეიცავდეს დამოუკიდებელ საკასაციო მოთხოვნებს. ვადის გასვლის შემთხვევაში კანონი პროცესში თანამონაწილეებსაც კი, ე. ი. იმ პირთ, რომლებიც მომჩივნის მხარეზე მონაწილეობენ, მხოლოდ იმის უფლებას აძლევს, რომ მიემხრნენ შეტანილ საჩივარს, და არა იმის უფლებას — რომ შეიტანონ დამოუკიდებელი საჩივარი პირვანდელისაგან განსხვავებული საკასაციო მოთხოვნებით.

საჩივრის გამო ახსნა-განმარტებისა და საჩივრის მიმხრობის შესახებ განცხადების შეტანა შეიძლება როგორც პირველი ინსტანციის სასამართლოში, ისე უშუალოდ ზემდგომ სასამართლოში მთელი დროის განმავლობაში, დაწყებული დღიდან საკასაციო საჩივრის შეტანისა, ვიდრე საქმე მეორე ინსტანციის სასამართლოში განიხილებოდეს.

საკასაციო საჩივარზე შეტანილი უნდა იქნას სახელმწიფო ბაჟი. ბაჟი გადაიხდევენება იმ თანხიდან, რომელსაც მომჩივანი არასწორად მისგან მისჯილად სთვლის (მოპასუხე) ან რომლის მისჯაზე მას, მისი აზრით, უსაფუძვლოდ ეთქვა უარი (მაძიებელი). საკასაციო საჩივრიდან ბაჟი გამოიანგარიშება ბაჟის იმ განაკვეთის ნახევრის ჯაოდენობით, რაც დაწესებულია სასარჩელო განცხადებისათვის.

6. საქმის განხილვა მეორე ინსტანციის სასამართლოში

მეორე ინსტანციის სასამართლოში სამსჯავრო სხდომა იმავე წესით ტარდება, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მოსმენისათვის არის დადგენილი. როგორც იქ, საქმე საკასაციო წესით ღია სამსჯავრო სხდომაზე განიხილება. კარდახშულ სხდომაზე საქმე მხოლოდ განსაკუთრე-

ბულ შემთხვევებში მოისმინება, უკეთეს საქმის გარემოებათა გამო მისი საჯაროდ გარჩევა სასელმწიფოებრივი ინტერესის დაცვის თვალსაზრისით სასურველი არ იქნება და აგრეთვე უკეთეს საქმის გარემოება მხარეთა ინტიმურ ცხოვრებას ეხება (რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 95 მუხ. ¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები). ასე, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის 8 ივლისის ბრძანებულება, რომელიც აწესებს განქორწინების საქმეთა განხილვის სასამართლო წესს, ითვალისწინებს, რომ, მეუღლეთა თხოვნით, საჭირო შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით, განქორწინების საქმე შეიძლება მოსმენილ იქნას დახურულ სამსჯავრო სხდომაზე (სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების 28 მუხ.).

მეორე ინსტანციის სასამართლო, როდესაც საქმის განხილვას შეუდგება, უპირველეს ყოვლისა, გამოარკვევს ეცნობა თუ არა მხარეთ სამსჯავრო სხდომის დღე, და მათი გამოუცხადებლობის შემთხვევაში — უკეთეს არ არის ცნობები იმის შესახებ, რომ მათ შეტყობინება ჩაბარდათ — გადასდებს საქმის მოსმენას და ამასთან ხელმეორედ გაუგზავნის უწყებებს მხარეებს. მხარის გამოუცხადებლობა, როდესაც მას საქმის მოსმენის დღე ეცნობა, საქმის განხილვას ვერ დააბრკოლებს. სასამართლო მოვალეა სასამართლოში გამოცხადებულ მხარეებს განუმარტოს მათი საპროცესო უფლება-მოვალეობანი, კერძოდ, განუმარტოს, რომ მათ აქვთ მოსამართლეთა ჩამოცილების უფლება. მოსამართლეთა ჩამოცილებისა და თვითგანრიდების იმ საფუძველთა გარდა, რაც რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 104 მუხლისა ² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებშია აღნიშნული, როგორც არის მოსამართლის დაინტერესება საქმის შედეგით და მოსამართლისა და მოდავეთა შორის რაიმე განსაკუთრებული ურთიერთობის

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 99 მუხ.

² საქ. სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 110 მუხ.

არსებობა, მეორე ინსტანციაში მოსამართლის ჩამოცილების საფუძველს წარმოადგენს აგრეთვე ამ საქმის განხილვაში მისი მონაწილეობა პირველი ინსტანციის სასამართლოში.

სასამართლო, გადაწყვეტს რა მოსამართლეთა აცილების ან თვითგანრიდების საკითხს და აგრეთვე მხარეთა სხვა შუამდგომლობებს, თუ ასეთები განცხადებულ იქნა, შეუდგება საქმის განხილვას, რაც დაიწყება თავმჯდომარის ან ერთ-ერთი მოსამართლის მოხსენებით. მოხსენების შემდეგ გაიხსნება მხარეთა კამათი; ამასთან პირველად სიტყვა ახსნა-განმარტებისათვის მიეცემა მომჩივანს და საქმეში მონაწილე. იმ პირებს, რომლებიც მომჩივანს შეუერთდნენ, შემდეგ კი — მეორე მხარეს საჩივრის წინააღმდეგ მისაგებელის მოსახსენებლად. მხარეთა კამათის დამთავრების შემდეგ პროკურორი მისცემს დასკვნას იმის შესახებ, სწორია თუ არა გასაჩივრებული გადაწყვეტილება. როდესაც საქმე პროკურორის საკასაციო პროტესტის გამო განიხილება პირველ რიგში სიტყვა მიეცემა პროკურორს, შემდეგ კი უკვე მხარენი მისცემენ თავის ახსნა-განმარტებას. ამით მთავრდება სამსჯავრო სხდომა და სასამართლო გადის სათათბირო ოთახში საქმეზე დადგენილების გამოსატანად.

მაგრამ, მიუხედავად სამსჯავრო სხდომათა გარეგნული ღორმის მსგავსებისა პირველსა და მეორე ინსტანციის სასამართლოებში, თავისი შინაარსით ეს სხდომები მაინც დიდად განსხვავდება ერთმანეთისაგან. პირველი ინსტანციის სასამართლო, რომელიც საქმეს არსებითად განიხილავს, მოვალეა შეამოწმოს, რამდენად მართლზომიერი და დასაბუთებულია მოსარჩლის მატერიალურ-უფლებრივი მოთხოვნანი მოპასუხის მიმართ. შესაბამისად ამისა აქ სასამართლოს ამოცანას შეადგენს საქმის ფაქტიური გარემოებისა და მხარეთა ნამდვილი ურთიერთობის გამორკვევა და აქედან გამომდინარე იურიდიული შედეგების დადგენა მოდავეთათვის, ე. ი. დავის არსებითად გადაწყვეტა. სულ სხვაგვარი ამოცანა დგას მეორე ინსტანციის სასამართლოს წინაშე; ის მოვალეა შეამოწმოს, რამდენად კანონიერი და დასაბუთებულია გა-

მოტანილი გადაწყვეტილება მოქმედი კანონისა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტიურ გარემოებათა თვალსაზრისით. ამ ამოცანას უნდა დაექვემდებაროს სასამართლოსა და მხარეთა მიერ საკასაციო ინსტანციაში წარმოებული ყველა საპროცესო მოქმედება. ამიტომ ზემდგომ სასამართლოში საკასაციო საჩივრის განხილვის დროს არ შეიძლება ადგილი ექნეს ისეთ სტადიას, როგორც არის გამოჩვენება და შემოწმება დამამტკიცებელი საბუთებისა, მაგალითად, მოწმეთა დაკითხვა, ექსპერტიზის ჩატარება და სხვ. და სხვ.

თვით საქმის მოხსენება მოსამართლემ ისე უნდა ააგოს, რომ სასამართლოსა და მხარეთა ყურადღება გაამახვილოს არა საქმის ფაქტიურ გარემოებაზე, არამედ ისეთ მომენტებზე როგორცაა სასამართლოს მიერ მატერიალური ან საპროცესო კანონის დაცვა, სარჩელის დაკმაყოფილებისა ან სარჩელში უარისთქმის შესახებ სასამართლოს დასკვნის შესაბამისობა კანონთან და საქმის ფაქტიურ გარემოებასთან, წინააღმდეგობის არსებობა ან არარსებობა სასამართლოს მიერ გამოტანილ დასკვნასა და მის მიერ დადგენილ საქმის გარემოებათა შორის, მხარეთა ურთიერთობის სრულად გამოჩვენება, საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებათა დასაბუთებულობა და სხვ. და სხვ.. მოხსენებამ ამომწურავი სისრულით უნდა გააშუქოს ყველა ის სადავო საკითხი, რომელიც საკასაციო ინსტანციის წინაშე დგას და რომელიც მხარეთა ახსნა-განმარტების მოსმენას მოითხოვს. მოხსენება არ უნდა შემოიფარგლოს მარტოდენ გადაწყვეტილების დედაარსისა და საკასაციო საჩივარში მოყვანილ მოსაზრებათა გადმოცემით, რადგან მეორე ინსტანციის სასამართლო „არ არის შებორკილი საჩივარში აღნიშნული საბაბით და მოვალეა, ყოველ კერძო შემთხვევაში, განიხილოს საქმე თავისი ინიციატივით სარევიზიო წესით როგორც გასაჩივრებულ, ისე გაუსაჩივრებელ ნაწილში“ და ასევე იმ მხარეთა მიმართაც, რომლებსაც არ შეუტანიათ საჩივარი“ (რსფსრ სამოქ.

სამართ. საპრ. კოდ. 245 მუხ. ¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები). სწორად აგებული და საკმაოდ სრული მოხსენება მოსამართლისა ადვილებს სამსჯავრო სხდომის ხელმძღვანელობის საქმეს, სახავს იმ ფარგლებს, რა ფარგლებშიც მხარეებმა უნდა მისცენ ახსნა-განმარტება ისე, რომ არ შევიდნენ საქმის ფაქტიური გარემოების განხილვაში, მაშინ როცა ეს გასაჩივრებულ გადაწყვეტილების სისწორის საკითხთან არ არის დაკავშირებული.

მაგრამ თავმჯდომარემ ისე უნდა უხელმძღვანელოს სამსჯავრო სხდომის მსვლელობას, რომ ამან არ გამოიწვიოს მხარეთა საპროცესო უფლებების შეზღუდვა და არ შეზღუდოს მხარენი თავისი ინტერესების დასაცავ, კანონიერ საშუალებათა გამოყენებაში. რაც უნდა უდავო იყოს სასამართლოსათვის გასაჩივრებული ან გაპროტესტებული გადაწყვეტილების სისწორის ან უსწორობის საკითხი, სასამართლოს არ შეუძლია შეუზღუდოს მხარეებს უფლება წარადგინონ საქმეზე ახალი მასალა და მისცენ ახსნა-განმარტება საჩივრის გამო, მით უმეტეს სასამართლოს უფლება არა აქვს სრულიად გამორიცხოს მხარეთა კამათი იმ მოტივით, რომ საქმის გარემოება ისედაც ნათელია.

7. გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლები

რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 237 მუხლსა ² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებში აღნიშნულია, რომ გადაწყვეტილების გაუქმებას შეიძლება საფუძვლად დაედოს: ა) მოქმედი კანონისა და კერძოდ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 4 მუხლის ³ დარღვევა ან არასწორი შეფარდება და ბ) აშკარა წინააღმდეგობა გადაწყვეტილებასა და საქმის იმ ფაქტიურ გარემოება-

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 278 მუხ.

² საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 270 მუხლი.

³ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 5 მუხ.

თა შორის, რაც საქმის გადაწყვეტმა სასამართლომ დაადგინა.

სასამართლო პრაქტიკამ გააფართოვა გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია რიცხვი და მას მიაკუთვნა არა მარტო კანონის დარღვევა ან არასწორი შეფარდება, არამედ სათანადო კანონის შეუფარდებლობაც, და აგრეთვე არა მარტო აშკარა წინააღმდეგობა გადაწყვეტილებასა და ფაქტიურ გარემოებათა შორის, არამედ ამ გარემოებათა აშკარად არასაკმაო გამორკვევაც. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 52-ე პლენუმმა თავის დადგენილებაში „სამოქალაქო სამართლის პროცესში საპროცესო ნორმების მტკიცედ დაცვის შესახებ“ მიუთითა, რომ „საკასაციო ინსტანცია მოვალეა, პირველად ყოვლისა, შეამოწმოს, საკმაო სისრულით არის თუ არა დადგენილი პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის ყველა გარემოება და იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ საქმის ფაქტიური მხარე სრულად არ არის გამორკვეული, მოვალეა საქმე დაუბრუნოს პირველი ინსტანციის სასამართლოს დამატებითი გამოძიებისათვის და ამასთან ზუსტად მიუთითოს, სახელდობრ რა უნდა იქნას დამატებით გამოძიებული. საკასაციო ინსტანცია მოვალეა აგრეთვე შეამოწმოს, სწორია თუ არა ის ლოგიკური დასკვნა, რომელიც სასამართლომ მის მიერ დადგენილ ფაქტიურ გარემოებიდან გააკეთა, და სწორად არის თუ არა შეფარდებული კანონი“.

რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 237 მუხ. ¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები, რომლებშიც ლაპარაკია გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველზე, არ შეიცავენ მითითებას იმის შესახებ, რომ ეს საფუძველები გადაწყვეტილების გაუქმების აუცილებელ საბაბს წარმოადგენენ, ხოლო ამ მუხლების რედაქციის მიხედვით კი გამოდის, რომ ეს საფუძველები მხოლოდ შესაძლოა იყოს საბაბი გადაწყვეტილების გაუქმე-

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 270 მუხ.

ბისა. ამრიგად, საკასაციო ინსტანციამ არა მარტო უნდა გამო-
არკვიოს, დაშვებულია თუ არა სასამართლოს მიერ კანონის
დარღვევა ან ეწინააღმდეგება თუ არა გადაწყვეტილება საქ-
მის ფაქტიურ გარემოებას, არამედ გადაწყვეტოს საკითხი
იმის შესახებ — სასამართლოს მიერ დაშვებულ დარღვევებს
უნდა მოჰყვეს თუ არა გადაწყვეტილების გაუქმება. ეს სა-
კითხი ზემდგომმა სასამართლომ, ყოველ კერძო შემთხვევაში,
უნდა გადაწყვეტოს იმისდა მიხედვით, თუ რა გავლენა მოა-
ხდინა ამ დარღვევებმა პირველი ინსტანციის სასამართლოს
გადაწყვეტილებაზე. უკეთუ აღმოჩნდება, რომ დაშვებულ
დარღვევებს ხელი არ შეუშლია სასამართლოსათვის სწორად
განსაზღვრა მხარეთა უფლება-მოვალეობანი, მეორე ინსტან-
ციის სასამართლოს შეუძლია ასეთი გადაწყვეტილება დას-
ტოვოს ძალაში, ხოლო კერძო დადგენილებაში აღნიშნოს
სასამართლოს მიერ დაშვებული უსწორობანი, იმ მიზნით,
რომ ისინი არ იქნან განმეორებული შემდგომ სასამართლო
პრაქტიკაში. მაგრამ, უკეთუ სასამართლოს მიერ დაშვებულ-
მა დარღვევებმა წინასწარ განსაზღვრა საქმეზე არსებითად
არასწორი დასკვნის გამოტანა, სასამართლოს მიერ დაშვე-
ბული შეცდომის გასწორება შეიძლება მხოლოდ სასამარ-
თლოს გადაწყვეტილების გაუქმების გზით.

ასე, მაგალითად, უკეთუ სასამართლომ, განიხილა რა
სარჩელი იმ პირის გამოსახლების შესახებ, რომელიც
შრომითი ურთიერთობასთან დაკავშირებით სპეციალურ,
მოსამსახურეთათვის განკუთვნილ სადგომში ცხოვრობს,
დაადგინა მოპასუხის გამოსახლება სხვა საცხროვრებელი
სადგომის მიცემით და ამასთან დაემყარა სსრ კავშირის
ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახკომ-
საბჭოს 1937 წ. 17 ოქტომბრის დადგენილების 32 მუხლს
„საბინაო ფონდის შენარჩუნების შესახებ“, ასეთი გადაწყვე-
ტილება ვერ დარჩება ძალაში, რადგან ის ეწინააღმდეგება
კანონს (რსფსრ სამოქ. სამართ. კოდ. 171 ა მუხ.), რომლის
თანახმად შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის დროს დამკი-
რავებელი არ არის მოვალე მისცეს სადგომი იმ მუშაკს,

რომელსაც ასახლებენ სპეციალურ, მოსამსახურეთათვის განკუთვნილ, სადგომიდან. მოყვანილ. მაგალითში, სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის და სახკომსაბჭოს 1937 წ. 17 ოქტომბრის დადგენილების 32 მუხლის არასწორმა შეფარდებამ და აგრეთვე სათანადო კანონის დარღვევამ (რსფსრ სამოქ. სამართ. კოდ. 171 ა მუხ.) განაპირობა სასამართლოს არასწორი დასკვნა აგრეთვე საქმის არსებითი მხარის შესახებაც. მაგრამ თუ, მაგალითად, სასამართლომ დააკმაყოფილა დამქირავებლის სარჩელი, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ, მიმართული იმ დამქირავებლის მიმართ, რომელსაც ხელშეკრულების ძალით სრული ქონებრივი პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული, და ამასთან შეაფარდა სამოქალაქო სამართლის კოდექსის 403 მუხლი და არა შრომის კანონთა კოდექსის 83 მუხლი, ამ შემთხვევაში არასათანადო კანონის შეფარდებას არავითარი გავლენა არ მოუხდენია გადაწყვეტილების არსებით მხარეზე, რადგან ორივე ეს მუხლები ერთსადაიმთხვე შედეგს ითვალისწინებს მოპასუხისათვის.

ამიტომ არა ყოველთვის და არა კანონის ყოველი დარღვევა უნდა ჩაითვალოს უსათუოდ საქმას საბაზად გადაწყვეტილების გაუქმებისათვის. გადაწყვეტილების აუცილებელი გაუქმება უნდა მოჰყვეს მხოლოდ კანონის ისეთ დარღვევას, რომელსაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და რასაც არ შეეძლო გავლენა არ მოეხდინა სასამართლოს გადაწყვეტილებაზე. სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 52-ე პლენუმი, ლაპარაკობს რა საკასაციო ინსტანციის მოვალეობაზე — თვალყური ადევნოს გადაწყვეტილების კანონთან შესაბამისობას, თავის დადგენილებაში „სამოქალაქო პროცესში საპროცესო ნორმების მტკიცედ დაცვის შესახებ“ აღნიშნავს, რომ „საკასაციო ინსტანციის ძირითად მოვალეობას შეადგენს თვალყური ადევნოს იმას, რათა სწორად იქნას შეფარდებული და გაგებული საბჭოთა როგორც მატერიალური, ისე საპროცესო კანონი. ამიტომ, უკეთეს საკასა-

ციო ინსტანცია დარწმუნდება, რომ საქმის გარჩევის დროს ადგილი ჰქონდა რომელიმე მხარის ძირითად საპროცესო უფლებების არსებით დარღვევას (მაგალითად, მხარეებს არ ეცნობათ საქმის გარჩევის დღე, ისინი მოკლებული იყვნენ საშუალებას წარმოედგინათ საქმეზე დამამტკიცებელი საბუთი და სხვ. და სხვ.), ზემდგომი ინსტანციის სასამართლო, განიხილავს რა საქმეს საკასაციო-სარევიზიო წესით, მოვალეა გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე გადასცეს ხელახალი განხილვისათვის“.

რადგან პრაქტიკაში რთული და მეტად სხვადასხვა სახის მატერიალურ-უფლებრივი ურთიერთობანი გვხვდება, შეუძლებელია თუნდაც დაახლოებითი ჩამოთვლა მატერიალური სამართლის ნორმათა დარღვევებისა, რომლებიც გადაწყვეტილების უთუოდ გაუქმებას იწვევს. მაგრამ, რაც შეეხება საპროცესო ნორმათა დარღვევებს, მათი სანიმუშო სია შეიძლება რეკომენდებულ იქნას იმ სახით, რა სახითაც ეს მოცემულია რსფსრ უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო კოლეგიის 1924 წლის დადგენილებაში. ამ დადგენილებაში, რსფსრ უმაღლეს სასამართლოს პლენუმმა, შეაჯამა რა სამოქალაქო კოლეგიის პრაქტიკა, აღნიშნა, რომ იმ მიზეზთა რიცხვს, რაც უთუოდ იწვევს საკასაციო ინსტანციის მიერ გადაწყვეტილების გაუქმებასა და საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაცემას, მიეკუთვნება: 1) სამოქალაქო სამართლის პროცესის ელემენტარულ მოთხოვნათა დარღვევა, როგორიც არის: სასამართლოს არასათანადო შემადგენლობა, სასამართლოს მიერ ისეთი საქმის მიღება, რომელიც არ ექვემდებარება სასამართლოს, საქმის გადაწყვეტა მხარის დაუსწრებლად, უკეთეს მხარეს დაწესებული წესით არ ეცნობა მოსმენის დღე და მან მოსმენის დღე არ იცოდა, გადაწყვეტილების გამოტანა იმ პირის მიმართ, რომელსაც პროცესთან არავითარი დამოკიდებულება არა აქვს და არც საქმეში ყოფილა ჩაბმული მოსარჩლისა ან მოპასუხის სახით; 2) დარღვევა ან არასწორი გაგება მატერიალური და საპროცესო კანონებისა, რომლებიც სახელმწიფოსა და მშრომელი მასე-

ბის ინტერესებს იცავს მიუხედავად იმისა, რომ ეს დარღვევები საჩივარში არც კი არის მოხსენებული; 3) გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის უსრულობა ან გაურკვეველობა, რის გამო შეუძლებელია ნათლად გაგება იმისა, თუ სახელდობრ რისი მისჯა სურდა სასამართლოს; 4) შეურიგებელი წინააღმდეგობის არსებობა გადაწყვეტილების სარეზოლუციო და აღწერილობითი ნაწილს შორის; 5) გადაწყვეტილების უმოტივობა ან გადაწყვეტილების არასაკმაოდ დასაბუთება ფაქტიური შონაცემებით და 6) ისეთი გადაწყვეტილების გამოტანა, რომელიც ეწინააღმდეგება სხვა, კანონიერ ძალაში შესულ, გადაწყვეტილებას.

უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების გაუქმების საბაბი შეიძლება იყოს არა მარტო ის საფუძვლები, რაც საკასაციო საჩივარშია მოყვანილი. ჩვენი სამოქალაქო სამართლის პროცესის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს მხარეთა აქტიურობისა და ინიციატივის შერწყმა სასამართლოს აქტიურობასა და ინიციატივასთან. საკასაციო წარმოების სტადიაში ეს პრინციპი გამოხატულებას იმაში პოულობს, რომ საქმის საკასაციო წარმოება დაიწყება მხოლოდ მხარის საჩივრით ან პროკურორის პროტესტით. უკეთუ არაა წარდგენილი არც საკასაციო საჩივარი და არც პროტესტი, საქმის საკასაციო წესით განხილვა არ შეიძლება, და სასამართლოს გადაწყვეტილების შემოწმება შეუძლია ზემდგომ სასამართლოს მხოლოდ ზედამხედველობის წესით. მაგრამ უკეთუ საკასაციო საჩივარი ან პროტესტი შეტანილია და საკასაციო წარმოება აღიძრა, მეორე ინსტანციის სასამართლო, შეუდგება რა გადაწყვეტილების შემოწმებას, უკვე აღარ არის შეზღუდული საჩივარსა და პროტესტში მოყვანილი საბაბებით და ის მოვალეა სარევიზიო წესით შეამოწმოს გადაწყვეტილება მთლიანად, როგორც მისი გასაჩივრებული ნაწილი, ისე გაუსაჩივრებელიც. ამრიგად, მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმის განხილვის შედეგად, გადაწყვეტილება შეიძლება გაუქმებულ იქნას გარდა იმ საფუძვლებისა, რაზედაც მომჩივანი მიუთითებდა, სხვა საფუძვლითაც

და პროცესის იმ მონაწილეთა მიმართაც, რომლებსაც საჩივარი სულაც არ შეუტანიათ.

8. მეორე ინსტანციის სასამართლოს უფლებანი საკასაციო საჩივრის განხილვისას

ოქტომბრის დიდი რევოლუციის პირველსავე დღეებიდან, საბჭოთა საპროცესო სამართალში მტკიცედ დამკვიდრდა ის დებულება, რომ სამოქალაქო საქმე არსებითად მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ განიხილება, ზემდგომი სასამართლო კი განიხილავს მხოლოდ საჩივარსა და პროტესტს ქვემდგომი სასამართლოების გადაწყვეტილებებსა და დადგენილებებზე და ამასთან საქმის ხელახლად გადასაწყვეტად კი არა, არამედ მხოლოდ გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთების შესამოწმებლად. მეორე ინსტანციის სასამართლო, წარმოადგენს რა ყოველთვის ისეთ ორგანოს, რომელიც პირველი ინსტანციის სასამართლოს საქმიანობის შემოწმებასა და კონტროლს ახორციელებს, თვითონ არავითარ პირობებში არ უნდა შესცვალოს პირველი ინსტანციის სასამართლო. ამისათვის, მეორე ინსტანციის სასამართლოს, რჩება რა ის თავის ფუნქციათა ფარგლებში, არ შეუძლია აწარმოოს საქმის ფაქტიურ გარემოებათა გამორკვევა და დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება და შემოწმება და არ შეუძლია აგრეთვე არსებითად გადაწყვიტოს სამოქალაქო დავა, გარდა იმ შემთხვევებისა, რაც კანონით პირდაპირ არის გათვალისწინებული (რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 246³ მუხ. 1).

მეორე ინსტანციის სასამართლოს ფუნქციათა განსაკუთრებული ხასიათი იმას არ ნიშნავს, რომ ამ სასამართლოსათვის საქმის ფაქტიურ გარემოებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს და ის არ უნდა შევიდეს იმ მასალის განხილვაში, რაც პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ არის

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 279 მუხ.

შეგროვილი და რაც მხარეთა ურთიერთობას შეეხება. საკასაციო ინსტანციამ გასაჩივრებული გადაწყვეტილება ერთნაირად უნდა შეამოწმოს როგორც მისი კანონიერების თვალსაზრისით, ასევე იმ მხრივაც, თუ რამდენად შეესაბამება ეს გადაწყვეტილება პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტიურ გარემოებას და იმ მასალას, რაც მხარემ საკასაციო საჩივართან დაკავშირებით წარადგინა. ამგვარად, საქმის ფაქტიური მასალის შესწავლა არა თუ არ ეწინააღმდეგება მეორე ინსტანციის სასამართლოს ამოცანებს, არამედ მის პირდაპირ მოვალეობას შეადგენს, და თავისარიდება საქმის ფაქტიურ გარემოებათა შეფასებისა და ანალიზისაგან უნდა ჩაითვალოს ამ სასამართლოს ფუნქციათა დამახინჯებად. საქმე იმაში კი არ არის, რომ პირველ ინსტანციას აინტერესებს საკითხი ფაქტის შესახებ, ხოლო მეორე ინსტანციას — საკითხი უფლების შესახებ; საქმის ფაქტიური და უფლებრივი მხარე ერთნაირად უნდა იცოდეს როგორც პირველმა ინსტანციამ, ისე მეორემ. საქმე იმაშია, რომ ფაქტიურ მასალას საკასაციო ინსტანციისათვის სხვა მიზნობრივი დანიშნულება აქვს; ფაქტიურ მასალას საკასაციო ინსტანცია იყენებს იმისათვის, რომ იმსჯელოს იმის შესახებ — სწორია თუ არა გადაწყვეტილება და არა იმისათვის, რომ გადაწყვიტოს საკითხი — დამტკიცებულია თუ არა სარჩელი. უკეთუ საკასაციო-სარევიზიო წესით საქმის განხილვის შედეგად მეორე ინსტანციის სასამართლო დარწმუნდება, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო გადაწყვეტილება სწორია, ხოლო საკასაციო საჩივარი უსაფუძვლოა, ის ამ გადაწყვეტილებას დასტოვებს ძალაში.

უკეთუ მეორე ინსტანციის სასამართლო სცნობს, რომ გადაწყვეტილება სწორი არ არის, ის მოვალეა გადაწყვეტილება გააუქმოს ან შეცვალოს.

მეორე ინსტანციის სასამართლო არ არის შებორკილი საკასაციო საჩივარში აღნიშნული საბაბით და გადაწყვეტილების შემოწმებისას არ არის შეზღუდული საქმის ფაქტიური მასალის გამოყენებაში და ამასთან ფართო უფლებებით

არის აღკვეთილი სასამართლოს არასწორ გადაწყვეტილებათა შესწორების დარგში. უკეთეს შემდგომი სასამართლო, საქმის საკასაციო წესით განხილვის შედეგად კპოვებს, რომ გადაწყვეტილება სწორი არ არის, მას შეუძლია: ა) გააუქმოს გადაწყვეტილება და წინადადება მისცეს სხვა ან იმავე შემადგენლობის პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტოს საქმე ხელახლა მეორე ინსტანციის სასამართლოს მითითებათა შესაბამისად; ბ) მოსპოს საქმის წარმოება, უკეთეს მოსარჩლეს არა აქვს საჩივრის უფლება ან უკეთეს საქმე არ ექვემდებარება სასამართლოს; გ) შეცვალოს გადაწყვეტილება და შეიტანოს მასში საჭირო შესწორებანი საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაუცემლად; დ) გამოიტანოს საქმეზე ახალი გადაწყვეტილება, როცა ამისათვის არსებობს გარკვეული პირობები.

გადაწყვეტილების გაუქმება საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაცემით აუცილებელია ყველა იმ შემთხვევაში, როდესაც გადაწყვეტილებას არა მარტო უფლებრივი ხასიათის ნაკლი აქვს, არამედ ფაქტიური ხასიათისაც. უკეთეს სასამართლომ, რომელმაც საქმე არსებითად განიხილა, მთელი სისრულით არ გამოარკვია მხარეთა ურთიერთობა ან უკეთეს გადაწყვეტილებას საფუძვლად შეუქმნა მთელი გარემოებანი დაუდო, საკასაციო ინსტანცია, გააუქმებს რა გადაწყვეტილებას, მოვალეა საქმე გადასცეს ხელახალი განხილვისათვის, რადგან ასეთი გადაწყვეტილების შესწორება შეუძლებელია დამამტკიცებელი საბუთების დამატებით შეგროვებისა და შემოწმების გარეშე. ამის შესრულება თვითონ საკასაციო ინსტანციას არ შეუძლია, რადგან ეს მისი ფუნქციების ფარგლებს გასცდებოდა. იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მხარე, სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მე-15 მუხლის წესისამებრ დამატებით წარადგენს საკასაციო ინსტანციაში ისეთ ფაქტიურ მასალას, რომელიც საქმეში არ მოიპოვებოდა, არ შეიძლება ჩაითვალოს, რომ ფაქტიური მასალის უსრულობა აღარ არსებობს. „თუმცა სსრ

კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის მე-15 მუხლი მეორე ინსტანციის სასამართლოს ანიჭებს უფლებას შეამოწმოს გადაწყვეტილების კანონიერება და დასაბუთებულობა არა მარტო საქმეში არსებული მასალების მიხედვით, არამედ იმ მასალების საფუძველზეც, რაც მხარეებმა მეორე ინსტანციის სასამართლოში წარადგინეს, მაგრამ ეს წესი მაინც არ სვობს იმ განსხვავებას, რომელიც არსებობს პირველი ინსტანციისა და მეორე ინსტანციის სასამართლოების საპროცესო ფუნქციათა შორის და ამისათვის მეორე ინსტანციის სასამართლო, რჩება რა გადაწყვეტილების კანონიერებისა და დასაბუთებულობის შემამოწმებელ ორგანოდ, ვერ გამოიტანს გადაწყვეტილებას არსებითად იმ მასალების საფუძველზე რაც მხარეთა მონაწილეობით არ ყოფილა შემოწმებული პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ (სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1940 წლის დადგენილება № 258 ტ. ც. ზარიცკის სარჩელის გამო სამხედრო საწყობის მიმართ. სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიის დადგენილებათა 1940 წლის კრებული, გვ. 347).

მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების შემოწმების შედეგად შეუძლია არა მარტო გადაწყვეტილების გაუქმება, არამედ საქმის წარმოების მოსპობაც. საქმის წარმოება უნდა მოისპოს, უკეთუ მოსარჩლეს არა აქვს სარჩელის უფლება ან უკეთუ საქმე არ ექვემდებარება სასამართლოს.

მოსარჩლეს არა აქვს სარჩელის უფლება, ჯერ ერთი, მაშინ, როდესაც არსებობს საპროცესო დაბრკოლებანი, რომელთა გამო არ შეიძლება ამა თუ იმ საქმის მიღება სასამართლო განხილვისათვის, მაგალითად მხარის არაქმედუნარიანობის შემთხვევაში ან იმ შემთხვევაში, როდესაც მოსარჩლის მიერ არ არის დაცული მოცემული სახის საქმეებისათვის დადგენილი განსაკუთრებული წესი საპრეტენზიო განხილვისა სასამართლოსათვის მიმართვამდე (რკინიგზებითა

და წყალსავალი გზებით ტვირთის გადაზიდვასთან დაკავშირებული საქმეები,) მეორეც, მაშინ, როდესაც მეორე ინსტანციის სასამართლო დაადგენს, რომ მოსარჩლეს არ ეკუთვნის ის მატერიალური უფლება, რომლის ცნობას ან აღდგენას ის სთხოვდა სასამართლოს. თუ, მაგალითად, პირველი ინსტანციის სასამართლომ დააკმაყოფილა მოსარჩლის მოთხოვნა სახლიდან მოპასუხის გამოსახლების შესახებ, ხოლო შემდგომმა სასამართლომ გამოარკვია, რომ ეს სახლი მოსარჩლეს კი არ ეკუთვნის, არამედ მესამე პირს, რომელიც მოპასუხის გამოსახლებას არ მოითხოვს, ასეთ შემთხვევაში საქირო არ არის გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად გადაცემა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის, რათა ამ უკანასკნელმა გამოიტანოს შემდეგ გადაწყვეტილება მოსარჩლისათვის ძიებაში უარის თქმის შესახებ; მეორე ინსტანციის სასამართლო, აღნიშნავს რა, რომ მოსარჩლეს არა აქვს სარჩელის უფლება, გააუქმებს არასწორ გადაწყვეტილებას და საქმის წარმოებას მოსპობს.

სასამართლოს მიერ ისეთი საქმის მიღება განსახილველად, რომელიც არ ექვემდებარება სასამართლოს, წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციის ფარგლების დარღვევას, რამდენადაც მოცემული საქმის გადაწყვეტა კანონით მკუთვნებულია არა სასამართლო, არამედ ადმინისტრაციული ორგანოებისათვის. რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 246 მუხ. ¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები ითვალისწინებენ საქმის წარმოების მოსპობას, როცა ის არ ექვემდებარება სასამართლოს, ე. ი. როცა საქმე არ უნდა იქნას განხილული სასამართლოს ორგანოებში. უნდა აღინიშნოს, რომ არ არის სწორი ამ დებულების გამოყენება ისეთ საქმეთა განხილვის შემთხვევებში, რომლებიც სხვა სასამართლოს ექვემდებარება. „სასამართლოს მიერ ტერიტორიული ქვემდებარეობის დარღვევა ან განსახილველად ისეთი საქმის მიღება, რომელიც სარჩელის თანხის მი-

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 279 ბ მუხ.

ზედვით ზემდგომი ინსტანციის სასამართლოს ექვემდებარება, შეიძლება საფუძვლად დაედოს მხოლოდ გადაწყვეტილების გაუქმებას საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაცემით და არა საქმის წარმოების მოსპობას. მაგრამ გადაწყვეტილების გაუქმებაც კი ამ შემთხვევაში მხოლოდ იმ პირობით შეიძლება, თუ გამოჩვენდეს იქნა, რომ დავის არასათანადო სასამართლოში განხილვამ ვერ უზრუნველყო დავის სწორად გადაწყვეტა“ (სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1940 წლის № 168 დადგენილება. 8 მარტის სახელობის ფაბრიკის სარჩელისა გამო ძერკინსკის სახელობის რკინიგზის სამმართველოს მიმართ — სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმისა და კოლეგიის 1940 წლის დადგენილებათა კრებული, გვ. 348).

დაბოლოს, რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 246 მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები მეორე ინსტანციის სასამართლოს ანიჭებს უფლებას შეცვალოს არსებითად გადაწყვეტილება, ხოლო გარკვეულ პირობებში გამოიტანოს კიდევ ახალი გადაწყვეტილება ნაცვლად გაუქმებულისა. იმ შემთხვევაში, როცა გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომა გამომდინარეობს კანონის არასწორი შეფარდებისაგან ან ეს შეცდომა იმის შედეგია, რომ სასამართლომ არასწორი დასკვნა გააკეთა მის მიერვე დადგენილი ფაქტებიდან, სასამართლოს მიერ დაშვებული ასეთი შეცდომის გასასწორებლად საჭირო არ არის საქმის გარემოების ხელმეორედ გამოკვლევა და ახალი დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება ან განმეორებითი შემოწმება არსებული დამამტკიცებელი საბუთებისა; მეორე ინსტანციის სასამართლოს უფლება აქვს აღნიშნოს გადაწყვეტილებაში დაშვებული შეცდომა და შეიტანოს გადაწყვეტილებაში სათანადო შესწორებანი საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაუტეგლად (რსფსრ სამოქ. სამართ.

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 279 მუხ.

საპრ. კოდ. 246 მუხ.) ან გააუქმოს მცდარი გადაწყვეტილება და მის ნაცვლად გამოიტანოს საქმეზე ახალი გადაწყვეტილება არსებითად (რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 246 მუხ. და საქ. სსრ სამოქ. საპრ. კოდ. 279 მუხ.). მაგალითად, სასამართლომ გადაახდევინა კოლმეურნეობის მექანიზმის კოლმეურნეობის სასარგებლოდ მექანიზმის უყურადღებობით დაკარგული ცხენებისათვის 50.000 მანეთი ცხენის საბაზრო ღირებულების მიხედვით. სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომელიც შეიცავს დასკვნას იმის შესახებ, რომ მექანიზე ვალდებულია აუნაზღაუროს ზიანი კოლმეურნეობას — სწორია, მაგრამ იმ ნაწილში, რომელიც იძლევა ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრას, — ეწინააღმდეგება სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წ. 12 მაისის დადგენილებას „კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ცხენთა სულადობის გაღიძერების, მათი მოვლისა და შენახვის გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“, რომლის ძალით დამნაშავეის ქონებრივი პასუხისმგებლობა განსაზღვრულია ამ შემთხვევაში ცხენის სამმაგი ღირებულებით დამზადების ფასების მიხედვით, რაც 15.000 მანეთს შეადგენს; რამდენადაც აქ საქმის ფაქტიური მხარე დავას არ იწვევს და არ მოითხოვს სასამართლოს რაიმე შემმოწმებელ მოქმედებას, ამისათვის მეორე ინსტანციის სასამართლოს თვით შეუძლია გამოასწოროს სასამართლოს შეცდომა და მოიყვანოს გადაწყვეტილება კანონთან შესაბამისობაში იმით, რომ მოპასუხისაგან მისჯილ თანხას შეამცირებს და დაიყვანს 15.000 მანეთამდე.

უნდა აღინიშნოს, რომ საკითხი იმის შესახებ, აქვს თუ არა მეორე ინსტანციის სასამართლოს უფლება არსებითად შეასწოროს გადაწყვეტილება, სხვადასხვაგვარად არის გადაწყვეტილი ცალკეულ მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდექსებით. ასე, რსფსრ, უკრაინის სსრ, თურქმენეთის სსრ და უზბეკეთის სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდექსების მიხედვით, მეორე ინსტანციის სასამართლოს შეუძლია მხოლოდ შეცვალოს გადაწყვეტილება, ე. ი. შეი-

ტანოს მასში ისეთი შესწორებანი, რომლებიც არა ცვლიან სასამართლოს ძირითად დასკვნას სარჩელში უარისთქმისა ან მისი დაკმაყოფილების შესახებ. ამგვარად, ამ რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდექსების თვალსაზრისით მაშინაც კი, როდესაც საჭირო არ არის „დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება ან დამატებითი შემოწმება“, მეორე ინსტანციის სასამართლოს უფლება არა აქვს თავისი შესწორებებით არსებითად შეცვალოს გადაწყვეტილების შინაარსი, ე. ი. დააკმაყოფილოს სარჩელი, როდესაც პირველი ინსტანციის სასამართლომ მასში უარი უთხრა, და პირიქით. როდესაც საქმეში არსებული მასალის საფუძველზე საკასაციო სასამართლო შივა ისეთ დასკვნამდე, რომელიც თავისი არსით ეწინააღმდეგება პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას, მას შეუძლია მხოლოდ გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე გადასცეს ხელახალი განხილვისათვის. ამ მხრივ გამოჩაყლისი დაიშვება მხოლოდ შრომის საქმეებზე, უკეთუ „საქმის ფაქტიური მხარე საკმაოდ ნათელია“ და უკეთუ სასამართლომ შრომის საქმეებზე, საქმის განმეორებით განხილვისას, დაარღვია საკასაციო ინსტანციის მითითებანი, რაც პირველი გადაწყვეტილების გაუქმების დროს იქნა მიცემული, მეორე ინსტანციის სასამართლოს შეუძლია გამოიტანოს გადაწყვეტილება არსებითად საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაუცემლად.

პირიქით, ბელორუსიის სსრ, საქართველოს სსრ და აზერბაიჯანის სსრ, სამოქ. სამართ. საპრ. კოდექსებით, მეორე ინსტანციის სასამართლოს შეუძლია საქმეზე გამოტანილ გადაწყველების როგორც შეცვლა, ისე მის მაგიერ ახალი გადაწყვეტილების დადგენა. ასე, ბელორუსიის სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 289 მუხ. ლაპარაკობს, რომ „უკეთუ საჩივარი, მთლად ან ნაწილობრივ, ცნობილ იქნა საფუძვლიანად, სასამართლოს შეუძლია... შეცვალოს გადაწყვეტილება ან ხელახლა გადაწყვიტოს საქმე, თუ ამისათვის საჭირო არ იქნება დამამტკიცებელი საბუთების შემოწმება და თუ გადაწყვეტილების

დასაბუთება შესაძლო იქნება საქმის გადამწყვეტ სასამართლოს მასალით“. საქართველოს სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 279 მუხლის მიხედვით „უკეთუ უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ სცნო, რომ გადაწყვეტილება სწორი არ არის, მას შეუძლია... გ) გამოიტანოს გადაწყვეტილება არსებითად, საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაუცემლად, იმ შემთხვევებში: უკეთუ საქმის ფაქტიური მხარე საკმარისად ნათელია და, უკეთუ საჭიროა მხოლოდ გადაწყვეტილების მოტივების შეცვლა (კანონის აღნიშვნა და სხვ.), ან უკეთუ პირველმა ინსტანციამ საქმის განმეორებით განხილვისას დაარღვია საკასაციო-სარევიზიო ინსტანციის დირექტივები, რაც გაცემულ იქნა პირველი გადაწყვეტილების გაუქმების დროს“. ასევე წყვეტს ამ საკითხს აზერბაიჯანის სსრ კავშირის სამოქ. სამართ. საპრ. კოდექსიც. ამგვარად, აღნიშნული მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის მიხედვით, უკეთუ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმე ფაქტიური მხრივ სავსებით მომზადებულია საბოლოოდ გადასაწყვეტად, მაგრამ ამ სასამართლომ არასწორად შეაფარდა კანონი ან არასწორი დასკვნა გააკეთა საქმის გარემოებიდან, ზემდგომ სასამართლოს შეუძლია დამოუკიდებლად შეცვალოს გადაწყვეტილება ან, თუ ეს საჭირო იქნება, გამოიტანოს საქმეზე ახალი გადაწყვეტილება.

მეორე ინსტანციის სასამართლოში საქმე შეიძლება დამთავრდეს აგრეთვე მხარეთა ინიციატივით.

რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 2 მუხლისა¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების ძალით, მხარეს შეუძლია უარი თქვას თავის უფლებებზე და სასამართლოს მიერ მათ დაცვაზე, რა მდგომარეობაშიც არ უნდა იყოს საქმე. ასეთი განცხადების გაკეთებზე შეიძლება საქმის საკასაციო გარჩევის სტადიაშიც. უკეთუ განცხადება შეეხება შეტანილ საჩივარზე უარის თქმას და ცნობილ იქნა, რომ ეს საჩივარი დასაკმაყოფილე-

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 3 მუხ.

ბელია, სასამართლო გამოიტანს დადგენილებას საჩივრის განუხილველად დატოვებისა და საკასაციო წარმოების მოსპობის შესახებ; მაშასადამე, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება დარჩება ძალაში. იმ შემთხვევაში, როდესაც განცხადება საქმის წარმოების მოსპობის შესახებ შეტანილია ორივე მხარის მიერ მათ შორის მომხდარ მორიგების აქტის საფუძველზე, სასამართლო, შეამოწმებს რა მორიგების აქტის კანონიერებას, დაამტკიცებს მას და გააუქმებს პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებას და მოსპობს საქმის წარმოებას. ხოლო უკეთეს მეორე ინსტანციის სასამართლო დაადგენს, რომ მორიგების აქტი დადებულია კანონის დარღვევით ან ის მიმართულია სახელმწიფოსა, ერთ-ერთი მხარისა ან მესამე პირის ინტერესების საზიანოდ, ის მოვალეა უარი უთხრას მორიგების აქტის დამტკიცებაში და საქმე განიხილოს სარევიზიო წესით თანახმად რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 245¹ ან სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებისა.

9. საკასაციო ინსტანციის დადგენილება

საქმის განხილვა მეორე ინსტანციის სასამართლოში მთავრდება საკასაციო დადგენილების გამოტანით. დადგენილება გამოიტანება სათათბირო ოთახში სასამართლოს წევრთა ხმის უმრავლესობით. დადგენილება უნდა დაიწეროს და მას ხელი უნდა მოაწეროს საქმის განხილვაში მონაწილე ყველა მოსამართლემ და უნდა გამოცხადდეს საჯაროდ სხდომის დარბაზში იმ დღეს, რა დღესაც განხილულ იქნა საქმე. იმ მოსამართლეს, რომელიც უმრავლესობას არ დაეთანხმება, შეუძლია დაუროს საქმეს თავისი განსაკუთრებული აზრი. თვითეულ დადგენილებაში უნდა აღინიშნოს: მისი გამოტანის დრო, სასამართლოს შემადგენლობა, საქმის დასა-

¹ საქ. სრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 278 მუხ.

ხელემა, იმ მხარის დასახელება, რომლის საჩივრის გამო მოხდა საქმის განხილვა, იმ სასამართლოს დასახელება, რომლის გადაწყვეტილებაზეც არის შესული საჩივარი ან პროტესტი, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანის დრო და მისი მოკლე შინაარსი (გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი), მეორე ინსტანციის სასამართლოს მოსაზრებანი (მოტივები), მეორე ინსტანციის სასამართლოს საბოლოო დასკვნა გადაწყვეტილების ძალაში დატოვებისა ან მისი გაუქმების და შეცვლის შესახებ და, ბოლოს მხარეთა შორის საკასაციო წარმოების ხარჯების განაწილება.

საკასაციო დადგენილების შედგენისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს დადგენილების სამოტივო ნაწილს. მეორე ინსტანციის სასამართლოებს მეტისმეტად მნიშვნელოვანი ამოცანა აქვთ დაკისრებული, სახელდობრ, შეამოწმონ, საჩივრისა და პროტესტების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოების გადაწყვეტილებები და გაასწორონ გადაწყვეტილებებში სასამართლოების მიერ დაშვებული შეცდომები. მეორე ინსტანციის სასამართლომ თავისი დადგენილებით არა მარტო უნდა გადაწყვიტოს საკითხი იმის შესახებ, სწორია თუ არა გადაწყვეტილება, არამედ ასწავლოს კიდევ სასამართლოებს კანონის სათანადოდ შეფარდება და გაგება და სამოქალაქო სამართლის საქმეების სწორად გადაწყვეტა. რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 248 მუხლის¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების ძალით, საკასაციო დადგენილებაში აღნიშნული მითითებანი სავალდებულოა იმ სასამართლოსათვის, რომელიც საქმეს გადასინჯავს. ამისათვის საკასაციო დადგენილება უნდა წარმოადგენდეს ზემდგომი სასამართლოს მხრივ ქვემდგომი სასამართლოს საქმიანობის კონკრეტული ხელმძღვანელობის ფორმას. საკასაციო დადგენილება, განსაკუთრებით პრინციპული მნიშვნელობის მქონე საქმეებზე, ვრცლად უნდა იქნას მოტივირებული, ეს აუცი-

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 282 მუხ.

ლებელია არა მარტო იმისათვის, რომ დადგენილება მოცემულ საქმეზე დამაჯერებელი და ავტორიტეტული იყოს, არამედ აგრეთვე მთელი სასამართლო მუშაობის ხარისხის ამაღლებისათვის.

საკასაციო დადგენილებაში ნათლად და ზუსტად უნდა იყოს გადმოცემული: საქმის გარემოება, გადაწყვეტილების ძალაში დატოვების, გაუქმების ან შეცვლის მოტივები საპროცესო და მატერიალური კანონების სათანადო მითითებით, შეფასება საჩივარსა და პროტესტში მოყვანილი მოსაზრებებისა და მკაფიო მითითებანი იმის შესახებ, თუ რაკონკრეტული მოქმედებანი უნდა შეასრულოს სასამართლომ საქმის ხელახალი განხილვისას მისი სწორად გადაწყვეტილებისათვის.

საკასაციო დადგენილებები, რომლებიც სრულიად არ არის მოტივირებული ან მოტივირებულია საერთო, არაფრის გამომატველი, ფრაზებით, როგორც არის — „გადაწყვეტილება შეეფერება საქმის გარემოებას“, გადაწყვეტილების ძალაში დატოვების, გაუქმების ან შეცვლის მოტივების აღუნიშვნელად, კანონის დაუსახელებლად და საჩივარსა და პროტესტში მოყვანილ არსებით მოსაზრებათა განუხილველად, ძირს უთხრის მეორე ინსტანციის სასამართლოს ავტორიტეტს, პირველ რიგში მომჩივნის თვალში, რომელიც ასეთ დადგენილებაში ხედავს, სავსებით საფუძვლიანად, მისი საჩივრისადმი უყურადღებო და ზერელე მოპყრობას სასამართლოს მხრივ. გარდა ამისა, დადგენილებაში სათანადო მოტივების აღუნიშვნელობა საშუალებას უსძობს პირველი ინსტანციის სასამართლოს გაერკვეს თავის შეცდომაში და თავიდან აიცილოს ის მომავალში. პრაქტიკაში შემჩნეული შემთხვევები ერთსა და იმავე საქმეზე გადაწყვეტილების რამდენჯერმე გაუქმებისა და ამასთან დაკავშირებით საქმის გაკვიანურებისა მეტწილად პირდაპირი შედეგია იმისა, რომ მეორე ინსტანციის სასამართლოები, გადასცემენ რა საქმეს ხელახალი განხილვისათვის, თავის დადგენილებაში არ მითითებენ პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დაშვე-

პულ ყველა შეცდომებზე, და სასამართლოც საქმის ხელახალი განხილვისას იმავე შეცდომებს იმეორებს. „საქმეზე გამოტანილი დადგენილება როგორც გადაწყვეტილების გაუქმებისა ან შეცვლის შემთხვევაში, ისე გადაწყვეტილების ძალაში დატოვების შემთხვევაში მოტივირებულ უნდა იქნას საქმის სისრულით. გადაჭრით უნდა შეწყდეს პრაქტიკა საქმის ხელახალი განხილვისათვის გადაცემაზე უარის თქმისა „საკასაციო საბაზის უქონლობის გამო“ ან „ვინაიდან გადაწყვეტილება სწორია“, როცა დადგენილებაში არაა აღნიშნული, სახელდობრ რაში გამოიხატება მომჩინის ძირითად მოსაზრებათა უსწორობა. უმაღლესი ინსტანციის სასამართლოს დადგენილება უნდა წარმოადგენდეს არა მარტო პასუხს მხარეებისათვის ამა თუ იმ საქმეზე, არამედ ის უნდა იყოს წყარო საინსტრუქციო მითითებებისა პირველი ინსტანციის სასამართლოსათვის“ (სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს 52-ე პლენუმის დადგენილება „სამოქალაქო სამართლის პროცესში საპროცესო ნორმების მტკიცედ დაცვის შესახებ“). საკასაციო დადგენილება უნდა წარმოადგენდეს ნიმუშს, რომელზეც ქვემდგომ სასამართლოებს შეეძლებათ შეისწავლონ საქმის სწორი გადაწყვეტა და სასამართლოს გადაწყვეტილების სწორი გაფორმება. ამიტომ მეორე ინსტანციის სასამართლო არ უნდა დაკმაყოფილდეს გადაწყვეტილების მხოლოდ იმ თვალსაზრისით შემოწმებით, თუ რამდენად სწორია მასში მოცემული საბოლოო დასკვნა, არამედ მან უნდა შეამოწმოს, დატულია თუ არა სასამართლოს მიერ საქმის სასამართლო განხილვის საპროცესო წესი და მოყვანილია თუ არა გადაწყვეტილებაში ის მატერიალური კანონი, რომლის საფუძველზე არის განსაზღვრული სასამართლოს მიერ მხარეთა უფლებანი და მოვალეობანი. უკეთუ აღმოჩნდება, რომ გადაწყვეტილებაში არ არის მითითებული მატერიალური კანონი ან მითითებულია ისეთი კანონი, რომელიც არასწორად არის შეფარდებული, საკასაციო ინსტანცია, დასტოვებს რა ძალაში გადაწყვეტილებას, მოვალეა შეცვალოს გადაწყვეტილების მოტი-

ვები შესაბამისად რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 246 მუხლის „გ“ პუნქტისა¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლებისა.

უკეთუ გამოირკვა, რომ სასამართლომ საქმე სათანადოდ არ მოამზადა, დაარღვია წესი მხარეთა სამსჯავრო სხდომაზე გამოძახებისა, არ შეასრულა კანონის მოთხოვნები სასამართლო ოქმის შედგენის წესის შესახებ ან დაუშვა სამოქალაქო სამართლის საპროცესო ნორმათა სხვა დარღვევები, თუნდაც ეს დარღვევები მოცემულ საქმის გარემოებათა მიხედვით ვერ გამოიწვევდნენ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას, საკასაციო ინსტანციამ უნდა გამოიტანოს კერძო დადგენილება სასამართლოს იმ უსწორობათა აღნიშვნით, რაც მათი ხასიათის მიხედვით საბაზად არ იქნა ცნობილი გადაწყვეტილების გაუქმებისათვის; და ეს იმ მიზნით, რათა შემდეგში თავიდან აცილებულ იქნას ასეთი უსწორობანი სასამართლო პრაქტიკაში (რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 246 მუხ.² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები).

10. კერძო დადგენილებების გასაჩივრება

განსხვავებით სასამართლოს გადაწყვეტილებისა, რომელიც მხარეთა შორის დავას არსებითად გადაწყვეტს, კერძო დადგენილებით სასამართლო გადასწყვეტს ცალკეულ საპროცესო საკითხებს, რომლებიც საქმის განხილვის დროს წამოიჭრება და რომლებიც შეეხება საქმის მსვლელობას და სასამართლოს მიერ საქმის გარემოებათა გამორკვევას. თავის მიზნად ისახავს რა საქმის გარჩევისათვის ნორმალური პირობების შექმნას, კერძო დადგენილება პროცესში ასრულებს ერთგვარ დამხმარე როლს და, როგორც წესი, წინააღმდეგ სასამართლოს გადაწყვეტილებისა, შეიძლება გადაისინჯოს, შეიცვალოს ან გაუქმდეს მისი გამომტანი სასამართლოს მიერ უმაღლეს ინსტანციისათვის მიუმართავად.

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 279 მუხლის „გ“ პუნქტი.

² საქ. სსრ სამოქ. საპრ. კოდ. 280 მუხ.

ზოგჯერ, განსაკუთრებით რთულ საქმეებზე, სასამართლოს უხდება მთელი რიგი კერძო დადგენილებების გამოტანა. ყოველი მათგანის ზემდგომ სასამართლოში გასაჩივრების დაშვება შეუზღუდველად აუცილებლად გამოიწვევდა საქმის გადაწყვეტის შეფერხებას, ხოლო არაკეთილსინდისიერ მხარეს საშუალებას მისცემდა გაეჭიანურებია საქმე. ამიტომ, ჯერ-ერთი, არ შეიძლება გასაჩივრდეს ყველა კერძო დადგენილება, და მეორეც, სხვადასხვა დადგენილებისათვის გასაჩივრების სხვადასხვაგვარი წესია შემოღებული. ასე, რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდექსის თანახმად არ შეიძლება გასაჩივრდეს: დადგენილება გადაწყვეტილების აღსრულების ვადის გადიდებისა ან განაწილვადების საკითხის შესახებ, რომელიც სასამართლოს მიერ საქმეზე გადაწყვეტილების გამოტანის შემდეგ არის მიღებული (182 მუხ. ¹), სასამართლოს დადგენილება ნოტარიუსის მოქმედებაზე შეტანილი საჩივრის გამო (233 — 234 მუხ. ²), დადგენილება, რომლითაც დამტკიცებულია სასამართლოს აღმასრულებლის ანგარიში მოვალისთვის გადახდევინებული ფულის კრედიტორთა შორის განაწილების შესახებ (267 მუხ. ³), დადგენილება დამამტკიცებელი საბუთების უზრუნველყოფის შესახებ (127 მუხ.) და სხვ.

დადგენილება, რომლის გასაჩივრება კანონით აკრძალული არ არის, შეიძლება გასაჩივრდეს, როგორც წესი, მხოლოდ გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან ერთად. ამ წესიდან გამონაკლისი, ე. ი. შემთხვევები, როცა საკასაციო საჩივრისაგან დამოუკიდებლად შეიძლება გასაჩივრდეს დადგენილება, პირდაპირ არის აღნიშნული კანონში. ამათ რიცხვს, თანახმად რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდექსისა, მიეკუთვნება დადგენილებანი: სარჩელის განცხადების მიღებაზე უარისთქმის შესახებ, სარჩელის ფასის შესახებ, სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, დოკუმენტის დაკარგულად ცნო-

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 185 მუხ.

² საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 242 — 244 მუქ

³ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 314 მუხ.

ბაზე უარისთქმის შესახებ, გადაწყვეტილების დაუყოვნებ-
ლივ აღსრულების შესახებ, ახლად აღმოჩენილ გარემოებათა
გამო საქმის გადასინჯვაზე უარისთქმის შესახებ, გადახდე-
ვინებულ იქნა ფულის კრედიტორთა შორის განაწილებაზე სასა-
მართლოს აღმასრულებლის მიერ შედგენილი ანგარიშის
შეცვლის შესახებ სასამართლოს აღმასრულებლის მოქმედე-
ბაზე შეტანილი საჩივრის გამო (რსფსრ სამოქ. სამართ.
საპრ. კოდ. 31, 48, 91, 187, 203, 234, ² 252, 267, 270 მუხ.
მუხ. ¹). სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ.
საპრ. კოდექსებში გათვალისწინებულია, გარდა ზემოთ ჩამო-
თვლილი კერძო დადგენილებებისა, აგრეთვე სხვა კერძო
დადგენილებებიც, რომლებზეც შეიძლება შეტანილ იქნას
საჩივარი ცალკე, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებაზე შე-
ტანილ საკასაციო საჩივრისა. ასე, თურქმენეთის სსრ სამოქ.
სამართ. საპრ. კოდ. 381 მუხლის თანახმად, დამოუკიდებლად
საკასაციო საჩივრისა, შეიძლება გასაჩივრებულ იქნას სასა-
მართლოს დადგენილებები: საკასაციო ან კერძო საჩივრის
მიღებაზე უარისთქმის შესახებ, საჩივრის შეტანის ვადის
აღდგენაზე უარისთქმის შესახებ და სასამართლოს მიერ
საქმის მოსპობის შესახებ. საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ.
კოდ. 174 მუხლი ითვალისწინებს ასეთსავე გასაჩივრებას იმ
დადგენილებისა, რაც გამოტანილია მესამე პირის ჩაბმისა ან
ჩარევის შესახებ თხოვნაზე უარისთქმის გამო. მაგრამ, მო-
ყვანილი სია მაინც ამომწურავი არ არის და ჩამოთვლილ
შემთხვევებს გარდა დამოუკიდებლად გასაჩივრება შეიძლება
აგრეთვე ყველა იმ კერძო დადგენილებისა, რომლებიც
აბრკოლებენ საქმის შემდგომ მსვლელობას. ამათ რიცხვს
შეიძლება მივაკუთვნოთ როგორც ისეთი დადგენილებები,
რომლებითაც მთავრდება საქმის წარმოება, მაგალითად
დადგენილება საქმის წარმოების მოსპობის შესახებ სასა-
მართლოში მხარეთა გამოუცხადებლობისა, საქმის არა-

¹ საქ სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 35, 49, 94, 196, 220, 228, 314;
317 მუხ. მუხ.

ქვემდებარეობისა, ან მხარეთა მორიგების გამო, აგრეთვე ისეთი დადგენილებები, რომლებიც უსპობენ მხარეს საშუალებას აწარმოოს პროცესი, მაგალითად დადგენილება მოსაძრჩლის ბაჟის გადახდისაგან განთავისუფლებაზე უარისთქმის შესახებ, გადაცილებულ საპროცესო ვადების აღდგენაზე უარისთქმის შესახებ და სხვ.

საჩივარი სასამართლოს კერძო დადგენილებაზე, რომელსაც განსხვავებით საკასაციო საჩივრისა, კერძო საჩივარი ეწოდება, შეიტანება ხუთი დღის ვადაზე გასაჩივრებული კერძო დადგენილების გამოცხადების დღიდან, ხოლო ზოგიერთ, კანონში აღნიშნულ შემთხვევაში (მაგალითად, რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 91, 270 მუხ. მუხ. ¹) — იმ დღიდან, რა დღესაც მომჩივნისათვის ცნობილი შეიქნა დადგენილება. კერძო საჩივრის შეტანას, წარმართვას და განხილვას იგივე წესები შეეფარდება, რაც საკასაციო საჩივრისათვის არის დადგენილი. ამიტომ კერძო საჩივარი შეიტანება დადგენილების გამომტან სასამართლოში და მას დაერთვის ასლები მოწინააღმდეგე მხარეზე მონაწილეთათვის; ამ ასლების დანიშნულებისამებრ გაგზავნის შემდეგ კერძო საჩივარი, სასამართლოს საქმესთან ერთად, გადაიგზავნება ზემდგომ სასამართლოში და იქ განიხილება რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 242 — 244 მუხლებისა ² და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლების წესისამებრ.

სასამართლოს მიერ კერძო საჩივრის მიღება ვერ გამოიწვევს კერძო დადგენილების აღსრულების უთუოდ შეჩერებას. ამ წესიდან გამონაკლისს შეიცავს რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 92 მუხლი ³, რომლის ძალით კერძო საჩივრის შეტანა იმ დადგენილებაზე, რომელთაც სარჩელის უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიება გაუქმებულ იქნა, შეაჩერებს ამ დადგენილების აღსრულებას. სხვა შემ-

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 95, 317 მუხ. მუხ.

² საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 275 — 277 მუხ. მუხ.

³ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 96 მუხ.

თხვევებში კი, გასაჩივრებული დადგენილების მოქმედების შეჩერება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სასამართლოს განსაკუთრებული, საამისოდ გამოტანილ დადგენილების საფუძველზე. კერძო საჩივარზე სახელმწიფო ბაჟი არ გადაიხდებიან.

კერძო საჩივრის განხილვისას მეორე ინსტანციის სასამართლოს მოვალეობა მხოლოდ იმაში მდგომარეობს, რომ შეამოწმოს გასაჩივრებული დადგენილების კანონიერება და დასაბუთება. ამიტომ მეორე ინსტანციის სასამართლო არ უნდა შევიდეს მთელი საქმის განხილვაში და უნდა შეამოწმოს მხოლოდ ის მასალა, რასაც უშუალოდ ამოკიდებულება აქვს გასაჩივრებულ დადგენილებასთან. უკეთეს საჩივრის განხილვის შედეგად მეორე ინსტანციის სასამართლო ჰპოვებს, რომ კერძო დადგენილება სწორი არ არის, გააუქმებს მას და თვითონ გადაწყვეტს სადავო საკითხს მის გადაუცემლად პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელახალი განხილვისათვის.

თავი მეორე

სასამართლოს გადაწყვეტილებების გადასინჯვა

ზემოთ აღნიშნული საკასაციო გასაჩივრების წესი წარმოადგენს მხარეთა ინიციატივით სასამართლოს გადაწყვეტილების შესწორების ნორმალურ საშუალებას. უკეთეს მხარემ ან პროკურორმა დაწესებულ ვადაზე არ გაასაჩივრა გადაწყვეტილება ან უკეთეს მათ მიერ შეტანილი საჩივარი ან პროტესტი მეორე ინსტანციის სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული, სასამართლოს გადაწყვეტილება შედის კანონიერ ძალაში და მისი შემდგომი გასაჩივრება აღარ დაიშვება. იმ შემთხვევაში, როცა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება აშკარად უკანონოა ან ის ფაქტიური მასალა, რაც სასამართლომ საფუძველად დაუდო გადაწყვეტილებას, აშკარად ნაკლოვანია, გადაწყვეტილების

შესწორება შეიძლება მოხდეს მხოლოდ მისი ზედამხედველობის წესით ან ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის გზით. ერთიც და მეორეც არასწორი გადაწყვეტილების შესწორების საგანგებო საშუალებას წარმოადგენს და დაიშვება არა მხარეთა შეხედულებისამებრ, არამედ მხოლოდ კანონში აღნიშნულ განსაკუთრებულ შემთხვევებში.

1. გადაწყვეტილების გადასინჯვა ზედამხედველობის წესით

გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით გადასინჯვა თავის ძირითად ამოცანად ისახავს მეთვალყურეობა გაუწიოს სასამართლო ორგანოების საქმიანობის კანონიერებას და უზრუნველყოს სასამართლოების მიერ კანონების ერთგვარი და სწორი შეფარდება. საზედამხედველო წარმოება გამომდინარეობს არა მხარის უფლებიდან — იჩივლოს სასამართლოს გადაწყვეტილებაზე, რომელიც მისი აზრით სწორი არ არის — არამედ უმაღლეს სასამართლო-საპროკურორო ორგანოების მოვალეობისაგან — თვალყური ადევნონ, რომ თვითეული სასამართლოს გადაწყვეტილება კანონს და სახელმწიფოსა და მშრომელთა მასების ინტერესებს შეესაბამებოდეს.

უკეთეს აღმოჩნდება, რომ კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებით თვალსაჩინოდ და არსებითად დარღვეულია მოქმედი კანონი ან აშკარად დარღვეულია სახელმწიფოს და მშრომელთა ინტერესები, საამისოდ უფლებამოსილი სასამართლო-საპროკურორო ორგანოები მოვალენი არიან აღძრან ასეთი გადაწყვეტილების ზედამხედველობის წესით გადასინჯვის წარმოება. საქმის წარმოება ზედამხედველობის წესით დაიწყება მხოლოდ და მხოლოდ სასამართლო-საპროკურორო ორგანოების თანამდებობის პირთა ინიციატივით. სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების შესახებ კანონის 16 მუხლის თანახმად, საზედამხედველო წარმოების აღძვრის უფლება

მინიჭებული აქვს: ა) მოკავშირე რესპუბლიკის ტერიტორიაზე მოქმედ სასამართლოების მიმართ — სათანადო რესპუბლიკის პროკურორს ან ამ რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს; ბ) სსრ კავშირის ტერიტორიაზე მოქმედ ყველა სასამართლოების მიმართ — სსრ კავშირის გენერალურ პროკურორს და სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარეს. მხარის მიერ განცხადების შეტანა კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების გადასინჯვის შესახებ თავისთავად არ წარმოადგენს საფუძველს საზედამხედველო წარმოების დაწყებისათვის, არამედ არის მხოლოდ მასალა, რომლიდანაც ზედამხედველი ორგანოები შეიტყობენ, რომ ამა თუ იმ სასამართლოს მიერ გამოტანილია, მხარის აზრით, არასწორი გადაწყვეტილება. ზედამხედველ ორგანოზეა დამოკიდებული — დაეთანხმება მხარის მოსაზრებებს და გამოითხოვს საქმეს შესამოწმებლად თუ შუამდგომლობას საქმის გადასინჯვის შესახებ დასტოვებს დაუკმაყოფილებლად.

უკეთეს შემთხვევაში აღნიშნული თანამდებობის პირნი სცნობენ, რომ არსებობს საფუძველი საზედამხედველო წარმოების აღძვრისათვის, მათ უფლება აქვთ გამოითხოვონ საქმე და შეიტანონ პროტესტი სასამართლოს არასწორი გადაწყვეტილების გასაუქმებლად. საქმის გამოთხოვ ორგანოს, თუ ამას საჭიროება მოითხოვს, უფლება აქვს შეაჩეროს გადაწყვეტილების აღსრულება, ვიდრე საქმე ზედამხედველობის წესით წარმოებს.

პროტესტები სახალხო სასამართლოების, სამხარეო (საოლქო) სასამართლოების და სხვა მათ შესაბამის სასამართლოების გადაწყვეტილებებზე შეიტანება მოკავშირე რესპუბლიკის უმაღლეს სასამართლოში და განიხილება ამ სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ. პროტესტები მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მიერ დამტკიცებულ სამხარეო (საოლქო) სასამართლოების გადაწყვეტილებებსა და აგრეთვე მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილე-

ბებსა და დადგენილებებზე შეიტანება სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოში და განიხილება ამ სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ. პროტესტები სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის დადგენილებებზე შეიტანება სსრ კავშირის გენერალური პროკურორისა და სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს პლენუმში.

პროტესტების განხილვა მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლეს სასამართლოების სასამართლო კოლეგიებსა და სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სასამართლო კოლეგიაში წარმოებს სამსჯავრო სხდომაზე პროკურორის მონაწილეობით, მხოლოდ მხარეთა დაუბარებლად.

განიხილავს რა საქმეს ზედამხედველობის წესით, სასამართლო კოლეგიას, უკეთუ ის დაეთანხმება პროტესტს, შეუძლია: ა) გააუქმოს გადაწყვეტილება და საქმე გადასცეს ხელახალი განხილვისათვის, უკეთუ საქმის საბოლოოდ გადასაწყვეტად საქმარისი არ არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეგროვილი მასალა; ბ) გააუქმოს გადაწყვეტილება და მოსპოს საქმის წარმოება, უკეთუ მოსარჩლეს არ აქვს სარჩელის უფლება ან საქმე არ ექვემდებარება სასამართლოს; გ) გააუქმოს გაპროტესტებული გადაწყვეტილება და დატოვოს ძალაში საქმეში არსებული ერთ-ერთი გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება კანონს და სასამართლოს მიერ დადგენილ საქმის ფაქტიურ გარემოებას; დ) შეცვალოს გადაწყვეტილება და ე) გამოიტანოს საქმეზე ახალი გადაწყვეტილება, უკეთუ საქმის ყველა გარემოება გამორკვეულია და საჭირო არ არის დამამტკიცებელი საბუთების შეგროვება და დამატებითი შემოწმება.

2. გადაწყვეტილების გადასინჯვა ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადასინჯვის საფუძველს წარმოად-

გენს ერთ-ერთი შემდეგი მომენტი (რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 251 მუხ.¹ და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. სათანადო მუხლები): ა) ახალი გარემოების აღმოჩენა, რასაც საქმისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს და რაც განმცხადებლისათვის საქმის განხილვის დროს ცნობილი არ იყო და არც შეიძლებოდა უოფილიყო ცნობილი; ბ) დადასტურება სასამართლოს განაჩენით გადაწყვეტილ საქმეში მოწმის ტყუილი ჩვენებისა, მხარისა, მისი წარმომადგენლისა ან ექსპერტის დანაშაულებრივი ქმედობისა და აგრეთვე სასამართლოს იმ წევრთა დანაშაულებრივი ქმედობისა, რომლებმაც საქმეში მონაწილეობა მიიღეს; გ) დადასტურება სასამართლოს განაჩენით იმ დოკუმენტის სიყალბისა, რომელსაც ემყარება სასამართლოს გადაწყვეტილება; დ) გაუქმება სასამართლოს ან სხვა დაწესებულების იმ დადგენილებისა, რაც საფუძვლად დაედო მოცემულ გადაწყვეტილებას.

ახალი გარემოება, რომლის აღმოჩენა გამოიწვევს გადაწყვეტილების გაუქმებას, ეწოდება ისეთ შემთხვევას და ფაქტს, რომლებიც ცნობილი არ იყო მხარისა და სასამართლოსათვის, მაგრამ სინამდვილეში კი არსებობდა გადაწყვეტილების გამოტანის მომენტში, და რომლებსაც არსებითი მნიშვნელობა აქვს საქმისათვის. ახალ გარემოებად არ ჩაითვლება ისეთი შემთხვევა და ფაქტი, რომლებიც საქმის გადაწყვეტის შემდეგ წარმოიშვა. არ შეიძლება აგრეთვე ახალი გარემოებისა და ახალ მტკიცებათა გაიგივება; უკეთეს შემთხვევა ან მოქმედება მხარისათვის ცნობილი იყო პროცესის დროს, მაგრამ მან ვერ შესძლო მათი დამტკიცება სასამართლოში, შემდეგში ასეთი შემთხვევისა და მოქმედების დამამტკიცებელი საბუთის აღმოჩენა (მაგალითად, როცა მონიხება მოწმე) ვერ გახდება გადაწყვეტილების გადასინჯვის საბაზად.

რაც შეეხება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო

¹ საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 287 მუხ.

იმისა, რაც მოსარჩლემ გაუქმებული გადაწყვეტილებით მიიღო. უკეთუ აღსრულების შებრუნებისათვის საჭიროა რაიმე შემოწმებელი მოქმედებანი, ზემდგომ სასამართლოს შეუძლია საკითხი შებრუნების შესახებ გადასცეს გადასაწყვეტად პირველი ინსტანციის სასამართლოს.

უკეთუ გაუქმებულია გადაწყვეტილება დაწესებულები-სა ან საწარმოსაგან მომუშავეის სასარგებლოდ თანხების მისჯის შესახებ, ამ გადაწყვეტილებით გაცემული თანხები შეიძლება უკუგადახდეს მომუშავეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც გაუქმებული გადაწყვეტილება დამყარებულია მომუშავეის მიერ წარდგენილ ყალბ დოკუმენტზე ან მის მიერ განცხადებულ ცრუ ცნობებზე; აღნიშნულ შემთხვევებში უკუგადახდეინება დაიშვება მხოლოდ სასამართლოს წესით (რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 254-დ მუხ. 1 და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სათანადო მუხლები).

რსფსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 254-დ მუხლში გადმოცემული წესი შეეხება იმ შემთხვევებს, როცა აღსრულებაში მოყვანილი სასამართლოს გადაწყვეტილება ზედამხედველობის წესით არის გაუქმებული: აღსრულებული გადაწყვეტილების საკასაციო წესით გაუქმებისას საკითხი დამჭირავებლის მიერ მომუშავეზე გაცემული თანხების უკუგადახდეინების შესახებ გადაწყდება აღსრულებული გადაწყვეტილების შებრუნების წესისამებრ იმისდა მიუხედავად, არის თუ არა ცნობები მოსარჩლის არაკეთილსინდისიერი მოქმედების შესახებ (სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიის 1942 წლის დადგენილება № 36/346 საქმეზე შინსახკომის სამმართველოს სარჩელისა გამო მოქ. გოროდასკისთან 6423 მანეთის გადახდეინების შესახებ—„Судебная практика Верховного Суда СССР“. 1943 წ., გამოშვება III, გვ. 29).

1 საქ. სსრ სამოქ. სამართ. საპრ. კოდ. 293 მუხ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

შესავალი 3

ნაწილი I

სისხლის სამართლის საქმეო საკასაციო და სახედამხედველო წარმოება

თავი პირველი. საკასაციო წარმოება	8
1. როგორი განაჩენების გადასინჯვა შეიძლება საკასაციო წესით .	8
2. საკასაციო საჩივრისა და საკასაციო პროტესტის შეტანა . .	10
3. საკასაციო ინსტანციაში საქმის განხილვის წესი	17
4. საკასაციო საბაბები	23
5. საქმის სარევიზიო გადათვალისწინება	36
6. საქმის საკასაციო განხილვის შედეგები	41
7. საკასაციო ინსტანციის დადგენილება	44
8. კერძო საჩივრები და კერძო პროტესტი	49

თავი მეორე. განაჩენებისა და სასამართლო დადგენილებების გადასინჯვა ხედამხედველობის წესით 52

1. წესი განაჩენებისა და დადგენილებების ხედამხედველობის წესით გაპროტესტებისა	52
2. სახედამხედველო ინსტანციათა ამოცანები, მოვალეობანი და უფლებები	55
3. სახედამხედველო ინსტანციათა დადგენილებანი	58

ნაწილი II

სამოქალაქო საქმეთა საკასაციო და სახედამხედველო წარმოება

თავი პირველი. საკასაციო წარმოება	59
1. ვის შეუძლია შეიტანოს საკასაციო საჩივარი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე	60
2. სასამართლოს როგორ დადგენილებებზე შეიძლება საჩივრის შეტანა	61